



ევროკავშირი
საქართველოსთვის



საქართველოს მშენიანების
და ინფრასტრუქტურის
დაცვის მინისტრის
სამსახურის
საინფორმაციო
სისტემების
სამსახური

საქართველოში არსებული რძისა და თაფლის მწარმოებელი ფერმერების მიერ წარმოების გაუმჯობესებული სტანდარტების დანერგვის ქცევის მამოძრავებელი ფაქტორები

მომზადებულია "ქცევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების" გუნდის მიერ საქართველოს
ფერმერთა ასოციაციისთვის

12 ივნისი, 2023



წინამდებარე კვლევა განხორციელდა ქვევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების გუნდის (BISC Partners) მიერ, ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კონსორციუმი, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ტექსტის ავტორები და ის არ გამოხატავს ევროკავშირის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის და CSRDG-ის თვალსაზრისს.

კვლევის განმახორციელებელი გუნდი:

- თინათინ სტამბოლიშვილი, BISC Partners-ის აღმასრულებელი დირექტორი და ინტეგრირებული კომუნიკაციების მიმართულების ხელმძღვანელი
- ქეთევან გომელაური, BISC Partners-ის ქვევის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი
- მაია მესტირიშვილი, BISC Partners-ის სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი
- ნინო ხაჭაპურიძე, BISC Partners-ის ორგანიზაციული ქვევის მიმართულების ხელმძღვანელი

კვლევის განმახორციელებელი გუნდი მადლობას უხდის საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გუნდის წევრებს - თამარ თორიას, ნინო გოგიჩაშვილს, ნინო ჯიბუტს, ილია კუნჭულიას და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაციის გუნდის წევრებს - ლაშა გაგომიძეს და ეკა იაშვილს მათი მხარდაჭერისა და კვლევის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

ციტირებისათვის: ქვევითი ინსაიტების კვლევა: რძისა და თაფლის მწარმოებელი ფერმერების მიერ წარმოების გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვა.

აბრევიატურები და განმარტებები

- CSR DG - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
- BISC Partners - ქვევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების გუნდი
- Behavior Insights (BI) - ინდუქციური, მრავალდისციპლინარული მიდგომა, რომელიც მოიცავს ელემენტებს ქვევის მეცნიერებიდან, ქვევის ეკონომიკიდან, ანთროპოლოგიიდან, სოციალურ ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიიდან. კომბინაციაში ემპირიულად გადამოწმებულ შედეგებთან, აღნიშნული მიდგომა განსაზღვრავს თუ „რეალურად“ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებას
- ქვევის მეცნიერება - სწავლობს ადამიანის ქვევას სისტემატური ექსპერიმენტებისა და დაკვირვების გზით
- Behavior food policy - სურსათის ქვევითი პოლიტიკა
- Pains - არსებული სირთულეები/გამოწვევები
- Gains - ცვლილების აღქმული სარგებელი
- Comforts - ჩვევა, არსებული რუტინა
- Anxieties - ცვლილებასთან ან სიახლესთან დაკავშირებული შიშები
- Jobs-To-Be-Done - ღირებულებითი მიზნები
- Behavior drivers - ქვევის მამოძრავებელი ძალა

სარჩევი

კვლევის შეჯამება	5
ძირითადი მიგნებები	8
კვლევის მიზანი და ამოცანები	13
კვლევის მეთოდოლოგია	14
შესავალი	18
ემპირიული კვლევის შედეგები	19
არსებული ინფორმაცია - რძის მწარმოებელი ფერმერები	19
არსებული ინფორმაცია - თაფლის მწარმოებელი ფერმერები	20
სურვილები და რეკომენდაციები	44
სურვილი და რეკომენდაციები - თაფლის მწარმოებელი ფერმერები	46
რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეებისთვის	47

კვლევის შეჯამება

თაფლისა და რძის წარმოებაში გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვა უკავშირდება როგორც ფერმერებში არსებული წარმოდგენებისა და შეხედულებების, ისე უშუალოდ ქვევის ცვლილებას. ქვევის ცვლილება კომპლექსური პროცესია და მის ხელშესაწყობად შესაძლოა, როგორც სხვადასხვა მიდგომის და ინსტრუმენტის გამოყენება, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. თუმცა იმისათვის, რომ ამა თუ იმ ძალისხმევამ რეალურად შეუწყოს ხელი ადამიანების ქვევის ცვლილებას, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ, რა არის არსებული პრაქტიკის საფუძველი და რა შეიძლება იყოს გაუმჯობესებული ქვევის მამოძრავებლები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვევის მეცნიერებაზე დაფუძნებული თვისებრივი კვლევა - „საქართველოში არსებული რძისა და თაფლის მწარმოებელი ფერმერების მიერ წარმოების გაუმჯობესებული სტანდარტების დანერგვის ქვევის მამოძრავებელი ფაქტორები“, რომელიც ქვევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების გუნდის (BISC Partners) მიერ განხორციელდა.

კვლევა მიზნად ისახავს, ქვევის მეცნიერების ჭრილში შეაფასოს და გამოავლინოს, თუ რა დია და ფარული წამახალისებლები და წინაღობები ახდენს გავლენას ა) რძის მწარმოებელი ფერმერების ქვევაზე, ერთი მხრივ დანერგონ გეოგაპი საკუთარ ფერმაში, ხოლო მეორე მხრივ შეაფასონ ის საფრთხეები და შესაძლებლობები, რაც მის განხორციელებას უკავშირდება და ბ) მეფუტკრეების ქვევის მამოძრავებლები, თუ რა აფერხებთ ან რა მოტივატორები აქვთ, დანერგონ წარმოებაში ევროპული სტანდარტები.

კვლევაში წარმოდგენილია ფერმერებთან ჩატარებულ სიდრმისეული ინტერვიუების და ეთნოგრაფიული მონაცემების¹ გაერთიანებული ანალიზი. ეთნოგრაფიული დაკვირვებით მიღებული მონაცემები ზედმიწევნით ადასტურებდა სიდრმისეული ინტერვიუებით მიღებულ ინფორმაციას.

რატომ ქვევის მეცნიერება?

ქვევის მეცნიერება, რომელიც სოციალური მეცნიერების სფეროს წარმოადგენს, სწავლობს ადამიანების განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურას. კერძოდ, თუ რა სოციალური, სტრუქტურული თუ კულტურული ბარიერები და მოტივატორები აქვს ამა თუ იმ ქვევას.

დღეს მსოფლიოს მრავალი ქალაქი, რეგიონი და მთავრობა სისტემატურად იყენებს ქვევის მეცნიერებას (Behavioral Insights - BI) სურსათის სისტემების გარდაქმნისთვის. მათი მუშაობის შედეგები მიუთითებს, რომ კონტექსტუალური შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გათვალისწინება, ადამიანის ქვევისა და ზოგადად არჩევანის მეცნიერულ გაგებასთან ერთად, საშუალებას იძლევა შემუშავდეს სტრატეგიები, პოლიტიკა და ღონისძიებები,

¹ ეთნოგრაფიული კვლევა მოიცავს რეალურ სიტუაციაში დაკვირვებას, რომ უკეთ იყოს გამოკვლევული კონტექსტი, ფერმერის გარემო არსებული ფიზიკური და სოციალური გარემო.

რომლებიც გაცილებით ეფექტიანი, მისაღები, შესაფერისია და უფრო მიესადაგებიან კონკრეტულ მიზნებს, ვიდრე ტრადიციულ მოდელეებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

განხორციელებული კვლევაგ სრულად ეფუძნება ქვევითი მეცნიერების პრინციპებსა და მიდგომებს. ქვევის მეცნიერების და ქვევითი მიგნებების მეთოდოლოგიის არსია, დაიძლიოს ე.წ. Intention Action Gap² – როდესაც არსებობს ცნობადობის გარკვეული დონე (საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია), ინსტიტუციური წინაპირობა (რეაგირების ინსტიტუციური მექანიზმები) და დადებითი დამოკიდებულება (სურვილი საკუთარ ფერმაში დანერგოს გეოგაპი ან საფუტკრეში შემოიტანოს ევროპული სტანდარტი), თუმცა არ ხდება ქმედების დონეზე განხორციელება. სხვადასხვა გამოწვევისას „სურვილისა და ქმედების აცდენა“ სხვადასხვაგვარად ვლინდება, თუმცა ყველას ახსნა შეიძლება პარადიგმით, რომ ადამიანების განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი ხშირად ირაციონალურ სისტემას ეყრდნობა და უმეტესწილად ისეთი მარტივი მიზეზის ბრალი შეიძლება იყოს, როგორცაა დავიწყება, სიზარმაცე, სხვა პრიორიტეტები, პროცესის სირთულე ან გაურკვევლობა, ირაციონალური შიში და ა.შ. ანდა უფრო სიღრმისეული - სოციალური მიუღებლობა, ფესვგამდგარი მითები, სოციალური ნორმის არარსებობა და ა.შ.

შესაბამისად, შემოთავაზებული მიდგომით, ჩვენ შევცადეთ დაგვედგინა თუ რას ეყრდნობა ფერმერების განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, ამოგვეცნო თუ რა ხარისხით მონაწილეობს ირაციონალური სისტემა მათი გადაწყვეტილების პროცესში, დაგვემონ და განხორციელონ წარმოების პროცესი. აღნიშნული მოგვეცემს შესაძლებლობას განვსაზღვროთ მორგებული გადაწყვეტის (tailored solutions) გზები, რათა ვუბიძგოთ ადამიანებს სასურველი ქმედებისკენ და უზრუნველყოთ ცვლილების მდგრადობა.

ამ მიზნით, კვლევის მიგნებების საფუძველზე შემუშავდა ქვევის რუკა (Behavior Map), რომელიც წარმოადგენს ქვევის მამოძრავებელი ძალების (behavior drivers) და კონტექსტის ანალიზის დოკუმენტს. კერძოდ, დავადგინეთ არსებული ქვევის - რძისა და ფუტკრეობაში მწარმოებელი ფერმერების გეოგაპის ~~დანერგვისა, ხოლო მეფუტკრე ფერმერების შემთხვევაში - ევროპული სტანდარტების წარმოებაში შეტანის~~ წამახალისებელი (მოტივატორები) და ხელისშემშლელი (ბარიერები) ფაქტორების ანალიზი. ქვევის რუკა იძლევა ნათელ სურათს, თუ რა სახის სოციალური და ფიზიკური კონტექსტი არსებობს და რას შეიძლება დაეფუძნოს ცვლილების თეორია.

Commented [ESH1]: ორივე შემთხვევაში გეოგაპია, ევროპული სტანდარტი მეფუტკრეობაში არ გვაქვს
Commented [TS2R1]: მეფუტკრეობაში გეოგაპი არსებობს?

ღირებულებითი მიზნები

იმ ფაქტორების გასააზრებლად, თუ რა უწყობს ან უშლის ხელს სასურველი ქვევის განხორციელებას, აუცილებელი პირობაა საკითხების ფერმერის პერსპექტივიდან გააზრება. ამოსავალ წერტილად უნდა ავიღოთ მათი ფსიქოლოგია/ხასიათი, საჭიროებები და სურვილები. კერძოდ, თუ რისკენ მიისწრაფვის ის, რა არის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო, რა ფასულობის დაკმაყოფილებას ემსახურება გეოგაპის ~~წმინდ მწარმოებელი ფერმერების შემთხვევაში~~ ან ~~ევროპული სტანდარტების (მეფუტკრეების~~


Commented [ESH3]: იგივე კომენტარი რაც ზემოთ

² Hassan, L. M., Shiu, E., & Shaw, D. (2016). Who says there is an intention –behaviour gap? Assessing the empirical evidence of an intention–behaviour gap in ethical consumption. Journal of Business Ethics, 136(2), 219-236.

შემსჯევანი დანერგვა. ამ ფაქტორებს ვუწოდებთ ღირებულებით მიზნებს (Jobs-To-Be-Done). ეს ერთგვარი ქოლგა მოტივატორებია, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ნებისმიერი ტიპის ინტერვენცია, პოლიტიკა თუ საკომუნიკაციო სტრატეგია. კვლევაში გამოკვეთილია სამი ტიპის ღირებულებითი მიზნები: ფუნქციონალური, ემოციური და სოციალური.

ძირითადი მიგნებები

ქვეყნის ჩარჩოს გამოყენებით შეიქმნა ქვეყნითი ფაქტორების რუკა, რომლებიც განაპირობებს წარმოების გაუმჯობესებელი სტანდარტების დანერგვის ქვევას. ეს ჩარჩო ქვემოთ არის წარმოდგენილი.



ქვეყნითი ფაქტორების პირველი ჯგუფი არის პრობლემები (PAINS). პრობლემები ყველა ის ფრუსტრაცია და ბარიერია, რომლებსაც იწვევს არსებული ქვევა და რომელიც საჭიროებს ცვლილებას.

კვლევაში მონაწილე ფერმერთა უმეტესობა რამდენიმე ასეთ ძირითად პრობლემაზე საუბრობს. მთავარ პრობლემად არასაკმარისი ფინანსური რესურსები სახელდება, რაც თავის მხრივ რამდენიმე ძირეულ პრობლემას ქმნის ფერმის ფუნქციონირებაში. კერძოდ:

- **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა** - ფერმერთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ დღეისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ტექნიკის არარსებობაა. ერთი მხრივ მათ არ შეუძლიათ მიწის დამუშავება და საქონლისთვის საკვების წარმოება, მეორე მხრივ ხარისხიანი რძის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვა.

- **ადამიანური რესურსების პრობლემა** - ფერმერებს არ შეუძლიათ საკმარისი ხელფასის გადახდა, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ უფრო დიდ პრობლემას **საქმისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება წარმოადგენს**, რადგან ძირითად შემთხვევებში არავინაა დაინტერესებული სხვის ფერმაში ან სხვა მეფუტკრის მეურნეობაში მუშაობით.
- ბანკებთან თანამშრომლობა - მაღალი პროცენტი

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა საუბრობს **სხვადასხვა ინსტიტუციებთან კომუნიკაციის გაუმართაობაზე**.

- ერთ შემთხვევაში აღნიშნავენ, ინფორმაციის არ ქონის გამო ბანკებს არ გაუციათ საშეღავათო სესხები. აგრეთვე, რძის მწარმოებელი ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, რომ **ბანკები შეფასების პროცესში არასათანადოდ, უყურადღებოდ უდგებიან საქმეს** და ხშირ შემთხვევაში არ ესმით საქმის სპეციფიკა, რაც აფერხებს სესხის გაცემის პროცედურას.
- კვლევის ფარგლებში აგრეთვე აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში გრანტი ელემენტარული ტექნიკური შეცდომის გამო ვერ მიუღიათ, რაზე კომუნიკაციაც წინასწარ არ მომხდარა გრანტის გამცემი ორგანიზაციიდან/დაწესებულებიდან და რისი აღმოფხვრაც მარტივად შეიძლებოდა.
- გარდა ამისა, ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, გრანტის მოპოვების პროცესში **მათ არ უბრუნებენ დეტალურ უკუკავშირის არსებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით**, რაც ბუნდოვნად ტოვებს საკითხებს და არ აძლევთ მათ განვითარების საშუალებას.

არსებულ გამოწვევებზე საუბრისას, კიდევ ერთი მნიშვნელოვან პრობლემად წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია სახელდება.

- კვლევაში მონაწილე ფერმერთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ **ცდილობს თვითონ იპოვოს რეალიზაციის თბიქტები და არ მოუწიოს გადაამყიდველთან ურთიერთობა** - რაც თავის მხრივ აუფასურებს პროდუქტს - თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ამას ფერმერთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს. წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის სქემის გაუმართაობა საბოლოოდ აისახება იმაზე, რომ **გადაამყიდველებთან ბევრად ნაკლებ ფასად აბარებენ რძეს და რძის ნაწარმს და თაფლს**.
- ერთეულ შემთხვევებში აღნიშნავენ, რომ გამომდინარე იქიდან, რომ რიგ მუნიციპალიტეტებში რძის წარმოების მეურნეობა ნაკლებ განვითარებულია, არ ფუნქციონირებს რძის გადამამუშავებელი/ჩამბარებელი საწარმო, რაც კიდევ უფრო ართულებს პროდუქტის რეალიზაციას.

ფერმერების წინაშე არსებული პრობლემების საპირისპიროა **სარგებელი (GAINS), რასაც, ისინი სასურველი ცვლილების განხორციელების შედეგად ელოდებიან**.

ზოგადად გეოგაპის დანერგვა ფერმერებთან პოზიტიურ შედეგებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში რძის მწარმოებელი ფერმერები აღნიშნავენ, რომ მსგავსი სტანდარტების

არსებობის შემთხვევაში, ისინი შეძლებენ პროდუქციის უფრო მაღალ ფასში გაყიდვას და რეალიზაციის ისეთ ობიექტებში შესვლას, რისი შესაძლებლობაც დღეს არ აქვთ (იგულისხმება დიდი სავაჭრო ობიექტები/სუპერმარკეტები). მეფუტკრეების შემთხვევაში გაცილებით დაბალია სტანდარტების შესახებ ცნობადობა, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე დადებითი ტენდენცია, რომელიც უკავშირდება თავლის რეალიზების საჭიროებას/სირთულეს და მეფუტკრეების უმეტესის სურვილს, რომ გამოიყენონ პარტნიორი, მაგალითად რომელიმე კოოპერატივი, რომელიც ერთიანად ჩაიბარებს მათ თავლს. ამ მიზუნის/სურვილის საფუძველზე მათი ნაწილი იაზრებს, რომ უნდა მოუსმინოს და დააკმაყოფილოს ის პირობები, რომელსაც ეს კოოპერატივი წაუყენებს.

აგრეთვე, ფერმერთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სტანდარტების დაცვით წარმოებული პროდუქტი უფრო ხარისხიანი და სანდოა მომხმარებლისთვის და შესაბამისად მეტად კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადები იქნებიან ბაზარზე.

გარდა ამისა, ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, რომ მსგავსი სტანდარტების დანერგვა დაცულობის და დაზღვეულობის შეგრძნებასთანაა დაკავშირებული. მათი აღქმით, გეოგრაფიის მიღება ნიშნავს მეტ დახმარებას და ყურადღებას საჭიროების შემთხვევაში - აქ იგულისხმება ყურადღება და დახმარება სხვადასხვა ინსტიტუციების მხრიდან, გრანტების მიღების, სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობის, ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

ერთეულ შემთხვევებში ფერმერს აგრეთვე გააზრებული აქვს, რომ მსგავსი სტანდარტების დანერგვით არა მხოლოდ პროდუქტის ფასი იზრდება, არამედ უკეთესი შედეგები მიიღწევა საქონლის/ფუტკრების ჯანმრთელობის დაცვით და რესურსების ოპტიმალური გამოყენებით, რაც ფერმის დანახარჯებს ამცირებს.

ქვევითი ფაქტორების მესამე ჯგუფი მოიცავს ჩვევებს და არსებულ მიდგომებს/აღქმებს, რომლებიც ერთი მხრივ აფერხებს ცვლილებების განხორციელებისას, თუმცა აძლევს გარკვეული სახის სარგებელს. ამ ჩვევებს კომფორტს (COMFORTS) ვუწოდებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვევითი ფაქტორების ამ ნაწილში ძირითადად ისეთი ტიპის ქვევები განიხილება, რომლებიც ცვლილების განხორციელებას აფერხებს, აუცილებელია აღინიშნოს ზოგადად საქმიანობით მიღებული სარგებელი, რაზეც პოტენციურად შეიძლება სამომავლო - ჯანსაღი - ქვევა დაშენდეს.

- პირველ რიგში, გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ცხოველებთან ურთიერთობა და ზოგადად ფერმერული საქმიანობა სასიამოვნო და ღირებულია მათთვის და გარდა ამისა, მათ პირად ინტერესს წარმოადგენს შექმნან და აწარმოონ ხარისხიანი და ნატურალური პროდუქცია.
- ძირითად შემთხვევაში რეგიონში მათი და მათი ოჯახის წევრების დასაქმების და თავის შენახვის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

„ოჯახური ბიზნესი“

კვლევაში მონაწილე ფერმერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ფერმერული საქმიანობა ოჯახურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და თითქმის ყველა ამ ოჯახური საქმიანობის გამგრძელებელია.

ზოგადად ფერმერული საქმიანობა ოჯახურ ბიზნესად აღიქმება და ნაკლებად არის ადგილი გარეშე პირებისთვის (გარეშე პირი ძირითად შემთხვევებში მხოლოდ მუშახელად განიხილება). ფერმაში დასაქმება აღიქმება როგორც „სხვის ოჯახში დამხმარედ დასაქმება“, ნაწილობრივ ამ აღქმებთანაა დაკავშირებული ადამიანური რესურსების სიმცირე და ფერმაში დასაქმების არაპრესტიჟულობა. ეს დამოკიდებულება შეიძლება შეჯამდეს ფრაზაში: „რამედ რომ ვარგოდეს თავისი ფერმა ეწებოდა“.

ფინანსების და დამატებითი რესურსების მოძიება

- ბანკიდან სესხის აღება - ფერმის განვითარებისთვის და ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების მოსაძიებლად ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა ბანკებთან თანამშრომლობაა. ბანკიდან სესხის მიღება თანხის ყველაზე სწრაფი და ხშირად ერთადერთი საშუალებაა. მიუხედავად ამისა, ძირითად შემთხვევებში აღნიშნავენ, რომ სწორედ არსებული სესხის ვალდებულებები არ აძლევთ მათ განვითარების და ზრდის საშუალებას, რადგან შემოსავალი მხოლოდ სესხის დაფარვაზეა ორიენტირებული.
- გრანტების მოძიება - გამოკითხულ ფერმერთათვის რესურსების მიღების კიდევ ერთი გზა **სხვადასხვა ტიპის გრანტების მოძიებაა**. ფერმერები აღნიშნავენ, რომ საჭირო დოკუმენტაციების მომზადება დამატებით დროს, რესურსს და განსხვავებულ უნარებს მოითხოვს, თუმცა გრანტის მოძიების და მოპოვების პროცესში მხოლოდ თავად არიან ჩართულები და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვერ ახერხებენ გრანტის მოგებას, მაინც არ ჰქონიათ განსხვავებული პრაქტიკა.

ღმობიერი კანონი

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რძის მწარმოებელი ფერმერები აღნიშნავენ, რომ რძის და რძის პროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული არსებული კანონი სახელმწიფოს მხრიდან არ არის მკაცრად კონტროლირებული, რაც **მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ხელსაყრელია, რადგან არ უწევთ ისეთი სტანდარტების დანერგვა და დაცვა**, რასაც არსებული რესურსებიდან გამომდინარე ვერ დაიცავდნენ და შესაბამისად მოუწევდათ საქმიანობის შეწყვეტა.

ფაქტორების ბოლო ჯგუფია შფოთვა (ANXIETIES). ეს არის ბარიერები და მოსალოდნელი დისკომფორტი, რაც მოსალოდნელი ცვლილებების განხორციელებას უკავშირდება

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობისთვის, მათი რეალობიდან გამომდინარე გეოგაპის მიერ მოთხოვნილი სტანდარტები ხშირ შემთხვევაში არარეალური და გადაჭარბებულია. დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამისი სურვილი აქვთ, **ამ ეტაპზე საკუთარი რესურსებით, შეუძლებლად მიაჩნიათ ფერმაში მსგავსი სტანდარტის დანერგვა.**

ფერმერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **მსგავსი სტანდარტების დაკანონების შემთხვევაში შესაძლოა შეწყვიტონ საქმიანობა**, რადგან ფიზიკურად ვერ მოახერხებენ მოთხოვნების შესრულებას.

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა **არარეალურ სტანდარტებში რამდენიმე ძირითად საკითხს განიხილავს**, მათ შორის:

- მათი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეუძლებელია ფერმის ინფრასტრუქტურული გამართვა მოთხოვნების შესაბამისად;
- ადამიანური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენლად ეჩვენებათ ფერმის ფუნქციონირების სრული დოკუმენტირება, მათ შორის დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების გაწერა და რძის ან თაფლის წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნილი აღწერა.
- აგრეთვე ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება მუდმივი ლაბორატორიული კვლევები რძისა და თაფლის ხარისხზე და საქონლის ჯანმრთელობაზე და ამისთვის შესაბამისი ლაბორატორიების გამართვა.

საგრანტო განცხადებების წერის დისკომფორტები და მასთან დაკავშირებული სტერეოტიპები

კვლევაში მონაწილე ფერმერები აღნიშნავენ, რომ ფერმის განვითარების და მოთხოვნილი სტანდარტების დანერგვისთვის რესურსების მოძიება ძირითადად გრანტებს უკავშირდება, თუმცა **არსებობს დოკუმენტაციასთან და ოფიციალურ მხარესთან დაკავშირებული დისკომფორტები**. ფერმერებს უწევთ შეითავსონ სხვადასხვა საქმიანობა, რაც მათ კომპეტენციაში არ შედის და რაც ხდება გრანტის მოპოვების ბარიერი.

ასევე, მცირე და საშუალო ფერმერები აღნიშნავენ, რომ არსებული პროგრამები და **გრანტები მხოლოდ ისეთ ფერმერებს ითვალისწინებს, რომლებიც უკვე წარმატებულად მუშაობენ და გარკვეული სახის სტანდარტები აქვთ დანერგილი**. ნაკლებად აღიქვამენ თავს ამა თუ იმ გრანტის პოტენციურ ბენეფიციარებად.

ღირებულებითი მიზნები: JTBD (Jobs to be done)

კვლევით გამოიკვეთა ის ძირითადი ღირებულებითი მიზნები, რაც წარმოადგენს ცვლილების საფუძველს, თუ რატომ შეიძლება ფერმერმა იფიქროს ან მოინდომოს პრაქტიკის გაუმჯობესება.

ღირებულებითი მიზნები		
ფუნქციონალური	ემოციური	სოციალური
მინდა მეტი შემოსავალი მექონდეს	სტანდარტების დანერგვით თავს დაცულად და დაზღვეულად ვიგრძნობ	ოჯახური ტრადიციების დაცვა - სოციალური კაპიტალი, რისი დაცვა და შენარჩუნებაც მინდა
მინდა თანხა დავზოგო და უფრო ყაირათიანად ვაწარმოო საქმე	ცხოველებთან ურთიერთობა მაღლიერი საქმეა, მიყვარს ამ საქმის კეთება და მინდა კარგ პირობებში მყავდეს - სტანდარტების დანერგვა მათ ჯანმრთელობაზეც კარგად აისახება	ოჯახის წევრების დასაქმება და კეთილდღეობა - ფერმის გამართული მუშაობა ოჯახის კეთილდღეობაა
მინდა ჩემი ფერმერული საქმიანობა სტაბილური იყოს და ნაკლებად ვიყო დამოკიდებული გარე ფაქტორებზე		

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანია, დადგინდეს რძისა და თაფლის წარმოების მეურნეობაში პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტის - გეოგაპის ~~სოლო მეფუტკრეებში წარმოების ევროპული სტანდარტების~~ დანერგვის ძირითადი მოტივატორები და ბარიერები.

Commented [ESH4]: იგივე კომენტარი, საუბარია ორივე შემთხვევაზე გეოგაპის სტანდარტზე

კვლევის ამოცანებია დადგინდეს:

- ის ძირითადი გამოწვევები და სირთულეები, რომლებიც ღელს ფერმერების წინაშე არსებობს და საჭიროებს ცვლილებებს;
- პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტის დანერგვის აღქმული პოტენციური სარგებელი;
- წარმოებაში დღეისათვის არსებული პრაქტიკა და გამოცდილება;

- გეოგაპის და ევროპული სტანდარტების (წარმოების გაუმჯობესებული პრაქტიკა) დანერგვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დისკომფორტები და შიშები, რაც აფერხებს დანერგვის პროცესს.

კვლევის მეთოდოლოგია

1. საწყისი ეტაპი

კვლევის გუნდმა საწყის ეტაპზე კვლევის დეტალური დიზაინი შეიმუშავა, რომელიც კვლევის მეთოდოლოგიასა და ყველა ეტაპისთვის მიდგომებს მოიცავს, მაგალითად: შერჩევის დიზაინს/რესპონდენტების რეკრუტირების სტრატეგიას, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებსა და პროცედურებს, ანალიზის სტრატეგიას.

ფერმერთა მიერ ფერმერული პრაქტიკის გაუმჯობესების მოტივატორების და ბარიერების დადგენა, ქვეყნის ინსაიტების მეთოდოლოგიით (BISC Methodology) განხორციელდა, რომელიც ქვეყნის ცვლილების აღიარებული რამდენიმე მოდელის კომბინაციას წარმოადგენს, კერძოდ: β -mat³, COM-B⁴ და BASIC¹.

BISC მეთოდოლოგია, როგორც წესი, ოთხ ეტაპს ითვალისწინებს - 1. ქვეყნის ანალიზი (Behavior Analysis); 2. ინტერვენციის დიზაინი (Intervention Design); 3. გადაწყვეტების ტესტირება (Solutions Testing) და 4. ცვლილების სტრატეგიის შემუშავება ინტერვენციის მასშტაბირებისთვის უფრო ფართო აუდიტორიაზე (Change Strategy). წარმოდგენილი კვლევა კი BISC მეთოდოლოგიის პირველი ეტაპის - ქვეყნის ანალიზის ფარგლებში განხორციელდა.

ქვეყნის ანალიზის მიზანია, გამოკვეთოთ ერთი ან რამდენიმე ქმედება/ქცევა, რომლის გამოწვევაც ძირითად მიზეზებზე მუშაობასაც ექნება მასშტაბური ეფექტი (Key Behaviors). სწორედ ამ საკვანძო ქმედებების კონტექსტში ხდება ქვეყნის ანალიზი და მას საფუძვლად უდევს ე.წ. სასურველი ან მისაღწევი ქვეყნის მამოძრავებლების კვლევა. ქვეყნის ანალიზი (კვლევა) გვაძლევს ქმედების პრედიქტორებს, რასაც დაეფუძნება ცვლილების კონცეფცია.

2. სავსე სამუშაოების ეტაპი

დასახული მიზნების მისაღწევად მკვლევართა გუნდმა კვლევის თვისებრივი მეთოდი გამოიყენა. კერძოდ, დაიგეგმა სიღრმისეული ინტერვიუები მცირე, საშუალო და მსხვილ ფერმერთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სიღრმისეული ინტერვიუს მიზანს რძისა და თაფლის მწარმოებელი ფერმერების მიერ წარმოების გაუმჯობესებული პრაქტიკის (გეოგაპის) დანერგვის მოტივატორების და ბარიერების კვლევა წარმოადგენდა. ~~მეფუტყეთა შემთხვევაში - ევროპული სტანდარტების შემოტანა, ხოლო მერძევეების შემთხვევაში - გეოგაპის დანერგვა.~~ სიღრმისეული ინტერვიუ ძირითადად ფოკუსირებული იყო არსებულ და წარსულ გამოცდილებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, გაცხადებული

Commented [ESH5]: მოუხედავად იმისა რომ წყაროა მითითებული აქ უნდა იყოს განმარტებული თუ რას წარმოადგენენ ეს მოდელები

Commented [TS6R5]: არაა საჭირო.

Commented [ESH7]: ერთ სტანდარტზეა საუბარი

¹ https://www.researchgate.net/publication/220962627_A_behavior_model_for_persuasive_design

² Michie, S., Atkins, L., & West, R. (2014). The behaviour change wheel: A guide to designing interventions

³ <https://www.oecd.org/gov/regulatory-policy/tools-and-ethics-for-applied-behavioural-insights-the-basic-toolkit-9ea76a8f-en.htm>

დამოკიდებულებები ან სურვილები უმეტესწილად არ მოასწავებს რეალურ ქმედებას/შედეგს. სამომავლო ქვევის მოდელზე გასვლა, შესაძლებელია იმ ქვეცნობიერი ბარიერების ან ემოციური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოვლენით, რასაც შემდგომში დაეფუძნება „ქვევის რუკა“, კერძოდ⁶: ა) კოგნიტური პრიორიტეტები; ბ) წინასწარგანწყობები, გ) მენტალური მოდელი და გ) გადაწყვეტილების სირთულე.

აღსანიშნავია, რომ ქვევითი ინსაიტების კვლევა ასევე მოიცავდა ეთნოგრაფიულ კომპონენტს, რაც გულისხმობდა ფერმერების ქვევაზე დაკვირვებას მათ ჩვეულ გარემოში. დაკვირვება ხდებოდა რძისა და თაფლის წარმოების სრულ ციკლზე, მათ შორის ფუნქციონირების გადართობაზე, სავალდებულო ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და ზოგადად გეოგაპით და სახელმწიფო რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ჯამში განხორციელდა 4 ეთნოგრაფიული დაკვირვება რძის მწარმოებელ ფერმერებზე - ონში (რაჭა) და ტყიბულში (იმერეთი) და 2 მეფუტკრეებზე - ონსა და ამბროლაურში (სოფ. ქრებალო).

3. კვლევის ინსტრუმენტი

სიდრმისეული ინტერვიუების ჩასატარებლად მკვლევართა გუნდმა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს სახელმძღვანელო შეიმუშავა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა კითხვები, რომლებიც გარკვეულ სტრუქტურაში იყო მოქცეული და რომლებიც ძირითადად ფოკუსირდებოდა რძისა და თაფლის მწარმოებელი ფერმერების საქმიანობაზე, არსებულ გამოწვევებზე და გეოგაპის დანერგვის მოტივატორებზე და ბარიერებზე.

ეთნოგრაფიული დაკვირვების მიზნით შემუშავდა იმ საკითხების ჩამონათვალი, რაც შესაბამებოდა გეოგაპით და „თაფლის შესახებ სახელმწიფო რეგლამენტით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სიდრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელო და ეთნოგრაფიული დაკვირვების სახელმძღვანელო თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს (დანართი I და II, შესაბამისად).

⁶ ABCD model – part of BASIC framework of behavior change developed by OECD.

4. შერჩევა და სამიზნე ჯგუფი

კვლევის მონაწილეთა შესარჩევად მკვლევართა გუნდმა მიზნობრივი შერჩევა გამოიყენა. მიზნობრივი შერჩევა ხშირად გამოიყენება თვისებრივ კვლევაში და კვლევის მიზნების შესაბამისი, კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით მონაწილეთა შერჩევას გულისხმობს.

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული რძისა და თაფლის წარმოების მეურნეობა წარმოადგენდა.

მეთოდი	თვისებრივი კვლევა	
ტექნიკა	სიდრმისეული ინტერვიუ	ეთნოგრაფიული დაკვირვება
სამიზნე ჯგუფი	მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები	მცირე, საშუალო და მსხვილი ფერმერები
შერჩევის ზომა	21	4
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი	მიზნობრივი
კვლევის არეალი	საქართველო	რაჭა, იმერეთი
ინტერვიუს ხანგრძლივობა	საშ. 40 წთ.	4 დღე
საველე სამუშაოების ვადები	მაისი - ივნისი, 2023	მაისი - ივნისი, 2023

5. მონაცემთა შეგროვება

სიდრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ პლატფორმა ზუმის (Zoom) გამოყენებით. მკვლევარი წინასწარ ათანხმებდა რესპონდენტისთვის სასურველ დროს, რის შემდეგაც მას ეგზავნებოდა შეხვედრის ლინკი. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2023 წლის მაისი-ივნისის პერიოდში.

ეთნოგრაფიული მონაცემების შეგროვება ხდებოდა ადგილზე. მკვლევრების მიერ ვიზიტი განხორციელდა 19-20 მაისის პერიოდში, რომლებმაც ორ-ორი დღე დაუთმეს ეთნოგრაფიულ კვლევას თითო სემინტში - თაფლისა და რძის წარმოება.

6. მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით სადაც თითოეული ანალიტიკურ ერთეულს მიენიჭა ცვლადის კლასიფიკაცია.

შემუშავდა ქცევის რუკა (Behavior Map), რომელიც წარმოადგენს ქცევის დრაივერებისა და კონტექსტის ანალიზის დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგიით, ზემოთ აღწერილ

პატერნებზე დაკვირვებით და გამოკითხვით დადგინდა ის ფაქტორები, რაც განაპირობებს სასურველ ქვევას (მოტივატორები) ან პირიქით, წარმოადგენს ბარიერს.

მონაცემთა შეგროვების ეთიკური საკითხები

კვლევისთვის შერჩეულ რესპონდენტებთან წინასწარ ხდებოდა სატელეფონო შეთანხმება. მათ დეტალურად ეწოდებოდათ:

- კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- რესპონდენტის შერჩევის მიზნობრიობა და მათი კვლევაში მონაწილეობის მნიშვნელობა;
- ინტერვიუს მოსალოდნელი ხანგრძლივობა და ჩატარების მეთოდი (ონლაინ) ;
- ინფორმაცია ჩანაწერის გაკეთების, მისი შენახვის და გამოყენების თაობაზე;
- პირობა კონფიდენციალობასა და ანონიმურობაზე;

7. კვლევის შეზღუდვები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა მცირე და საშუალო ფერმას წარმოადგენდნენ და საუბრობდნენ, მხოლოდ ამ ტიპის ფერმების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, რაც შესაძლებელია განსხვავდებოდეს მსხვილი ფერმერების შემთხვევაში.

ასევე, კვლევაში მონაწილე მხოლოდ ერთ მსხვილ რძის მწარმოებელ ფერმერს ჰქონდა დანერგილი გეოგაპის სტანდარტი და შესაბამისად დანერგვის პროცედურებზე საუბარი ინტერვიუს ფარგლებში შეზღუდულად მიმდინარეობდა.

კვლევაში მონაწილე მხოლოდ ორ მეფუტკრე ფერმერს (1. 300 სკა, სატელეფონო ინტერვიუ, 2. 150 სკა, ეთნოგრაფიული დაკვირვება) ჰქონდა დანერგილი ევროპული სტანდარტი და შესაბამისად დანერგვის პროცედურებზე საუბარი ინტერვიუს ფარგლებში შეზღუდულად მიმდინარეობდა.

- Commented [ESH8]: საინტერესოა რა სტანდარტი ჰქონდა დანერგილი კონკრეტულად?
- Commented [TS9R8]: კონკრეტულ სტანდარტი არ უთქვამთ - ევროპაში გაქონდათ და დანერგილი გაქვსო, თქვენ.
- Commented [TS10R8]:

შესავალი

საქართველოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სურსათის უვნებლობის მიმართ როგორც კანონმდებლობის, ასევე მომხმარებლების მხრიდან. ამას ხელს უწყობს ტურიზმის სექტორის მზარდი ტენდენცია, რაც გამოიხატება ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე მოთხოვნის მატებაში.

რძის მწარმოებელი ფერმერები

2018 წელს ა(ა)იპ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ“ USAID-ის მხარდაჭერით პროექტ “ზრდა აქტივობა“-ს ფარგლებში შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ხილისა და ბოსტნეულის) პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტი – გეოგაპი. გეოგაპის მიზანს, ერთის მხრივ, საქართველოში მიკვლევადი და უვნებელი ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და გაყიდვების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა, მეორე მხრივ, ფერმერების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება წარმოადგენს.

2021 წელს პროექტმა „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში – (SQIL)“, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია Land O’Lakes Venture37-ის ფარგლებში, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით განაახლა სტანდარტი და დაამატა ახალი, რძის წარმოების მოდული, რომელიც გულისხმობს საქართველოში არსებული რძის მწარმოებელი ფერმერების სერტიფიცირებას.

მერძული ტიპის ფერმის სტანდარტი გეოგაპი, რომელიც მორგებულია ადგილობრივ პირობებსა და კანონმდებლობას, შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტ GLOBALG.A.P.-ზე დაყრდნობით. სტანდარტის მთავარი მიზანია წარმოებული რძე იყოს უვნებელი, ხარისხიანი და მიკვლევადი.

გეოგაპის სტანდარტის განახლება ხდება საქართველოში არსებულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, ხოლო ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით შესაძლებელია სტანდარტის გაფართოება.

გეოგაპის სტანდარტის დოკუმენტაცია შედგება მოთხოვნების სიისგან და სახელმძღვანელოსგან. მოთხოვნების სია არის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის მოთხოვნა რასაც მოიაზრებს სტანდარტი, ხოლო სახელმძღვანელო არის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის ახსნილი თუ რას მოიცავს თითოეული მოთხოვნა და როგორ უნდა დააკმაყოფილოს ფერმერმა აღნიშნული კრიტერიუმი.

სტანდარტის მოთხოვნების თემები სახელმძღვანელოსა და მოთხოვნების სიაში განაწილებულია შემდეგ 8 თავში: 1. ფერმერული მეურნეობა; 2. საქონლის იდენტიფიკაცია და მიკვლევადობა; 3. საქონლის კვება, დაწყურება; 4. საქონლის სადგომი; 5. საქონლის ჯანმრთელობა; 6. საწველი დანადგარები, წვლის პრაქტიკა; 7. ჰიგიენა; 8. რეცხვა/დუზინფექციისა და სხვა ექიმური საშუალებები.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არსებული რძის მწარმოებელი ფერმერებისთვის გეოგაპის სტანდარტი სიახლეს წარმოადგენს, ჯერჯერობით მწირია იმ ფერმერების რიცხვი, რომელთან მიღებული აქვთ ან გადიან გეოგაპის მიღების პროცესს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, იმ ქვევითი პატერნების დადგენა, რომელიც ერთი მხრივ ხელს უშლის სასურველი ქვევის (გეოგაპის დანერგვის) განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ ქმნის ამ ქვევის საჭიროებას (დრაივები).

მეფუტკრე ფერმერები

რთულია ფერმერებში მყარად დადგენილი და გამჯდარი ქვევების და ნორმების ცვლილება. მეფუტკრე ფერმერთა უმეტესობა არ იცნობს ადგილობრივ და ევროპულ სტანდარტებს და უჭირთ საჭიროების დანახვა. დადებით ტენდენციას წარმოადგენს გარკვეულ რეგიონებში ასოციაციების დაარსება, რომლებიც ცდილობენ ცნობიერების ამაღლებას და თანამედროვე სტანდარტების მაქსიმალურად გავრცელებას. ერთ-ერთ ასეთ გაერთიანებას წარმოადგენს ამბროლაურის მეფუტკრეთა ასოციაცია, რომელიც დაარსდა 2004 წელს იტალიური კომპანიის მხარდაჭერით, ამბროლაურში, ონის რაიონში, არაკომერციული მიზნებისთვის. ეს არის პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაცია და მისი ძირითადი საოპერაციო მიმართულებებია მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირებში განათლების დონის ამაღლება, ინფორმაციის მიწოდება, ასევე შუამავლის როლს ასრულებს თავლის მწარმოებლებსა და თავლის ექსპორტზე მომუშავეებს შორის. ასოციაცია რაჭის გარდა მუშაობს ასევე ლეჩხუმში (გაგერი) და სვანეთში (ლენტეხი).

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, იმ ქვევითი მოდელების დადგენა, რომელიც ერთი მხრივ ხელს უშლის სასურველი ქვევის განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ ქმნის ამ ქვევის საჭიროებას (დრაივები).

ემპირიული კვლევის შედეგები

არსებული ინფორმაცია - რძის მწარმოებელი ფერმერები

კვლევაში მონაწილე ფერმერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ძირითადად ინტერნეტიდან იღებს. ნაწილი აღნიშნავს, რომ გაწევრიანებულია სხვადასხვა ჯგუფში, სადაც მისთვის საინტერესო სიახლეებს ეცნობა. ძირითადად დაინტერესებულები არიან საქონლის ჯიშების განვითარებით, ფერმის მოდერნიზაციით/ინფრასტრუქტურის განვითარებით და სხვადასხვა სახის გრანტებით.

ერთეულ შემთხვევებში აღნიშნავენ, რომ ფერმერთა ასოციაცია თავად უკავშირდება და აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სიახლეზე.

„ძირითადად ინტერნეტიდან ვეცნობი, სოფლის მუერნობის სამინისტრო თუ დაღებს და რაიონში თუ მოვლენ.“ [IDI 1, საოჯახო მუერნობა - 3 სული, დაგოდხი]

„ინტერნეტიდან ვიღებ ინფორმაციას. სოციალურ ქსელებთან ნაკლებად მაქვს შეხება. ინტერნეტში ვსერჩავ ხოლმე. ქართულ ენაზეც და ინგლისურად უფრო მეტი.“ [ID12, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

„ფერმერთა ასოციაციიდან, სოციალური ქსელიდან, სააგენტოს მხრიდან - ინფორმაცია მიმიღია. ბევრგან რომ ვარ ჩართული გაწვდიან ინფორმაციას, რომ მიიღო მონაწილეობა და განვითარდე.“ [ID13, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„ჩემი ინფორმაციის ძირითადი წყარო ეს იყო ძირითადად ინტერნეტიდან მოძიებული ინფორმაცია. ახლა უკვე ნელ-ნელა დავიწყე პროფესიონალ ვეტერინარებთან კომუნიკაცია და ისინი კარგ რჩევებს მაძლევენ.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ძირითადად, Facebook-დან ვიღებ ინფორმაციას ან ჩვენი წარმომადგენელი მირეკავს ხოლმე. ჯგუფებში ვარ “მერძეეების მოდერნიზაცია”, “მესაქონლეობა საქართველოში“.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

გამოკითხულთა უმრავლესობას უჭირს გეოგაპზე ინფორმაციის სპონტანურად გახსენება, თუმცა შეხსენების შემდეგ შეუძლიათ ზოგადი ინფორმაციის აღდგენა. გეოგაპი, ფერმერთა უმრავლესობისთვის **გარკვეულ სტანდარტების დანერგვასთან ასოცირდება, რაც პირველადი შეფასებით სასურველად და პოზიტიურად ფასდება**, თუმცა მცირე და საშუალო ფერმერებისთვის სირთულესთან და **დიდ ფინანსურ შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული**, რისი მიღწევაც ახლო მომავალში შეუძლებლად მიაჩნიათ.

„გეოგაპის შესახებ მსმენია ფერმერთა ასოციაციიდან და ლენდოლეკის პროექტიდან.“ [ID13, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„ფერმერმა უნდა იცოდეს როგორ უნდა მოუაროს - ფართი სჭირდებათ, რათა მიიღონ სუფთა რძე და სუფთა პროდუქტი. სტანდარტებს უნდა ექვემდებარებოდეს.“ [ID11, საოჯახო მურწეობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„ზოგს არ უნდა - არ მანტერესებს, არ მინდა. ზოგს ფინანსები არ აქვს.“ [ID14, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

არსებული ინფორმაცია - თაფლის მწარმოებელი ფერმერები

კვლევაში მონაწილე ფერმერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ძირითადად ახლობლებისგან (მეგობრები, ოჯახის წევრები, მეზობელი მეფუტკრეები) იღებენ, ნაწილს საქმიანობის დასაწყისში გავლილი აქვს ტრენინგი ან გაცნობილია ლიტერატურას, თუმცა ზუსტ სახელს და წყაროს ხშირად ვერ იხსენებენ. მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ სიახლეებს ინტერნეტით ეცნობა, გააჩნიათ მათთვის სანდო წყაროები (კონკრეტული პირები), რომლებსგანაც იღებენ ინფორმაციას, თუმცა კონკრეტულ კრიტერიუმებს, თუ როგორ საზღვრავენ, თუ რამდენად კვალიფიციური და სანდოა ეს წყარო, ვერ ასახელებენ.

ერთი ფერმერის გარდა არცერთი რესპონდენტი არ იცნობს საქართველოს მთავრობის დამტკიცებულ „თაფლის შესახებ ტექნიკურს რეგლამენტს“ ან/და ევროპულ სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა თაფლის ექსპორტზე გასატანად.

„სიახლეებს ვერ ვიგებ. არანაირი სტანდარტი - არც ქარხანა, არც ლაბორატორია და რა სტანდარტი უნდა გავიგოთ.“ (IDI-H-9, 150 სკა, სიდნაი)

„ინტერნეტში ჩავრთავ და იქ ქვეყანა ის მაქვს. ადრე სად იყო ინტერნეტი. რუსული წიგნებით ვსწავლობდი. სიახლეებს მაინც რუსეთის “იმგენს იმავობი” და ინგლისური მე არ ვიცი და რუსებს აქვთ ამერიკული ნათარგმნი. ქართული არც მომიძებნია სიმართლე გითხრათ.“ (IDI-H-10, 150 სკა, თურჯოლა)

„თემური დოდობერიძეს რომ მიჰყავს ტრენინგები? ჩემი ძმის მოსწავლე იყო სოსო ფანჩულიძე, მაგან მოიშენა ფუტკარი და ორჯერ ჩაატარეს ტრენინგი ვიყავი ჩასული. ახალი არაფერი იყო, მაგრამ სულ სახლში ხო არ იქნები ვიღაცას უნდა დაელაპარაკო ხო უნდა წახვიდე.“ (IDI-H-10, 150 სკა, თურჯოლა)

„ეს ინფორმაცია სულ არის სადაც წიგნები ვიყიდე ადრე მაშინ იყო ვენერა სტეფანიშვილის და ახლაც არის.“ (IDI-H-4, 50 სკა, სოფ. სხვიტორი)

ღირებულებითი მიზნები (Jobs To Be Done – JTBD):

იმ ფაქტორების გასააზრებლად, თუ რა უწყობს ან უშლის ხელს ზემოაღნიშნული სასურველი ქცევის განხორციელებას, აუცილებელი პირობაა საკითხების ფერმერის პერსპექტივიდან გაზრება. ამოსავალ წერტილად უნდა ავიღოთ მისი ფსიქოლოგია/ხასიათი, საჭიროებები, სურვილები, მიზნები და ამბიციები. ადამიანები უმიზნოდ არ მოქმედებენ, ესა თუ ის ქცევა მათთვის საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებაა, ხოლო ეს მიზნები, როგორც წესი ღირებულებითი მნიშვნელობის მატარებელია. შესაბამისად, სასურველი ქცევის ძირითად მამოძრავებელ ძალას, კვლევის წინამდებარე დოკუმენტში მომხმარებლის „ღირებულებით მიზანს“⁷ (jobs-to-be-done) ვუწოდებთ. ეს არის ის, რის გამოც ფერმერი შეიძლება ჩაერთოს სტანდარტების ამადლების პროცესში და ეს არის ის საზომი, რომლითაც ისინი აფასებენ მოქმედების ხარისხსა და მისი შედეგებით კმაყოფილების დონეს. მომხმარებლის ფსიქოლოგიის ეს ხედვა ჩვენ საწყის წერტილად ავიღეთ და შევეცადეთ შეგვესწავლა „რა არის ფერმერის ის ღირებულებითი მიზნები, რომლებიც საჭიროა მათ ჩასართავად სტანდარტების ამადლების პროცესში?“ და „როგორ ზემოქმედებს არსებული „ხელშემშლელი“ და „ხელშემწყობი“ ფაქტორები ამ ამოცანის მიღწევაზე?“

ფუნქციონალური ღირებულებითი მიზნები:

- მინდა მეტი შემოსავალი მქონდეს
- მინდა თანხა დავზოგო და უფრო ყაირათიანად ვაწარმოო საქმე
- მინდა ჩემი ფერმერული საქმიანობა სტაბილური იყოს და ნაკლებად ვიყო დამოკიდებული გარე ფაქტორებზე

ემოციური ღირებულებითი მიზნები:

- სტანდარტების დანერგვით თავს დაცულად და დაზღვეულად ვიგრძნობ

⁷ ეს კონცეფცია პირველად პარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორმა კლეიტონ კრისტენსენმა შეიმუშავა და მიზნად ისახავს მომხმარებელთა ქცევის შესწავლას. <https://www.christenseninstitute.org/jobs-to-be-done/>

- ცხოველებთან ურთიერთობა მაღლიერი საქმეა, მიყვარს ამ საქმის კეთება და მინდა ცხოველები კარგ პირობებში მყავდეს - სტანდარტების დანერგვა მათ ჯანმრთელობაზე კარგად აისახება

სოციალური ღირებულებითი მიზნები::

- ოჯახური ტრადიციების დაცვა - სოციალური კაპიტალი, რისი დაცვა და შენარჩუნება მინდა
- ოჯახის წევრების დასაქმება და კეთილდღეობა - ფერმის გამართული მუშაობა ოჯახის კეთილდღეობა

არსებული მდგომარეობა - გამოწვევები [PAINS]

[პრობლემები, რაც წარმოადგენს არსებულ მდგომარეობასთან ან ქცევასთან დაკავშირებულ სისუსტეებს, რაც იწვევს განცდას, რომ ცვლილება აუცილებელია.]

დღესდღეობით ფერმერების წინაშე რამდენიმე ძირითადი გამოწვევა არსებობს, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ფერმის ეფექტური ფუნქციონირებისას:

**პრობლემა #1
ადამიანური რესურსები**

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობის მიხედვით, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა **ადამიანური რესურსების ნაკლებობაა**. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია ფინანსური რესურსების ნაკლებობით, რადგან ფერმას არ შეუძლია შესაბამისი ხელფასების გაცემა. თუმცა, როგორც ფერმერები აღნიშნავენ, უფრო დიდი **პრობლემა საქმისადმი დამოკიდებულებაშია**. ადგილობრივი მოსახლეობა არ არის დაინტერესებული მსგავსი საქმიანობით და ეთაკილებათ ფერმაში მუშაობა. მსხვილი ფერმის შემთხვევაშიც კი, სადაც ანაზღაურების პრობლემა ნაკლებადაა, მუშახელის მუდმივი დენადობაა და ძიების საჭიროება არსებობს.

ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, რომ **საქონლის მოშენიანებას და ფერმის განვითარებას გარკვეულწილად მუშახელის არარსებობა უშლის ხელს**, რადგან მათი ოჯახის წევრები ფიზიკურად ვერ უმკლავდებიან საქმეს.

რძის მწარმოებელ ფერმერებში გავრცელებული მოსაზრებაა, რომ უმჯობესია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიზნობრივად ამ საქმიანობისთვის ჩამოყვანა.

„ადამიანური რესურსების კუთხითაც ძალიან ცუდი სიტუაციაა. ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობა არ უნდათ. სუნი არ მოსწონთ, ძროხა არ მოსწონთ. მარტო რძე და ყველი უნდათ და ეს ისე არ მოდის.“ [ID1 1, საოჯახო მეურნეობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„მწყემსის და მომვლელის პრობლემა ყოველთვის იყო. ეთაკილებათ. მე ჩემი ძალებით ვუძღვები. ძირითადად უფრო იორმულადოდან ოჯახებით არიან ხოლმე და ისინი პატრონობენ და ისინი უვლიან.“ [ID13, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„მუშახელი გვაკლია ფერმაში არავის არ უნდა მუშაობა. ხან ჩვენ გვიწევს მუშაობა, ხან ვიღაც მოდის. ამაჟამად გვყავს, მაგრამ ხვალ და ზეგ როგორ იქნება არ ვიცი.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დელოფლისწყარო]

„ირგვლივ იმდენი უმუშევარია, მაგრამ მთავარი ანაზრაურებაა. პირობითად, 500 ლარად ფერმაში არ იმუშავენ. სახლში დაკლებიან და პენსიაზე ან სოციალურზე იქნებიან. ჩემი მხრიდან ფინანსებია პრობლემა, რომ ვერ გადავუხდი იმდენს, რომ ის აქ მოვიდეს. ყველა მაღარომ ვერ იმუშაებს.“ [IDI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ჩვენს რაიონში პროფესორს უფრო მარტივად იშოვი, ვიდრე ფერმის კარგ მწყემსს.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„ბევრჯერ მიფიქრია უცხო ქვეყნის მოქალაქე ხომ არ მოვიყვანო-მეთქი ან ტაჯიკი ან ვინმე. წვდომა რომ მქონდეს ამ ხალხთან დიდი სიამოვნებით მოვიყვანდი. ის რომ წამოვა იმ ქვეყნიდან იცის რომ საშუალოდ მოდის. აქ ვერ დავიდა ამათ დონეზე ჯერ ვერაფერი.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„მარტო მე და დედა ვუვლით და ვეღარ ვუმკლავდებით. ფიზიურად არავის არ უნდა მუშაობა სოფელში. ხელფასმდეც არ მისულა საუბარი სიმართლე რომ გითხრა. ზოგი თაკილობს, ზოგს არ უნდა. ბევრი ასეთი სიტუაციაა, ცოტა ქართული მენტალიტეტი მოქმედებს ამ ყველაფერზე.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

პრობლემა #2 ფინანსური რესურსები

ბანკებთან თანამშრომლობა - მაღალი პროცენტი

გამოკითხულ ფერმერთა თითქმის სრულ ნაწილს უთანამშრომლია და დღემდე თანამშრომლობს ბანკებთან სხვადასხვა ტიპის აგროსესხებზე. ფერმერები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული შეღავათებისა, **სესხებზე არსებული პირობები შეუსაბამოა მათ რეალურ შესაძლებლობებთან** და ხშირ შემთხვევაში ფერმის შემოსავალი მხოლოდ სესხის დაფარვაზე და საკუთარი თავის შენახვაზეა ორიენტირებული, შესაბამისად, უჭირთ ფერმის განვითარებაზე ფიქრი.

„დაიწყო მშენებლობა და არ არის დასრულებული. ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს. თუ იქნებოდა გრძელვადიანი სესხები და დაბალპროცენტიანი კრედიტი. 4 წლიანი სესხი არ ჰყოფნის ამ საქმეს.“ [IDI 1, საოჯახო მურენობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოდ ძალიან დიდი შეღავათი და თანადგომა შეღავათიან აგროკრედიტში, დონორებიც გვერდში გვიდგანან, მაგრამ როცა ბანკთან გვაქვს საქმე ის იღებს ქონებას და ფერმერი არჩევანის წინაშე ხარ - ვიყიდო პირუტყვი თუ ტექნიკა, რითიც დავაშალებ რაღაცებს. ფული ორივეზე არ გყოფნის. მერე ფიქრობ - ჯერ პირუტყვს ვიყიდი და როცა გავიზრდები მერე უკვე ტრაქტორს, მაგრამ არ დგება ეგ დრო, ვერ მიდიხარ მაქამდე.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„ეს შემოსავალი, რაც დღეს გვაქვს, ჩვენი ხელფასია. ფერმა მოგებაზე კი არ გადის, თავის თავს ინახავს.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

პრობლემა #3

კომუნიკაციის და ინფორმაციის ნაკლებობა

გამოკითხული ფერმერების შეფასებით, კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემა რამდენიმე საფეხურზე შეიძლება განვიხილოთ:

- ✓ რიგ შემთხვევებში იხსენებენ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ **საშედავითო პროგრამებზე ინფორმაცია არ ჰქონიათ ბანკებს** და შესაბამისად ვერ უსარგებლიათ აღნიშნული პროგრამით.
- ✓ აგრეთვე, ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, რომ **ბანკები შეფასების პროცესში არასათანადოდ, უყურადღებოდ უდგებიან საქმეს** და ხშირ შემთხვევაში არ ესმით საქმის სპეციფიკა, რაც აფერხებს სესხის გაცემის პროცედურას.
- ✓ კვლევის ფარგლებში აგრეთვე აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში გრანტი **ელემენტარული ტექნიკური შეცდომის გამო ვერ მიუღიათ**, რაზე კომუნიკაციაც წინასწარ არ მომხდარა გრანტის გამცემი ორგანიზაციიდან/დაწესებულებიდან და რისი აღმოფხვრაც მარტივად შეიძლებოდა.
- ✓ კომუნიკაციის ნაკლებობის და რიგ შემთხვევებში ტექნიკური გაუმართაობის გამო, რეგიონს ვერ მიუღია მონაწილეობა გამოცხადებულ პროგრამაში და ამის შესახებ არც ინფორმაცია მიუწოდებიათ.

„რადაც პროგრამა იყო - სახელმწიფო გიმატებდა რაღაცას, თავებში გიდებოდნენ და რომ მივედი არ ჰქონდათ ინფორმაცია. სახელმწიფო გთავაზობდა პროგრამას და ბანკებს არ ჰქონდათ ინფორმაცია.“ [ID12, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

„ზედაპირულად უყურებენ და გულით არ ცდილობენ, რომ მართლა ჩახედონ ამ პრობლემებს.“ [ID12, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

„პირველი ეტაპი გადავლახეთ, ბიზნეს მოდელმაც გაიმარჯვა, შემდეგ მოიწონეს და მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების ეტაპი იყო დარჩენილი რომ თანხა ჩამრიცხვოდა და ძალიან სასაცილო მიზეზი აღმოჩნდა გრანტის გაუქმების - კომუნიკაცია მიმდინარეობდა ჩვენსა და მათ წარმომადგენელს შორის შეიღობით და უცბად მომივიდა შეილზე ავტომატური უარი, რომ დაუარეს ჩემი შეილი. რამდენიმე თვე ვცდილობდი რომ გამეგო მიზეზი და მითხრეს, რომ მიწა მამარეშის სახელზე იყო და განმცხადებელი მე ვიყავი. ეთქვა ვინმეს 15 ლარი ღირდა ნებართვა და გადავიხდიდი.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„მე თუ ვარ ფერმერი არ ვარ არც ბუღალტერი, არც იურისტი. მე არ შემიძლია წინასწარ განვსაზღვრო რა პროცედურას რა დოკუმენტაცია შეიძლება სჭირდებოდეს. შეიძლება რაღაცებს მივხვდე, მაგრამ მათგან უნდა იყოს მოთხოვნა რომ გვითხრან რა გჭირდება. ან ხარვეზი მოგვეწერონ.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ყველაფერი შევავსე, მაგრამ ტერიტორია ჩემს სახელზე არ იყო და მე დავწერე, რომ ჩემს სახელზე იყო და ამის გულისთვის არ მომცეს. შუის პანელებს დგამდნენ.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„ვსარგებლობით ხელმძღვანელებს განაყოფიერების პროგრამით, ძალიან კმაყოფილები ვიყავით და წელს რატომღაც ზესტაფონი არ ჩასვეს პროექტში და როგორც მითხრეს ვეტუქიმმა არ მიიღო მონაწილეობა. ვეტუქიმმა თქვა, რომ განაცხადი გადავავაზე, მაგრამ იქ არ აისახაო. გაუგებრობა მოხდა.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„მერტული ჯიშის განაყოფიერება იყო დაფინანსებული. მარშან ვიღებდი მაგ პროგრამაში მონაწილეობას და მოვიდნენ შობადობის გადასამოწმებლად და ვკითხე უბრალოდ და მაქედან გამომდინარე მითხრეს. არც კი და არც არა. ინფორმაცია არ მოუწოდებიათ შესაბამისად რაში მდგომარეობდა.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

თაფლის მწარმოებელ ფერმერებთან ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება მათი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მწვავე დანაკლისი, კერძოდ:

- ✓ როგორც ეთნოგრაფიული დაკვირვების, ისე ინტერვიუების დროს გამოკითხულ ფერმერთაგან მხოლოდ ერთი იცნობს საქართველოს მთავრობის დამტკიცებულ „თაფლის შესახებ ტექნიკურს რეგლამენტს“ ან/და თაფლის ევროპულ სტანდარტებს.
- ✓ მეფუტკრეების უმეტეს ნაწილს არასოდეს მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის საგრანტო პროგრამაში და არც ინფორმაციას ფლობს ასეთი პროგრამების არსებობის შესახებ ან/და არ ენდობა მათ.
- ✓ ასევე გამოკითხულების უმრავლესობამ არ გაუვლია და არც აქვს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ, რომელიც დაეხმარებოდა მათ დაავადებებთან ბრძოლაში ან სხვა გამოწვევებთან გამკლავებაში. აქვე ემატება ის სირთულე, რომ მეფუტკრეთა ის მცირე ნაწილი, ვისაც სურს ახალი ცოდნის მიღება, მნიშვნელოვან გამოწვევად ასახელებს ტრენინგების ხელმისაწვდომობას და ჩატარების პერიოდს, რადგან მათთვის რთულია საქმიანობიდან დიდი ხნით ან/და დიდ მანძილზე მოწყვეტა.

„არ ვიცნობ სტანდარტებს. რაც პრაქტიკულად ვისწავლე ისე ვარ. მეგობრებისგან ვიღებ ინფორმაციას. წიგნებსაც ვკითხულობდი.“ (IDI-H-5, 13 სკა, თელავი)

„ტექნიკური რეგლამენტის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია. რას გულისხმობთ რეგლამენტში? ეგენი რომ გამისინჯეს, კი იყო ყველაფერი დაცული მაისის თაფლის ნიმუშში და ისე რა და როგორ უნდა იყოს არ ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო ესენი.“ (IDI-H-3, 60 სკა, ზესტაფონი)

„არასდროს არ მიმიღია გრანტები მე და კი შეუბნებოდნენ 4 წლის წინ კოოპერატივი გააკეთეთო და მე ვუთხარი, მთელი მსოფლიო თავისუფლებისთვის იბრძვის-მეთქი და არ მინდა არავის ის და მე ჩემით გავაკეთებ-მეთქი. კაცი კიდე ზვიდან დამადგეს არ მინდა. ცოტა მექნება ცოტას დაჯერდები, ბევრი მექნება ბევრს. (IDI-H-10, 150 სკა, თერჯოლა)

პრობლემა #4 **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა**

დღეს არსებული ძირითადი გამოწვევა მიწის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უქონლობაა. ეს განსაკუთრებით ეხებათ საშუალო და მცირე ფერმერებს, რომლებსაც არ გააჩნიათ პირადი ტექნიკა და უკეთეს შემთხვევაში უწევთ რამდენიმე ფერმერთან ტექნიკის გაყოფა ან დაქირავება, რაც საბოლოო ჯამში ფინანსურად არაეფექტური და არადროულია მათთვის.

როგორც ფერმერები აღნიშნავენ, მიწის დროული დამუშავების გარეშე შეუძლებელია საქონლისთვის საკვების წარმოება, რაც ფაქტიურად გამოორიცხავს საქონლის სამომავლოდ მოშენიანებას და ფერმის განვითარების პერსპექტივას.

„როდესაც პირუტყვის საკვებს ცალ-ცალკე აძლევ შემრევის გარეშე - რომელიდაც პირუტყვის მართო ერთი სახეობა სიამოვნებს და მერე მეწველი აღარაა. საკვების შემრევი გვჭირდება, მაგრამ ფინანსები არაა.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„პრობლემა ისაა, რომ გაძვირებული იყო შლოტები. მარცვალმა ფასი დაიწყო, მაგრამ ისინი არ იკლებს. სილოსს ჩვენ ვაშხადებთ. სიმინდის მარცვალზე გვაქვს პრობლემა ვერ მოგვყავს. სასილოსედ მოგვყავს, მაგრამ მარცვალი და ტარო ვერა.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„ჩემთვის პრობლემა თანამედროვე ტექნიკებზე ხელმისაწვდომობაა. მინდა ახალი ტექნიკა, მაგრამ ფული არ მაქვს. პაპაჩემის დროის ხელაა ჩემი ტრაქტორი.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„სირთულე ზოგადად არის ტექნიკის მომსახურება გვიქმნის სირთულეებს. ფაქტობრივად, არ არსებობს საცერი, საპრესი. ერთადერთია ზესტაფონში და იმასაც დასდებს მთელი ზესტაფონი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უქონლობაა პრობლემა.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„იონჯას მეთვითონ ვაწარმოებ - ანუ ზამთრის საკვებს. დავუშვათ, მოვცელე იონჯა. სამი დღე უნდა, რომ გამრეს და მერე პრესები გააკეთო. ვურეკავ ვისაც ტექნიკა აქვს - ის გპირდება რომ მოვა და ადარ მოდის. მერე იმას თუ დააწვიმა გაფუჭებულია მთელი წლის მოსავალი. ამიტომ მინდა ტექნიკა და ეს იქნება შედეგი.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

ფერმერების ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კოოპერატივების შექმნის შემთხვევაში შეეძლოთ ტექნიკის შეძენა, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ კოოპერატივის შექმნისთვის მოთხოვნილი წევრების რაოდენობა გამართლებული არაა.

კერძოდ, რძის მწარმოებელი ფერმერები აღნიშნავენ, რომ **ზოგიერთ რეგიონში შეუძლებელია ამ რაოდენობის ფერმერის მოძიება, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება შეძენილი ტექნიკის გაყოფა.**

„წელს მხოლოდ კოოპერატივებს მისცეს უფლება ტრაქტორის შეძენის. კოოპერატივში უნდა იყოს 10 წევრი გაწევრიანებული. ახლა წვიმებია მაგალითად და იონჯა მაქვს მოსაცელი. ორ დღეში ამინდი რომ გამოვა ამ ათმა კაცმა რანაირად გავიყოს ერთი ტრაქტორი - ხო დავწყვიტეთ ერთმანეთი.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„მინდოდა მაგის გაკეთებაც - კოოპერატივი უნდა შექმენა. თავიდან 5 წერი იყო, მაგრამ 10 წერზე აუყვანიათ. 5 კაცზე კიდე შეიძლება რაღაცის მოფიქრება და 10 კაცი ვერანაირად ვერ გაიყოფს ერთ ტრაქტორს.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„პირუტყვს თუ საკვები არ აქვს თავისთავად ვერ გააკეთებ ვერაფერს. საკვები რომ მოიყვანო ხომ უნდა დახნა, დახვნიდან დაწყებული მის ბოლო აღებამდე იმდენად ძვირი ჯდება ტექნიკით დაშუშვება, რომ ძალიან მიზეზი რაოდენობის გრჩება მითუმეტეს ჩვენ დიდი მიწები არ გვაქვს და არც ერთიან ფართობში გვაქვს გაფანტულია აქ-იქ ეს მიწები და ისეთი რამ არის, რომ არ გიღირს. ბუნებაზე დამოკიდებული ვართ, ტექნიკა არ გვაქვს. შარშან რომ დავთვალე რაც თანხა ჩავდევი რაც მოვიყვანე იმაზე მეტს ვიყიდი რეალურად მითუმეტეს შრომა მაინც არ შემხვებოდა. ელემენტარული უნდა იყოს დახმარება მიწის დაშუშვებაზე და საკვების მოყვანაზე. ვითომ სახელმწიფოსი ქირავდება, მაგრამ იმხელა თანხაზე აიყვანეს აზრი არ აქვს..“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

პრობლემა #5

კონკურენცია და არარეგულირებადი ბაზარი

გამოკითხული ფერმერები კიდევ ერთ პრობლემად ყველზე ფასის არამდგრადობას ასახელებენ. პირველ რიგში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათი პროდუქტი ხარისხიანი და სანდოა, ხშირ შემთხვევაში კონკურენციას ვერ უწევს რძის ფხვნილით დამზადებულ პროდუქტებს.

გარდა ამისა, ნატურალური რძის შემთხვევაშიც, ფასი არასტაბილურია და მათ საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული, რაც პასიურ როლში აყენებს მათ და აიძულებს რეალურ ღირებულებაზე ნაკლებად ჩააბარონ პროდუქტი.

„რძის ფხვნილით დამზადებული ყველი არაა ყველი. ვერ ვუწევთ კონკურენციას.“ [IDI 1, საოჯახო მურენობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„ფერმერობაში კარგს რას ვხედავ - კარგია ყველაფერი კარგია ფერმერობაში აწარმოებ ამდენ რძეს, ყველაფერი გინდა ნატურალური აწარმოო და მომხმარებელს მიაწოდო ბოლომდე, მაგრამ შემოტანილი ეს ფხვნილები ძან გვიშლის ხელს.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„ყველის ფასი არის ძალიან მერყევი. ბაზარზე დამოკიდებული, მაგრამ ისეთი თემაა. ყველის ფასი და საქმლის ღირებულება არაშეთავსებადია ერთმანეთთან.“ [IDI2, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

პრობლემა # 5

წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის გზები

რძის მწარმოებელი ფერმერების წინაშე არსებული გამოწვევებიდან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის რეალიზების გაუმართავი სქემაა.

ერთი მხრივ, ფერმერები აღნიშნავენ, რომ ნელლი რძის ფასთან შედარებით ყველის წარმოება უფრო მომგებიანია, მიუხედავად იმისა, რომ მეტ ხარჯთან და შრომასთან არის

დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნედლი რძის წარმოებას სურვილის შემთხვევაშიც ვერ მოახერხებდნენ გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს რძის გადამამუშავებლები/ჩამბარებლები მუნიციპალიტეტებში.

„სურვილი მექნებოდა, რა თქმა უნდა, უფრო მარტივი ყოფილიყო ეს პროცედურა და შესაძლებლობა მქონოდა ყოველდღიურად რძე ჩამებარებინა. ყველის დამზადების რამდენიმე დღიანი პროცესი აგვცდებოდა. თუ შეიძლება რომ ამას მსხვილი ფერმერი ეწოდოს, მე ვარ მუნიციპალიტეტში ყველაზე მსხვილი ფერმერი - ასე გამოდის ჩვენთან. ჩვენს გარდა არავინ არ არის და ჩვენს გამო არავინ არ მოვა.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ძირითადი ნაწარმი არის ყველი. ჩვენთან ნედლი რძის ჩამბარება არ ხდება. არც კლიენტია და არც მანქანები მოდის, როგორც სხვა რეგიონებშია. რძის გადამამუშავებელი საწარმოებიდან რომ დადიან მანქანებით და იბარებენ რძეს მსგავსი რამ ჩვენს მუნიციპალიტეტში არ ხდება. ამიტომ, რძის გადამამუშავებას და რეალიზაციასაც ჩვენივე რესურსებით ვუწევთ.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

მეორე მხრივ, დიდ პრობლემას წარმოადგენს რძის პროდუქტების **რეალიზაციის ობიექტების არ არსებობა**. კვლევაში მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მას თავად აქვს მოძიებული ობიექტები, სადაც ყველის რეალიზაციას ახდენს, თუმცა ფერმერთა უმეტესობას უწევს გადამყიდველებთან ურთიერთობა, რაც კიდევ უფრო აუფასურებს ნაწარმს.

„5 ლარი რომ ღირს ჩამბარება და კვება რომ 8 ლარი მიკვდება მინუსში მივდივარ. ზამთარში უკან წავდი. როცა ყველაზე საჭირო მომენტში მივდივარ ბანკებთან უარს გეუბნებიან. ვერც სახელმწიფოსგან ვიგრძენი დახმარება და ვერც ბანკებისგან.“ [ID12, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

„ყველის ფასი ბაზარზე არის ძალიან არასტაბილური მისი სუბონურობიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე. ყველაზე მაღალი ფასი არის ზამთრის პერიოდში და ტურიზმის ბუმის პერიოდში. ადგილზე ჩასაბარებელი ფასი როდესაც მანქანები მოდიან და ყველს იბარებენ არის 7 ლარი. რადგან მე ვუწევ რეალიზაციას ჩემს ყველს თბილისში რამდენიმე ობიექტი მაქვს და რეალიზება არის 13 ლარი. ფასთა შორის სხვაობა თბილისსა და რაიონს შორის, მაძლევს იმის საშუალებას, რომ დავფარო თბილისამდე ტრანსპორტირების ხარჯები, მაგრამ რასაც ადამიანური რესურსის ხარჯი ჰქვია ეს კიდევ ცალკე საკითხია.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„გადამყიდველების ხელშია ყველაფერი, ჩვენ რასაც ვპროდუცირებთ კვირამი რაც გვრჩება იმათ დღეში რჩებათ მაგდენი.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„ჭიათურის მუნიციპალიტეტს ავიღებ - ათი ფერმა რომ გააერთო ჩემი ფერმისხელა და უფრო დიდები საძოვარი არის, ბალახი მშვენიერია, ძროხები კომფორტულად იგრძობენ თავს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ჭიათურის ბაზარზე ყველის ფასი ჩამოვა 3 ლარზე იმიტომ, რომ ადგილობრივ ბაზარზე შეიქმნება ჭარბი პროდუქტი. ზოგს ჰყავს 15 სული, მაგრამ არ იციან როგორ გაყიდონ, რესურსი არ აქვთ რომ თბილისში წაიღონ და იძულებულნი ხდებიან ადგილზე მოსულ ვაჭრებს ნახევარ ფასში ჩააბარონ. ჯიბეს ვაჭრები ისე ეუბნებიან და ხალხი აქ ფერმამი დღე და დამე მუშაობს. არაა ეს სწორი.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

გამოკითხულ თაფლის მწარმოებელ ფერმერთა უმრავლესობაც **თაფლის რეალიზებას** ასახელებს მთავარ გამოწვევად, რომელიც თავისთავად ორ ნაწილად იყოფა:

1. **თაფლის ფასის ვარდნა** ბოლო წლებში, კერძოდ მეფუტკრეები ამბობენ, რომ თაფლი ადრე ბევრად მეტი ღირდა და მათ აძლევდა შესაძლებლობას, რომ ღირსეული შემოსავალი ჰქონოდათ, ახლა კი იმდენად შემცირებულია ფასი და ნაწილობრივ მოთხოვნაც, რომ უმეტესობა თვლის, რომ აღარ არის სარფიანი ეს საქმიანობა.
2. **რეალიზების მცირე მოცულობა**, კერძოდ მეფუტკრე ფერმერთა უმეტესობა თაფლის გაყიდვას ახორციელებს სანაცნობო წრის საშუალებით და ნაწილ-ნაწილ მცირე ოდენობით, რაც არ აძლევს მათ თანხის სტაბილურ შემოდინებას.

„არ აქვს რეალიზაცია თაფლს, თორემ არ შეყოლებოდა მოსწავლეები. სახელმწიფოს არ აინტერესებს. ერთეულები გელაპარაკებიან რაღაცეებს და გუბნებიან ისევ სათავისოდ. ჩვენ გლეხები გლახად ვრჩებით. 6 ლარად რომ თაფლს გეტყვიან წავიდოთ, როგორ უნდა ჩააბარო 10 ლარად ნატურალური თაფლი. მაქსიმუმ 11 ლარად ჩავაბარე.“ (IDI-H-4, 50 სკა, სოფ. სხვიტორი)

„არაფერი გეგმა არ მაქვს. გაყიდვა მინდოდა და ამის კლიენტიც აღარ იყო. რაც მე მჭირდება რო დამეტოვებინა და დანარჩენი გამეყიდა. რეალიზაცია მთავარი პრობლემა - ალბათ ცხოვრებისეულია.“ (IDI-H-9, 150 სკა, სიღნაღი)

პრობლემა #6

ელექტროენერჯია/ბუნებრივი რესურსები

ერთეულ შემთხვევებში აღნიშნავდნენ, რომ რეგიონში არსებული რესურსების ნაკლებობა პირდაპირ აისახება ფერმის ფუნქციონირებაზე და მის პოტენციურ განვითარებაზე, თუნდაც სტანდარტების დანერგვის კუთხით. კახეთის რეგიონში, ელექტროენერჯიის და წყლის შეზღუდული წვდომა ართულებს ნებისმიერი სახის სტანდარტის დანერგვის პროცედურას და ქმნის პრობლემას, რომელიც ერთეული ფერმერების მიერ ნაკლებად მოგვარებადია.

„ელექტროენერჯია არ მაქვს და გენერატორით საშუალებით ვწველი პირუტყვს, მაგრამ ეს არაა საკმარისი. ახლა ვცდილობთ რამენაირად გამოვიყვანოთ დენი - ბოლო 2-3 წელია ამას ვცდილობთ, მაგრამ შეიძლება კიდევ 1 წლამდე დრო დასჭირდეს ამ პროცესს.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„როდესაც ჩემთან იყვნენ ჩამოსულები წყალი არ მქონდა და მდინარის წყალს ვხმარობდი. ახლა ჭაბურღილი მოვაწყვეთ და იმის წყალი მექნება. დენის პრობლემა მაქვს - მარტო საწველად არ გჭირდება. ნაკლებამტანისთვის. ჰიგიენისთვის. სანამ დენი არ იქნება ცოტა ძნელია მაგ საკითხზე საუბარი. პირობები გინდა საიმისოდ, რომ დანერგო. ჩვევაში უნდა ჰქონდეს ფერმერს ეს ჩვევები.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

პრობლემა #7

დაავადებებთან ვერ გამკლავება და შედეგად ფუტკრების განადგურება

თაფლის მწარმოებელ ფერმერთა დიდი ნაწილისთვის დღესდღეობით საკმაოდ **რთული არის სკებისა და ფუტკრის დაავადებებთან გამკლავება** და გამოკითხულთა გარკვეულ რაოდენობას ამის შედეგად ფუტკრის ოჯახების დიდი ნაწილი გაუნადგურდა, ერთი

მეფუტკრის შემთხვევაში კი 2023 წლის გაზაფხულის მდგომარეობით ფუტკრის ოჯახები სრულად განადგურდა.

ყველაზე ხშირ გამოწვევად სახელდება ტკიპა. ფერმერთა უმრავლესობა ამბობს, რომ ახლა სწორედ ეს არის მათი მთავარი პრობლემა და ხშირ შემთხვევაში მათი აზრით, **საქართველოს ბაზარზე არსებული პრეპარატები არ არის შესაბამისი ხარისხის** და ამიტომაც უჭირთ ტკიპასთან ბრძოლა. რიგ შემთხვევებში ტკიპასთან ერთად აღინიშნა სკების „ჩაკირვის“ პრობლემაც. ასევე მეფუტკრეები ამბობენ, რომ გარემოს და კლიმატის ცვლილებამაც გართულა მათი მუშაობა, რამდენჯერმე ახსენეს ფაროსანასთან ბრძოლა და ამ პროცესში გამოყენებული მსამ-ქიმიკატების ნეგატიური გავლენა გარემოზე.

„მეფუტკრეობა ის აღარაა, რაც 15-20 წლის წინ იყო. მეფუტკრეობა გართულდა ადამიანების გარემოზე ზეგავლენის გამო - ფაროსანა, ტკიპა, კლიმატის ცვლილება, მსამ-ქიმიკატების გამოყენება. ეს ერთობლიობა პრობლემაა. მათ შორის, პირველია დაავადებები. გლობალური კლიმატური ცვლილებების გამოა თუ რის გამო - ეს მეცნიერებისთვის მიმინდვია. აღარაა მარტივი მეფუტკრეობა. 5 ოჯახამდე რომ ჰყავთ - ასეთი მეფუტკრეები მალე გაქრებიან. ისინი ვერ ახერხებენ თანამედროვე მედიკამენტების გამოყენებას... სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს - პრეპარატები, ხელოვნური ფიჭის ფირფიტები - ბაზარზე მიშვებულია. იყიდება ყველაფერი და არ არის ხარისხის კონტროლი. ხარისხი ეგება. ბიზნესი გახდა ფუტკრის საგურნალო პრეპარატების შემოტანა. (IDI-H-7, 300 სკა, გურია)

„მთავარი გამოწვევები ახალი დაავადება - ტკიპა რომ შემოვიდა, პრობლემა მეფუტკრეებისთვის. რომ ჰგონიათ მეფუტკრეებს რომ წამლობენ, სინამდვილეში არ აქვს შედეგი. ზოგადად, საქართველოში და ჩვენთანაც ძან ბევრი ფუტკარი დაიღუპა.“ (IDI-H-1, 40 სკა, ცაგერი)

„გაჭირდა მეფუტკრეობა და აღარ დირს... წამლები არ არის კარგი, გვიჭირს წამლები. ვვვლით წამლებს - ანც ერთი არ ვარგა - იგივე „ბიპინი ტე“ თურქეთიდან ჩამოტანილმა იმუშავა და საქართველოში შემოტანილმა არ იმუშავა.“ (IDI-H-3, 60 სკა, ზესტაფონი)

ქვევის ცვლილების პრედიქტორები: სარგებელი - ცვლილებისგან მოსალოდნელი მიღწევები [GAINS]

[მისწრაფებათა რეალიზაცია, ცვლილებისგან გამომდინარე შესაძლო მოგება, ზრდისა და გაუმჯობესების მოტივაცია. რა ღირებულება შეიძლება მოიტანოს ცვლილებამ სასურველი ქვევისკენ?]

ცვლილების მოსალოდნელი სარგებელი რძის მწარმოებელ ფერმერებში გეოგაპის დანერგვის პოტენციური სარგებელი

ზოგადად გეოგაპის დანერგვა ფერმერებთან პოზიტიურ შედეგებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში აღნიშნავენ, რომ მსგავსი სტანდარტების არსებობის შემთხვევაში, ისინი შეძლებენ **პროდუქციის უფრო მაღალ ფასში გაყიდვას** და რეალიზაციის ისეთ ობიექტებში შესვლას, რისი შესაძლებლობაც დღეს არ აქვთ.

„გეოგაპი რომ ავიდო ჩემს პროდუქტს შევიტან დიდ სუპერმარკეტებში სადაც ფასი ღირს. მაგ ბაზარზე წინ ვერ წახვალ, კი კარგი რძე და ყველი მაქვს, მაგრამ არ იყიდება იმ ფასად, რაც ღირს.“
[IDI 1, საოჯახო მურნეობა - 3 სული, ლაგოდეხი]

საერთაშორისო სტანდარტების დაცვით წარმოებული პროდუქტი **უფრო ხარისხიანი და სანდოა მომხმარებლისთვის და შესაბამისად მეტად კონკურენტუნარიანი** იქნებიან ბაზარზე.

„მოტივაცია მაქვს, რომ შემოსავალი გავზარდო. დადებითი მხარე ისაა, რომ ხარისხიანი რძიდან ხარისხიანი პროდუქტი ვაწარმოო.“ [DI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„სარგებელი ისაა, რომ ხარისხიანი პროდუქტი არის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნილი და ამავდროულად ყველაზე ღირებულიც. ეს ფერმერისთვის ფინანსურად მომგებიანია.“ {DI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა}

„ესეთ ფერმებში, რომლებიც არიან ინტენსიური ფერმები ან ფერმა, რომელიც საძოვრულ პირობებზეა და მოწესრიგებულია ჩემზე უკეთ განვითარებულები ვინც არიან - მათ შორის კონკურენცია მაგ კუთხით იქნება და მე როგორც მწარმოებელი ავირჩევდი კეთილ საიმედო ფერმიდან წამოღებულ რძეს.“ [DI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

გარდა ამისა, ფერმერების ნაწილი აღნიშნავს, რომ მსგავსი **სტანდარტების დანერგვა დაცულობის და დაზღვეულობის შეგრძნებასთანაა დაკავშირებული**. მათი აღქმით, გეოგაპის მიღება ნიშნავს მეტ დახმარებას და ყურადღებას საჭიროების შემთხვევაში. - *ჩვენს განცდას რომ მართო აღარ არიან და უკუთვნიან დიდ გაერთიანებას.*

„უფრო დაცული ხარ ყველანაირად, გვეხმარებიან რა უნდა გვექონდეს რა არ გვაქვს რა გვაკლია. უფრო დაზღვეული ხარ და კმაყოფილები ვართ ამით.“ [DI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დელოფლისწყარო]

ერთეულ შემთხვევებში ფერმერს აგრეთვე გააზრებული აქვს, რომ მსგავსი სტანდარტების დანერგვით არა მხოლოდ პროდუქტის ფასი იზრდება, არამედ უკეთესი შედეგები მიიღწევა საქონლის ჯანმრთელობის დაცვით და რესურსების ოპტიმალური გამოყენებით, რაც ფერმის დანახარჯებს ამცირებს.

„პროდუქტის ხარისხში მნიშვნელოვანია გეოგაპი და პირუტყვის ჯანმრთელობაში.“ [DI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„მსგავსი სტანდარტების დანერგვა მაგალითად, ახალ სტანდარტებზე პირადი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ წუდან ვახსენე - სათბურებლები მომცეს, არადა მანამდე არ ვაქცევდი ყურადღებას, ვფიქრობდი რა უნდა მომცეს-მეთქი, რადგან არც ისე ცოტა ფასი ღირს. შემდეგ დაკვირვებული ვიყავი იმას, რომ დილას რომ გაუშვებდი საქონელს ძალიან

ბევრ წყალს სვამდნენ და ახლა იქით საერთოდ აღარ იხედებიან როცა ჭირდება და როცა სურვილი აქვს მაშინ იღებს წყალს, წველადობამაც მოიმატა. მსგავსი სტანდარტების დანერგვა უკეთეს შედეგებზე გაგვიყვანს.“ (IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი)

თაფლის მწარმოებელი ფერმერების შემთხვევაში რთულია სტანდარტების დანერგვის, როგორც წინააღმდეგობა იხედება ხელშეწყობ ფაქტორებზე საუბარი, რადგან მათი უმეტესობა არც იცნობს რაიმე სახის ადგილობრივ თუ ევროპულ სტანდარტს და სამწუხაროდ ვერც იაზრებს, რომ მათი დანერგვა დაეხმარება არსებული გამოწვევების დაძლევაში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხული ფერმერებიდან მხოლოდ ერთს აქვს დარეგისტრირებული თავისი ფერმა და შესაბამისად, მისთვის ხელმისაწვდომია გაყიდვების სხვადასხვა არხები. ყველა დანარჩენი ფერმერი არაოფიციალურად აწარმოებს თავის პროდუქციას და რეალიზების ერთადერთ გზად პირადი კავშირები რჩება.

თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე დადებითი ტენდენცია, რომელიც უკავშირდება თაფლის რეალიზების საჭიროებას/სირთულეს და მეფუტკრეების უმეტესის სურვილს, რომ გამოიწვიოს პარტნიორი. მაგალითად რომელიმე კოოპერატივი, რომელიც ერთიანად ჩაიბარებს მათ თაფლს. ამ მიზეზის/სურვილის საფუძველზე მათი ნაწილი იაზრებს, რომ უნდა მოუსმინოს და დააკმაყოფილოს ის პირობები, რომელსაც ეს კოოპერატივი წაუყენებს. ასევე მეფუტკრეებს აქვთ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის მწვავე საჭიროება და უფრო გამოცდილ მეფუტკრეებთან, ასოციაციებთან თუ კოოპერატივებთან თანამშრომლობაში ხელავენ შესაძლებლობას, რომ ეს საჭიროება დაიკმაყოფილონ.

„გია დებულობს თაფლს და ლამაც ამბროლაურში და პრინციპში აღარც ჩერდება გამოიხდება და აღარ ჩერდება თაფლი. აღარ სჭირდება ბევრი რაღაც.“ (IDI-H-10, 150 სკა, თერჯოლა)

„რეალურად, არ არის გაყიდვის პრობლემა. როცა სწორად მიუდგები საკითხს და ამას რომ შეისწავლი. უნდა იგოდე ხარისხი, მიწოდების ეს ყველაფერი და როგორ მომხმარებელზე გადიხარ. მე მაღაზიათა ქსელში მუშაქვს. მე არ მყოფნის ჩემი 8-9 ტონა თაფლი და შეიძლება დავიმატო ერთი ამდენი კიდე. სხვებიდანაც ვყიდულობ. მაგრამ ვაქცევ ყურადღებას, რომ იგივე ტექნოლოგიით მოუარონ როგორცაა მე ვუვლი. მე ვაწვდი მათ ინფორმაციას. ვეხმარები სწორად ვგებავთ ყველაფერს და დაინტერესებულები არიან ისინიც.“ (IDI-H-7, 300 სკა, გურია)

„მე გავწვრიანდი კოოპერატივში და მივიღე მონაწილეობა კოოპერატივთან ერთად ... მივიღეთ სკები, ტექნიკური დახმარების პროგრამა იყო და გვინდა, რომ მოვიყვანოთ დღევანდელი მესაბამისობაში. ერთობლივად გავაკეთოთ ოჯახმა და კოოპერატივმა საწარმო, ეტიკეტი.“ (IDI-H-1, 40 სკა, ცაგერი)

ქვეყნის ცვლილების პრედიქტორები: კომფორტი - არსებული რუტინა {COMFORTS}

[არსებული რუტინა, ე.წ. “გატკეპნილი გზაა”, რითაც ვმოქმედებთ. ეს გზა არის გამოცდილი და უსაფრთხო, შესაბამისად მისი ცვლილება ყოველთვის რთულია.]

არსებული სარგებელი, რასაც საქმიანობით იღებენ - რაზეც შეიძლება სამომავლო ქვეყნის დაშენება

ემოციური და თირებულებითი სარგებელი

პირველ რიგში, გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ცხოველებთან ურთიერთობა და ზოგადად ფერმერული საქმიანობა სასიამოვნო და ღირებულია მათთვის და გარდა ამისა, მათ პირად ინტერესს წარმოადგენს შექმნან და აწარმოონ ხარისხიანი და ნატურალური პროდუქცია.

„ძირითადი მიზანი ჩემი შინაგანი მდგომარეობა იყო. მიხდოდა გამეკეთებინა ფერმა და ამ მიმართულებით განმევიტარებინა ეს საქმე. მაღალი მომგებიანობა არ იყო ჩემი მოტივი. ჩემი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა ეს, სურვილი მქონდა ფერმის გაკეთების და გაჯაყეთე კიდევ.“ [IDI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„შემდეგ, როცა საქართველოში დავბრუნდი, ზოგადად მიყვარს ისედაც ცხოველებთან მჭიდრო კონტაქტი მაქვს და სოფლის მუშაობაც მიზიდავს - ყველა მეძახის არაფერში არ გჭირდება დაანებე თავიო, მაგრამ მე მაინც ვერ ვანებებ თავს.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

თითქმის ყველა ფერმერი (მათ შორის ისინიც, ვისაც სრულად გაუნადგურდა ამ მნიშვნელოვნად შეუმცირდა ფუტკრის რაოდენობა და განიხილავს ამ საქმიანობისთვის თავის დანებებას) აღნიშნავენ, რომ **ფუტკართან მუშაობა და ურთიერთობა არის საოცარი გამოცდილება** და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ წყვეტენ მეფუტკრეობას.

აქვე შემოდის ის ფაქტორი, რომ ნაწილისთვის **მეფუტკრეობა წინაპრებისგან მემკვიდრეობით არის გადმოცემული, რაც სიამაყის საფუძველია**. ამ გრძობას აძლიერებს ისეთი შემთხვევები, სადაც მეფუტკრეების შვილებსაც სურთ საქმიანობის გაგრძელება და ეს არსებულ ფერმერებს მოტივაციას აძლევს, რომ სირთულეებს გაუმკლავდნენ და შეინარჩუნონ სკები.

„ჩემი მე-3 ურსული შვილი ირევა ფუტკრის გულისთვის. მუხმარება ხოლმე. ის თუ ჩაიბარებს. მე ვუბნები სხვა რამე მოძებნე-მეთქი და ირევა ფუტკრის გულისთვის, დაინტერესებულია. მე ვასწავლი ახლა. ინსტიტუტს რომ დაამთავრებს, დაუდგები გვერდში თუ ისწავლის.“ [IDI-H-10, 150 სკა, თერჯოლა]

„მე დავიწყე 90-ან წლებში. მიწისძვრა რომ იყო მაშინ საჩხერეში ისედაც ყველა განერვიულებული და... მერე ცუდად ვიყავი, გემოგლობინი დაბალი, თავფლს ვყიდულობდი და აღარ იყო იმდენი შესაძლებლობები. გადავწყვიტე, რომ აბა ვნახოთ... ერთი სკა ვიყიდე და იქიდან გავამრავლე. ვიყიდე წიგნები, იმდენად შემოყვარდა თვითონ მწერი სულ ვეფერებოდი, აღარ შემინოდა... ყოველდღე რომ არ ვუყურო ფუტკარს არ შემოძლია, სახლში მყავს. ვცხოვრობთ ერთად მე და ფუტკარი.“ [IDI-H-4, 50 სკა, სოფელი სხვიტორი]

ფინანსური სარგებელი

ფერმერული საქმიანობის ძირითადი მოტივატორი ფინანსური სარგებელია, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით აღნიშნული საქმიანობა ამ მხრივ ნაკლებად მომგებიანია, ძირითად შემთხვევაში რეგიონში მათი და მათ ოჯახის წევრების დასაქმების და თავის შენახვის ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

„დავიწყე დაახლოებით 2 წლის წინ. ფინანსური მხარე მთავარი მოტივი იყო. ქალაქისგან გადადლა და მომორება. მინდა, რომ ბრენდით “მოვხოდო” ყველის დაპატონებული წარმოება.“ [IDI2, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]

„ჩვენს მუნიციპალიტეტში დასაქმების ორი გზა არსებობს - ერთი ოჯახურ მუერნობაში, ვიდაცას მიწის ნაკვეთი აქვს ვიდაცას ეს ბევრი არაფერი მოდის, მაგრამ სახლში არიან და მეორე გზა არის მაღაროში. არჩევანი შეგიძლია გააკეთო ადამიანმა და ახლა ჩემი ოჯახის არც ჯანმრთელობის მდგომარეობა და არც სურვილი გვაქვს, რომ კილომეტრებით ჩავიღეთ მიწაში. ამ ეტაპზე შემოსავლის ერთადერთი გზა არის ფერმა.“ [IDI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„მე მასსოვს 90-ანების ბოლო ძროხის ტუტზე ვიყავით მთელი ოჯახი დამოკიდებული. მეტი საქმელი რომ არ იყო. შემოსავალია რძისგანაც და ხორცისგანაც. რო რამე მოხდეს არ უნდა გაუჭირდეს მერძეებს.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

„გადაწყვიტე პატარა ფინანსები რომ მქონდა ამეშენებინა ფერმა. მშობლებიც ასაკში შევიდნენ. მამა მუშაობდა და სამსახურში უწევდა სიარული - იქ მუშაობას ფერმაში როცა უნდა მაშინ მიდის, როცა უნდა მაშინ მოდის და თავის ჭკუაზეა ერთი სიტყვით.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

ფერმის მართვა - „ოჯახური ბიზნესი“

ოჯახური ტრადიცია

კვლევამ მონაწილე ფერმერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ფერმერული საქმიანობა ოჯახურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და თითქმის ყველა ამ ოჯახური საქმიანობის გამგრძელებელია. საქმიანობის დაწყების მომენტში მათ უკვე ჰქონდათ ამ მიმართულებით გამოცდილება და საწყისი კაპიტალი, რისი განვითარებაც და ოფიციალურ საქმიანობად ქცევა მოახერხეს.

„1996 წლიდან დავიწყე. ეს ოჯახური ტრადიციაა.“ [IDI 1, საოჯახო მუერნობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„მამა გახლდათ ფერმერი და მეც ამ მიმართულებით წავიდი. ამას წინ უძღვოდა ჩემი განათლება - მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებისა და წარმოების ტექნოლოგი.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„მეცხოველეობა ოჯახური საქმიანობიდან გამომდინარე - ოჯახშიც მყავდა, მაგრამ რადგან ნ.ბ რომ შემოიყვანა საქონელი დაუდუქი გვერდში და გავყვით მერძეულ საქონელს.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„როგორც ოჯახურ მუერნობაში, ჩართული ვართ ძალიან დიდი ხანია, მაგრამ როგორც ფერმერული მუერნობა დავიწყეთ დაახლოებით შესამე წელია. რაც ავაშენეთ ფერმა და დავიწყეთ საქონლის გამრავლება.“ [IDI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ბავშვობიდან ოჯახს ჰქონდა ფერმა - გყავდა კამეჩებიც, ღორებიც, საქონელიც. შემდეგ, საზღვარგარეთ მომიწია რაღაც პერიოდი ყოფნა. ოჯახს ამ დუნებებია ამ სფეროსთვის თავი,

მაგრამ იმ რაოდენობით აღარ ჰყავდა. საოჯახო პირობებში - 5 სულამდე საქონელი.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„სულ გყავდა ოჯახში პირუტყვი. დიდი რაოდენობით არ გყავდა, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ჩახედული ვიყავი ამ საკითხში. რაოდენობა რომ გაიზარდა სხვა პრობლემებსაც წავაწყდით. პატარა რაოდენობას სხვა რამე სჭირდება, დიდს სხვა. ჯერჯერობით ვუმკლავდებით და სამომავლოდ ვნახოთ.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

ფერმის/მეურნეობის მართვა - ფუნქციონირება

საშუალო და მცირე ფერმების შემთხვევაში, ფერმაში დასაქმებული ადამიანების თითქმის სრულ ნაწილს ოჯახის წევრები შეადგენენ. ფერმერული საქმიანობა ძირითადად ოჯახურ ბიზნესად არის აღქმული და მის მართვაში ნაკლებად ერევა გარეშე პირი. ადამიანური რესურსის საჭიროება ძირითადად უკავშირდება მუშახელს, ვისაც შეძლებისდაგვარად სეზონურად ქირაობენ ფერმერები. მცირე და საშუალო ფერმერები აღმასრულებელ ნაწილში თითქმის არ განიხილავენ გარეშე ადამიანს.

„ჩემი ოჯახის წევრები არიან ჩართულები ყველაფერში. წველის პროცესი და ყველის წარმოების პროცესში თავიდან ბოლომდე ჩართულია დედაჩემი. საწველ აპარატს სჭირდება მიხმარება და ამაში ხან მე, ხან მამაჩემი ვეხმარებით. დანარჩენი ანუ დასუფთავება კვება საქონლის გარეკვა მოყვანა და ასე შემდეგ მამაჩემი და მე როცა აქ ვარ.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„სეზონურად მყავს დასაქმებულები - ტრაქტორისტი, მექანიზატორი და მუშები - დამტვირთველი და დამცლელი.“ [ID13, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]

„ყველას თავისი ფუნქცია აქვს. რძესთან ურთიერთობა დედასთან არის დაკავშირებული. დასუფთავება მამასთან.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

ფინანსების და დამატებითი რესურსების მოძიება

ბანკიდან სესხის აღება

ფერმის განვითარებისთვის და ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების მოსაძიებლად ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა ბანკებთან თანამშრომლობაა. თუმცა, კვლევაში მონაწილეები აქვე აღნიშნავენ, რომ მიუხედავად შედავათებისა, სესხზე არსებული პირობები და მასთან დაკავშირებული ბიუროკრატია ხშირად ურთულებს საქმიანობას ფერმერებს. ძირითად შემთხვევებში აღნიშნავენ, რომ სწორედ არსებული სესხის ვალდებულებები არ აძლევთ მათ განვითარების და ზრდის საშუალებას, მიუხედავად ამისა, თანხის მოძიების სწრაფი და ხშირად ერთადერთი საშუალებაა.

„თანხის მოძიების თვალსაზრისით, მიმდინარეობს ბანკისთვის. არის დაბალპროცენტური სესხები, მაგრამ ყველაფრის შექენა ძვირი ჯდება და ვინმე თუ არ დაგეხმარა ძნელია - მალე ვერ ამოიღებ.“ [ID1 1, საოჯახო მეურნეობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„აქამდე ძირითადად ჩვენი და ბანკის რესურსებით მოვედი. მოგეხსენებათ საბანკო პროცენტი როგორც არის. არის პროგრამა სადაც სახელმწიფო ამ პროცენტს აფინანსებს, მაგრამ იმხელა ბიუროკრატიაა - უნდა გამარტივდეს პროცესი ან გვეხმარებოდნენ ამ პროცედურებში.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„მე ყველაფერი მაქვს სესხებით, ჩემი ხარჯებით გაკეთებული. ეს სესხებიც იმხელა პროცენტია, რომ 2012 წლიდან დღემდე ამ სესხის გასტუმრებაში ვარ. თუ არ მიამატე რამე, ერთ ადგილას გაიყინები.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობისთვის თაფლის რეალიზება ბოლო წლებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, მათი გარკვეული ნაწილი მაინც თვლის, რომ ეს საქმიანობა მომგებიანია თუ დაუბრუნდება ისეთ პირობებს, როგორც 10-15 წლის წინ იყო. თუმცა უმეტეს შემთხვევაში თვლიან, რომ ფასი სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს და დაეხმაროს მათ ამ პრობლემის მოგვარებაში.

გრანტების მოძიება

გამოკითხულ ფერმერთათვის რესურსების მიღების კიდევ ერთი გზა **სხვადასხვა ტიპის გრანტების მოძიებაა**. უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეძლებისდაგვარად ცდილობს მონაწილეობა მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომ პროგრამებში და შეავსოს განაცხადი სხვადასხვა ტიპის გრანტებზე. კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მიუღია რაღაც სახის დახმარება გრანტის ან გამოცხადებული პროგრამის ფარგლებში. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ **გრანტის მოძიების და მოპოვების პროცესში მხოლოდ თავად არიან ჩართულები, რაც დამატებით დროს, რესურსს და განსხვავებულ უნარებს მოითხოვს ფერმერისგან**.

„გრანტი მიმიღია - ხელოვნური განაყოფიერების კუთხით შემძინეს სპეც მანქანა და უქოსკოპის აპარატი ეს იყო გაერთიანებული მსოფლიო ბანკი ენპარდი“ [ID1, საოჯახო მეურნეობა - 3 სული, ლაგოდეხი]

„საკვებ დამრიგებელი მივიღეთ და როგორ მივიღეთ ეს ზუსტად არ ვიცი. გრანტი არ იყო მგონი, ალბათ შეღავათიანი რამე პროგრამა იყო. ერთი ეგ შევიძინეთ ფერმაში.“ [ID14, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„მარშან მომცეს საჩვენებელი ფერმის პროექტი იყო საწველი აპარატი მომცეს. ფეისბუქზე ვნახე, დავეწერე განცხადება, გადავაგზავნე შეილთ, მოვიდნენ ნახეს და გადაწყვიტეს გაკეთებინათ.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„მარშან იყო კარგი გრანტი, მაგრამ ელემენტარული რაღაცის გამო არ მომცეს. ახლაც მაქვს დაწერილი ბიზი აფინანსებს რაღაცებს.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„დაინტერესებული როგორ არ ვარ, მეთვითონ ვწერ და მე ვერკვევი ამ ყველაფერში.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

„მნიშვნელოვანი ახლა ამ ეტაპზე არის ტექნიკის შეძენა. დაწერილი მაქვს პროექტი და აგრეგატებს მპირდებიან საცერს და თივის საგროვებელს. სამომავლოდ ტრაქტორზეც ვიფიქრებ. ბიზი პეტროლიუმში აკეთებს - ჩემს ფერმასთან გადის მილსადენი და ყოველწლიურად

„აქეთებს ისეთ პროექტებს, რომ ადგილობრივი მუდრნეობის განვითარებას უწყობს ხელს - 5000 ლარამდე.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]

ღმობიერი კანონი

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რძის მწარმოებელი ფერმერები აღნიშნავენ, რომ რძის და რძის პროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული არსებული კანონი სახელმწიფოს მხრიდან არ არის მკაცრად კონტროლირებული, რაც მცირე და საშუალო მწარმეებისთვის ხელსაყრელია, რადგან არ უწევთ ისეთი სტანდარტების დანერგვა და დაცვა, რასაც არსებული რესურსებიდან გამომდინარე ვერ დაიცავდნენ და შესაბამისად მოუწევდათ საქმიანობის შეწყვეტა.

„კანონი არ გვიღლის ხელს იმიტომ, რომ რეგულაცია არ ხდება, კანონის გატარება არ ხდება. დღეს რომ კანონი მოქმედებდეს ვერავინ ვერ გაყიდა ამ რძეს და რძის პროდუქტებს.“ [IDI 1, საოჯახო მუდრნეობა - 3 სული, ლაგოლენი]

გადაჭარბებული თავდაჯერებულობა

წინა თავში აღინიშნა, რომ თავლის მწარმოებელი ფერმერების აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობს არც ადგილობრივ და არც ევროპულ სტანდარტებს და ამავე დროს შემოდის დამატებითი ფაქტორი, რომ მათი დიდი ნაწილი თვლის, რომ მისი ცოდნა და გამოცდილება საკმარისზე მეტია და არც ინტერესი და საჭიროება, რომ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ტრენინგების ან რაიმე სხვა ფორმით, რაც მისცემდა მათ მიდგომების გაუმჯობესების და გამოწვევების დაძლევის შესაძლებლობას.

ასევე მცირე ნაწილი ამბობს, რომ ინფორმაციას ინტერნეტის საშუალებით იღებს საჭიროების შემთხვევაში და ყავთ მათთვის სანდო ექსპერტები, რომელთა სიახლებსაც ეცნობიან, თუმცა ვერიფიკაცია, თუ რამდენად კვალიფიციურია ეს წყაროები, ვერ ხდება.

„არ მინდა, ქალბატონო, იმდენი რამე ვიცი ფუტკარზე - არაფერი არ მინდა. იმის მოთხოვნა გავქვს რომ გვერდში დგომა გვექონდეს.“ (IDI-H-3, 60 სკა, ზესტაფონი)

„ისე შე რად მინდა შემოწმება, შე ხომ ვიცი, რომ ნატურალურია.“ (IDI-H-4, 50 სკა, სოფ. სხვიტორი)

ქცევის ცვლილების პრედიქტორები: შფოთვა - სიახლესთან დაკავშირებული გაურკვევლობა [ANXIETIES]

გადაჭარბებული/ არარეალური სტანდარტები

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობისთვის, მათი რეალობიდან გამომდინარე გეოგაპის მიერ მოთხოვნილი სტანდარტები ხშირ შემთხვევაში არარეალური და გადაჭარბებულია. დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამისი სურვილი აქვთ, ამ ეტაპზე

საკუთარი რესურსებით, შეუძლებლად მიაჩნიათ ფერმაში მსგავსი სტანდარტის დანერგვა.

„მეთვითონ ავაშენე სადგომი ყველას დაუხმარებლად. ახლა ისეთი სტანდარტებია რაჟიცი, ისეთი არ მაქვს. ახლა ისეთ სტანდარტებს ითხოვენ საკონცერტო დარბაზები არ გვაქვს ჩვენ ეგეთი. ცოტა გადაჭარბებულია. სიმაღლეს და სიფართეს აკმაყოფილებს რაც ახლა მაქვს.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

„დაინტერესებული როგორ არ ვარ, მაგრამ ვერანაირად ვერ დავნერგავ ჩემს ფერმაში.“ [ID1, საოჯახო მურნეობა - 3 სული, ლაგოდუხი]

ფერმერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **მსგავსი სტანდარტების დაკანონების შემთხვევაში შესაძლოა შეწყვიტონ საქმიანობა**, რადგან ფიზიკურად ვერ მოახერხებენ მოთხოვნების შესრულებას.

„რასაც ჰქვია სტანდარტი და სუფთა რძე ვერც ერთი ოჯახური მურნეობა ვერ მიიღებს იმ რძეს. კანონი მოითხოვს ამას, მაგრამ ვერავინ ვერ აკმაყოფილებს ამ კანონს და რომ იყოს რეგულირებული აღარავინ აღარ დარჩებოდა.“ [ID1, საოჯახო მურნეობა - 3 სული, ლაგოდუხი]

„საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა: ჩემი გადმოსახედიდან და ჩემი მდგომარეობიდან, ეგ რომ კანონმდებლობით შემოვიდეს და გლეხებს აგვირძალონ ბაზარზე პროდუქციის გატანა, ვერც ერთი გლეხი ვეღარ დაიყენებს საქონელს, ვერ დანერგავენ მაგ სტანდარტებს.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა **არარეალურ სტანდარტებში რამდენიმე ძირითად საკითხს განიხილავს**, მათ შორის:

- მათი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეუძლებელია ფერმის ინფრასტრუქტურული გამართვა მოთხოვნების შესაბამისად;
- ადამიანური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენლად ეჩვენებათ ფერმის ფუნქციონირების სრული დოკუმენტირება, მათ შორის დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების გაწერა და რძის წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნილი აღწერა.
- აგრეთვე ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება მუდმივი ლაბორატორიული კვლევები რძის ხარისხზე და საქონლის ჯანმრთელობაზე და ამისთვის შესაბამისი ლაბორატორიების გამართვა.

„გაკეთებადი რა თქმა უნდა არის. მანდ ბევრი წვრილმანია ჰასუხისმგებელი ჰირები, რომლებიც საშუაოს ასრულებენ, მათი საშუაო საათები და ა.შ. - მაგ მოთხოვნებს ესაჭიროება ვეტერინარული საშუაობების ჩატარების ნუსხა, რძის კვლევები ჰერიოდული მინც და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მინი ლაბორატორია, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, რომ რძეში ბაქტერიების არსებობა ან არარსებობა განსაზღვროს.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„ადამიანური რესურსებიც სჭირდება - ამ ეტაპზე ჩვენს ფერმაში ოჯახის ყველა წევრის ჩართულობის მიუხედავად მაინც ადამიანური რესურსის ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ შემოსავლები არ გვაძლევს ამის საშუალებას.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჟიათურა]

„მაგ სტანდარტებს ვერანაირად ვერ გავწვდები. მე ხო ვიცი აქ რანაირად, როგორ არის. ვის როგორი ფერმა აქვს. ფერმას ვეძახით, თორემ ბოსელი არის ეს იმერულად.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„იმხელა დავალებებია, რომ ბევრი ვერ შეძლებს.“ [ID14, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„ამ ეტაპზე ვერანაირად ვერ შევწვდები მაგას. დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მითუმეტეს, რომ დღევანდელი ბაზარი არასტაბილურია.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

საჭირო რესურსების მოძიების სირთულეები

კვლევაში მონაწილე ფერმერები აღნიშნავენ, რომ ფერმის განვითარების და მოთხოვნილი სტანდარტების დანერგვისთვის რესურსების მოძიება ძირითადად გრანტებს უკავშირდება, თუმცა არსებობს **დოკუმენტაციასთან და ოფიციალურ მხარესთან დაკავშირებული დისკომფორტები**. ფერმერებს უწევთ შეითავსონ სხვადასხვა საქმიანობა, რაც მათ კომპეტენციაში არ შედის და რაც ხდება გრანტის მოპოვების ბარიერი.

ასევე, მცირე და საშუალო ფერმერები აღნიშნავენ, რომ არსებული პროგრამები და **გრანტები მხოლოდ ისეთ ფერმერებს ითვალისწინებს, რომლებიც უკვე წარმატებულად მუშაობენ და გარკვეული სახის სტანდარტები აქვთ დანერგილი**. ნაკლებად აღიქვამენ თავს ამა თუ იმ გრანტის პოტენციურ ბენეფიციარებად.

„ზოგადად ფერმერი, რომელიც ფერმერულ მურნეობაშია ჩართული, მისთვის ეს ბიუროკრატია უცხოა.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჟიათურა]

„ესეთი დოკუმენტაციები მოითხოვება, შინაარსსაც კი ვერ გამოიტანს ფერმერი და სურვილი დაეკარგება. ეს მხოლოდ ისეთი ფერმერებისთვისაა ხელმისაწვდომი, რომელთაც უკვე ჰყავთ ბუღალტერი და აქვთ შეხება.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჟიათურა]

„მელა უყურებდა ყურძენს და ბოლოს გადაწყვიტა რო მკვახეაო ზუსტად ეგ მოცემულობაა.“ [ID15, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჟიათურა]

„1-2-ჯერ ჩემით დავწერე გრანტი. არ მიმიძრთავს არც ერთი კომპანიისთვის, რომ ბიზნეს გეგმა დაწერათ. საწყის სიტუაციაზე იყო საუბარი. მე რეალურად ჩამოვწერე იქ რაც მჭირდებოდა და რასაც გრანტი ითვალისწინებდა. არც ერთი გრანტი არ მიმიღია და არც მეორე ეტაპზე არ გადავსულვარ. ცოტა ევლი შეხედულებები მაქვს ამ გრანტებზე.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„ჩემი დონის ფერმერი არ მინახავს, რომ ვინმე დაუფინანსებინოთ. რა ინფორმაციაც მაქვს, სულ ისეთებს აფინანსებენ, ვინც უკვე წარმატებულია და ცოტა მაღალ ლეველზე დგას.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„ვინც ახლა იდგამს ფეხს და საწყის ეტაჟზეა თუნდაც მათზე არაა გათვლილი. რაც შეხება მქონია ეგეთი შთაბეჭდილება დამრჩა.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„შეიძლება ჩემი დონის ფერმერმა და ოდნავ კიდევ უფრო განვითარებული ვინცაა ვერ დაწეროს იმ დონის და ისეთი სიტყვებით, როგორც ითხოვენ. ყველა ვერ გააქეთებს ისე, როგორც ითხოვენ. მესმის, რომ რაღაც დონეზე უნდა იყოს ეს და ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ აზრთან შესაბამისობაში იყოს. ვითომ იყო, რომ ტრენინგებს ჩაატარებდნენ და შემდეგ დაწერდნენ, მაგრამ იმ ტრენინგებამდე ხომ უნდა მიიყვანო ადამიანი.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

როგორც წინა თავებში აღინიშნა თავლის მწარმოებელი ფერმერები არ იცნობენ თავლთან დაკავშირებულ სტანდარტებს და აქედან წარმომობილ მოთხოვნებსა თუ შეზღუდვებს, შესაბამისად არც აქვთ გააზრებული, რომ რაიმე სირთულეებს შეიძლება წააწყდნენ ცვლილებების შემთხვევაში და არც გამოხატავენ შფოთვის ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

თუმცა სიღრმისეული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ორი გაურკვეველობა:

1. სხვა თავლის მწარმოებელი ფერმერების მიმართ უნდობლობა, რაც გამოწვეულია უარყოფითი გამოცდილებებით. კერძოდ დაფიქსირდა შემთხვევები, როცა კონკრეტულმა ფერმერებმა აღნიშნეს, რომ პირადად ჰქონიათ შემთხვევები ან ნაცნობი კოლეგებისგან სმენიათ, რომ სხვა მეფუტკრეები არ არიან მოწადინებული რომ დაეხმარონ მათ ან უარეს შემთხვევაში შეიძლება განზრახ არასწორი კონსულტაცია გაუწიონ.

„ინტერნეტშიც ვეცნობი ინფორმაციას. აი მაგალითად გადაყოფის პერიოდი რო რაღაც ისეთი არ გამოგრჩეს. არიან ადამიანები, მაგრამ არ გეხმარებიან და ჯობია, რომ სადღაც მოიძიო. არიან ადამიანები, რომლებმაც შეიძლება უკუღმა გაგაქეთებინონ საქმე. ძალიან ახლოებული თუ დაგეხმარება. ფუტკარს როგორც პატარა ბავშვს ისე უნდა მოვლა.“ (IDI-H-6, 0 სკა, თელავი)

„არ მივდია რავიცი ასე მგონია მეფუტკრეები ძან იშვიათად უზიარებენ ერთმანეთს თავის გამოცდილებებს ბოლომდე ზუსტად. არც მე არ მივდია ვის დავაბრალო ჩემს თავს დავაბრალებ. შეიძლება მითხრან კიდევ, მაგრამ მე როცა მეფუტკრეობა დავიწყე ერთ-ერთმა მეფუტკრემ მითხრა, მე მაინტერესებდა ჭია როგორი იყო და კვრცხი როგორი ჰქონდა, ასე მითხრა - შენ რომ გასწავლო, მე გამიქრება ფუტკარიო, მის მერე აღარც არავისთვის არაფერი მივითხია. (IDI-H-4, 50 სკა, სოფელი სხვიტორი)

2. როგორც დასაწყისში აღინიშნა თავლის მწარმოებელი ფერმერების უმრავლესობა არ აწარმოებს ოფიციალურ იურიდიულად დარეგისტრირებულ საქმიანობას და მიზეზად, თუ რატომ არ ახდენენ რეგისტრირებას, დასახელდა ის რომ არ აქვთ ინფორმაცია, ეს როგორ უნდა განხორციელდეს და ასევე წარმოუდგენიათ, რომ ეს როგორც დარეგისტრირების პროცესში, ისე შემდგომ საქმიანობის წარმოების დროს, ბევრ ბიუროკრატიულ შეზღუდვასთან და სირთულესთან არის დაკავშირებული.

არსებული მდგომარეობის შეფასება გეოგაპის მოთხოვნებთან მიმართებაში რძის მწარმოებელი ფერმერების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულია არსებული მდგომარეობის მოკლე შეჯამება გეოგაპის მიერ გათვალისწინებული მოთხოვნების ძირითადი თავების მიხედვით.

მონაცემები ეფუძნება როგორც სიღრმისეული ინტერვიუების, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზს.

ფერმერული მეურნეობა	ყველაზე ნაკლებად გამართული, გამომდინარე იქიდან, რომ საშუალო და მცირე ფერმებში ნაკლებად კეთდება ჩანაწერები და მდგომარეობის ოფიციალური დოკუმენტირება. ეს საქმე ყველაზე შრომატევადად არის აღქმული.
საქონლის იდენტიფიკაცია და მიკვლევალობა	თითქმის ყველას აქვს დაცული და სირთულეს არ წარმოადგენს. <i>„ყველას აქვს ინდივიდუალური საყურე ნიშანი.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]</i>
საქონლის კვება და დარწყულება	საკვებს ძირითადად თვითონ აწარმოებენ, ამუშავენ მიწას და დამატებით საკვების შესყიდვის შემთხვევაშიც საკუთარ პასუხისმგებლობად არ აღიქვამენ საკვების შემადგენლობის გარკვევას. <i>„ჩვენ ძირითადად ნახირის პირობებში გვყავს გაშვებული საძოვარზე. მე თვითონ ვაწარმოებ იონჯას. ხორბალი, სიმინდი. მეტს ისეთს არაფერს არ ვაჭმევ.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]</i>
საქონლის სადგომი	ხშირ შემთხვევაში სივრცე არ აძლევს სტანდარტების იდეალურად დაცვის შესაძლებლობას და სწორედ ამიტომ ფიქრობენ ახალი შენობის აშენებაზე, რისთვისაც ფინანსების მოძიება ძირითადად ბანკებთან უწევთ. <i>„თბილისიდან წამოსულ ადამიანს შეიძლება სხვა მოლოდინები ჰქონდეს სხვა რეალობა დახვდეს აქ. ისეთი დიდი ფერმა ვერ იქნება და ისე კაპიტალურად მოწყობილი.“ [ID17, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]</i>
საქონლის ჯანმრთელობა	სრული ნაწილი თანამშრომლობს ვეტერინართან და პერიოდულად ამოწმებს საქონლის ჯანმრთელობას, თუმცა ნაკლებად ხდება რძის ხარისხობრივი გადამოწმება ლაბორატორიების არქონის გამო. <i>„რძის ხარისხობრივ მონაცემებს არა, მაგრამ ვეტერინარი მოდის, სისხლს უღებთ და ვამოწმებთ.“ [ID16, საშუალო ფერმერი - 12 სულ, ზესტაფონი]</i>
საწველი მოწყობილობა და დანადგარები	გამოკითხულთა სრული ნაწილი აღნიშნავს, რომ აქვს საწველი აპარატი, რომელსაც ყოველი გამოყენების შემდეგ ასუფთავებენ. წველის პროცესი და ინსტრუქცია დოკუმენტურად არ არის აღწერილი.

	<p>„უკვე მაქვს საწველი აგრეგატი, რძე უფრო სუფთაა, ნაკლები მიდრეკილება აქვს გაფუჭებისკენ. ბალახი და ფეკალიები შიგნით არ ჩადის. წველის პროცესი გაუმჯობესდა ჩემთან.“ [IDI3, საშუალო ფერმერი - 20 სული - გურჯაანი]</p>
ჰიგიენა	<p>ფერმერთა შეფასებით, ფერმაში ჰიგიენური ნაწილი დაცულია, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ეს არის ფერმისთვის საჭირო სისუფთავე და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მოთხოვნილ სტანდარტებს.</p> <p>„არ ვხმარობ ანტიბიოტიკებს. ჰიგიენურად რაც შემიძლია ყველაფერს ვიკავ. საწველი აპარატი მაქვს. ყოველი ხმარების მერე ვრეცხავთ. ხელით არ ვწველით. [IDI 1, საოჯახო მეურნეობა - 3 სული, ლაგოდეხი]</p>
რეცხვა და დეზინფექცია	<p>ამ შემთხვევაშიც აღნიშნავენ, რომ მაქსიმალურად ცდილობენ დაიცვან სისუფთავე ფერმაში და ამას მათივე ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ.</p> <p>„საწველ აპარატსაც ვხმარობ. სადეზინფექციო ხსნარების წმენდით. მარტო იმის გამო არ მინდა ჰიგიენის დაცვა რომ სტანდარტები დავიცვა - ეს მე თვითონ მინდა.“ [IDI2, საშუალო ფერმერი - 10 სული, სამტრედია]</p>

გეოგაპის დანერგვის პროცესი

გამოკითხული რესპონდენტებიდან, მხოლოდ ერთ ფერმას ჰქონდა მიღებული გეოგაპი და შეეძლო გაეხსენებინა მისი დანერგვის პროცესი, რომელიც მათთვის მარტივი იყო გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი სამუშაოები წინასწარ, სხვა მიზნით იყო ჩატარებული.

„არაფერი პრობლემური არ ყოფილა. ჩვენ ხო ვიყავით ბიო ფერმა 2 წლის წინ შევწყვიტეთ ეს რახან ძალიან წაგებაზე წავდით ჯერ 4 წელი მოუნდით, რომ ბიოფერმა გამხდარიყო. ნაკვეთების გასუფთავება, ბოლომდე გაწმენდა, ნიადაგის სინჯები იგზავნებოდა გერმანიაში და ამერიკაში. მერე ნატურაც რომ ავიღეთ ქერი, ხორბალი, სილოსი ყველაფერი მოწმდებოდა. დაწერგეთ ბიო ფერმა, ავიღეთ სურტიფიკატი, მაგრამ ჯერ ისეც ურწყავი ნაკვეთები, მერე სასუქები ვერ შეგვქონდა, ნაკელი არ გვყოფნიდა ამ ფართობზე და ცოტა მოსავალი მოვიდა. წაგებაში წავდით. ნატურალ ჰლიუსში ვაბარებდით რძეს. მერე შევწყვიტეთ ბიო ფერმა და რახან ვიყავით ბიოზე გადასულები დიდი აღარაფერი დაგვჭირდა.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„ცეცხლმაქრი შევცვალეთ. სტიკრები იყო დასაკრავი. საპირფარეოზე დავაყენეთ, საცავებზე, ტუნისის გაჩერების ადგილზე. დანარჩენი ისეთი არაფერი. ყველაფერი წესრიგში გვქონდა ისე, რომ აკმაყოფილებდა გეოგაპს.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

არსებული პრაქტიკების შეფასება სტანდარტებთან მიმართებაში თაფლის მწარმოებელი ფერმერების შემთხვევაში.

ქვემოთ შეჯამებულია არსებული პრაქტიკები, თუ როგორ მოქმედებენ ამ ეტაპზე ფერმერები სტანდარტებით განსაზღვრულ სხვადასხვა პრაქტიკებთან მიმართებაში, მონაცემები ეფუძნება როგორც სიღრმისეული ინტერვიუების, აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზს.

#	ფაქტორი	არსებული პრაქტიკები
1	ჰიგიენა - გარემო პირობები	<ul style="list-style-type: none"> გამოკითხული ფერმერების უმეტესობის სკები მდებარეობს დასახლებულ პუნქტებში, ამიტომ ისინი ვერ აკონტროლებენ გარშემო ბოსლის, ტუალეტის, ფერმის, თუ სხვა ჰიგიენური რისკების შემცველი ობიექტების არსებობას, უმეტესობა ამას არც განიხილავს პრობლემად და თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი არის მათი წარმოდგენით "ეკოლოგიურად სუფთა გარემოში" (ანუ იმ რეგიონებში, სადაც თავად მოდვანებენ) სკების ქონა.
2	თაფლის ამოღების და გაწურვის პროცესი	<ul style="list-style-type: none"> ორი ფერმერის გარდა არცერთი არ იყენებს ხელთათმანს ("არ არიან აგრესიულები და რა საჭიროა") ხშირად ან საერთოდ არ აცვიათ სპეციალური ტანსაცმელი ან არ არის სათანადოდ გასუფთავებული ჭურჭელი, რომელსაც იყენებენ ამ პროცესში, ირეცხება წყლით ინტერვიუებში ეს საკითხი არ გამოკვეთილა, მაგრამ ერთ-ერთი ეთნოგრაფიული დაკვირვების დროს თაფლის ჩამოსხმის შემდეგ თითები პირში გამოივლო და ხუმრობით კომენტარიც დაურთო: „როგორც ნამდვილი მეფუტკრე, ისე მოვიქეცი“
3	თაფლის შენახვა და გაღობა	<ul style="list-style-type: none"> ფერმერთა უმეტესობას თაფლის შესანახად გამოყოფილი აქვს სპეციალური სივრცე, არცერთ მათგანში არ აყენია ტემპერატურის კონტროლის რაიმე საშუალება, თუმცა უმეტესი აცხადებს, რომ არის ან ბუნებრივად გრილი ადგილი, არ აქვს ფანჯარა, ან ჩამოფარებული აქვთ სხივგაუმტარი ფარდები უმეტესობა თაფლს ინახავს ლურჯ ან ე.წ. უჟანგავ ბიღონში, აქედან ერთს მოფიქრებული აქვს თავის მეთოდი, რომ ბიღონში ავლებს სანთელს და შემდეგ გადააქვს თაფლი მეფუტკრეების ნაწილი აცხადებს, რომ თაფლის გაღობა არ დაჭირვებია, დანარჩენთაგან უმეტესობა

		ამბობს რომ ალღობს 38-42 გრადუსზე, ერთეულ შემთხვევებში თქვეს, რომ მზეზე დებენ და ასე ალღობენ
4	დაავადებები	<ul style="list-style-type: none"> • მეფუტკრეების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ აკვირდება ფუტკრის ქვევას და ასე ხვდება, არის თუ არა რაიმე დაავადების რისკი და შესაბამისად მისი ჩარევა-დახმარების საჭიროება • ასევე უმეტესობა გაზაფხულზე გამოზამთრების შემდეგ სკების პირველი გახსნისას ათვალეურებს მდგომარეობას და წყვეტს არის თუ არა რაიმე დაავადება • სკების რეგულარულ (მაგალითად თვეში ერთხელ) დათვალეურებას მეფუტკრეების უდიდესი ნაწილი არ ახორციელებს • მეფუტკრეების მცირე ნაწილი აკეთებს ე.წ. „შეწამვლას“ პრევენციის მიზნით • ტკიპის არსებობის შემთხვევაში უმრავლესობამ თქვა, რომ იყენებს ფირფიტებს და აკვირდება შეწამვლის შემდეგ დარჩა თუ არა ტკიპა და შეწამვლას აგრძელებენ, სანამ ტკიპა არ განადგურდება • მეფუტკრეების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა რომ არ იყენებს ანტიბიოტიკებს, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს თაფლის ხარისხზე უარყოფითად აისახება

სურვილები და რეკომენდაციები

რძის მწარმოებელი ფერმერები

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ცვლილებების განხორციელების და ფერმის განვითარების მზაობა ფერმერებში მაღალია. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში მონაწილე ფერმერებს სიახლეების მიღების და სტანდარტებთან მიახლოების მოტივაცია გააჩნიათ და შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამას. თუმცა ეს პროცესი მათთვის დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან არის დაკავშირებული, რაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ნაწილს არარეალისტურად ეჩვენება.

რაზე არიან ორიენტირებული დღეს - სჭირდებათ დახმარება

- საქონლის მოჯიშება და სულადობის ზრდა;
- ფერმის შენობის განახლება/ დამატებითი სივრცის აშენება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;
- რეალიზაციის გზების გამართვა - რეალიზაციის ობიექტები;

„მინდა, რომ სულადობა გავზარდო ნელ-ნელა. ჩიმი შევცვალო და როდესაც საქონელი მუყოლება ფერმა გავაკეთო. ორივეს ერთად ვერ შევძლებ. საქონლის მოჭიმება დროში იწელება.“ [IDI 1, საოჯახო მუერნობა - 3 სული, ლაგოდუხი]

არის მეორე საკითხიც - მე რამდენად მაქვს იმხელა წარმოება და ისეთი თანხობრივი ბრუნვა, რომ ამ სტანდარტის შესაბამისობაში რომ მოვიყვანო ჩემი ფერმა დანახარჯები რამდენი და როგორ იქნება. ამაზეა დამოკიდებული, თორემ მაქსიმალურად მინდა, რომ თანამედროვე სტანდარტებს დავეწიო. ეს მინდა რომ გავაკეთო და ამისთვის ვიბრძვი და ვწვავლობ. თუ ვინმე უფასოდ გამიკეთებს დიდი სიხარულით მივიღებ, მაგრამ უფასოდ არაფერი გამოსულა ჯერ ცხოვრებაში.“ [IDI5, საშუალო ფერმერი - 29 სული - ჭიათურა]

„მე მინდა, რომ გეოგრაფიკულად დავწერო ჩემს ფერმაში. არანაირი დანაკარგი არ მექნება.“ [IDI1, საოჯახო მუერნობა - 3 სული, ლაგოდუხი]

„ახლო მომავალში ფერმის შევსება გვინდა. საქონელს ვამრავლებთ, რომ მეტი რძე ვაწარმოოთ, რადგან ცოტა მოგებაზე წამოვიდა და რძის ფასმა აიწია. გვყავს კიდევ ადგილობრივი საქონელი.“ [IDI4, მსხვილი ფერმერი - 100 სული, დედოფლისწყარო]

„ჩემების გაუმჯობესებაში თუ შეგვიწყობს ხელს. სუფთა სისხლის, ოღონდ ევროპიდან შემოყვანილი.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

ტრენინგები და ინფორმაციის მიღების გზები

რამდენადაც კვლევაში მონაწილე რძის მწარმოებელი ფერმერებისთვის სიახლეების გაცნობა მნიშვნელოვანია, ეს პროცესი მათ საჭიროებებთან და შესაძლებლობებთან უნდა იყოს მორგებული.

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ტრენინგების შეთავაზება და მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობის სურვილი მაღალია, რესპონდენტთა უმეტესობას არ შეუძლია ფერმის დატოვება და მიაჩნია, რომ მეტი ეფექტურობისთვის მსგავსი აქტივობები ადგილზე უნდა იყოს დაგეგმილი.

ზოგადად, ფერმერთა აღქმით, მათ ყველაზე მეტად პირისპირი შეხვედრები სჭირდებათ. მნიშვნელოვანია კომპეტენტურმა და პასუხისმგებელმა ადამიანებმა არგუმენტირებულად და პრაქტიკულად აუხსნან მათ კონკრეტული ქმედებების სარგებელი.

„ცხოვრების დღევანდელი ტემპიდან გამომდინარე სოციალური ქსელებით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, მაგრამ არც ტრენინგებზე არ ვიტყვი უარს.“ [IDI6, საშუალო ფერმერი - 12 სული, ზესტაფონი]

„ინტერნეტით მასთან საუბარი არ გამოვა. ფერმა ისეთი საქმიანობაა, რომ 24 საათიანი რეჟიმი. თუ თავის ადგილას სხვა არ დატოვა, ისე ვერც ტრენინგს ვერ დაესწრება და ვერც ინტერნეტში შემოვა.“ [IDI 1, საოჯახო მუერნობა - 3 სული, ლაგოდუხი]

„კოოპერატივები უნდა იყოს ბოლო-ბოლო იმ დონეზე. მეც მქონდა მცდელობა, რომ კოოპერატივი გამკეთებინა, მაგრამ ვერაფერი ვერ დავარეგისტრირე. ტრენინგებზე იწვევენ ხალხს რაიონში - ძირითადად მუა და ასაკიანი ხალხია დარჩენილი. 90-ანებიდან მოყოლებული აქვთ გადაგდების შიში და იმის შიში, რომ ეს შრომა წყალში ჩაეყრებათ. ხალხთან უფრო ახლოს უნდა იყვნენ და განა რაიონში უნდა ჩაატარონ ტრენინგი, მათთან უნდა მოვიდნენ.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

„ახლოში უნდა ვიყო ხალხთან, მოვიდნენ და ელაპარაკონ ხოლმე. მარტივად გასაგები უნდა იყოს ყველაფერი და არ უნდა იყოს ორაზროვანი. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში გამოვა რაღაც.“ [IDI7, საშუალო ფერმერი - 12 სული - თერჯოლა]

სურვილი და რეკომენდაციები - თავლის მწარმოებელი ფერმერები

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ცვლილებების განხორციელების და ფერმის განვითარების მზაობა მეფუტკრეებში შედარებით დაბალია. სამწუხაროდ ინფორმაციის არ ქონის და სტანდარტების არ ცოდნის გამო მათი დიდი ნაწილი ვერ იაზრებს, თუ როგორ შეუძლია ახალი ცოდნის და გამოცდილების მიღების საფუძველზე არსებული გამოწვევების დაძლევა. უმეტესობას არ აქვს რაიმე სახის გრძელვადიანი გეგმა, რომ განავითაროს თავის ბიზნესი და ახალ ეტაპზე გადავიდეს, სამომავლო გეგმებში ძირითადად ორიენტირებული არიან მიმდინარე პრობლემების მოგვარებაზე.

რაზე არიან ორიენტირებული დღეს და რაში სჭირდებათ დახმარება

- დაავადებებთან გამკლავებისთვის ეფექტური პრეპარატები;
- სკები;
- ტექნიკური აღჭურვილობა;
- რეალიზაციის გზების გამართვა.

„ამ წუთას სკები მინდა როგორ არ მინდა სკებიც გაცვდა და ყველაფერი, სკა ნამდვილად შევიძინე მარშან და კიდევ მინდა შევიძინო. რომ ვამთაბარებ ფუჭდება ეს სკები და სჭირდება ამოცვლა. (IDI-H-3, 60 სკა, ზესტაფონი)

„იაფი უნდა ღირდეს ინსტრუმენტები. თანამედროვე ტექნიკა გვინდა. სკები ჭირს - ძველი ხელოსნები ვინც იყვნენ, ადარ არიან. ძირითადად ეგენი გვიჭირს.“ (IDI-H-5, 13 სკა, თელავი)

„მხარდაჭერაში იმას ჩავთვლიდი, რომ ბევრგან წავიკითხე იქნებ ყოფილიყო ისეთი გრანტი ან ბიზნეს სესხი მცირე, რომ შემეძინა ფუტკარი.“ (IDI-H-6, 0 სკა, თელავი)

„არაფერი გეგმა არ მაქვს. გაყიდვა მინდოდა და ამის კლიენტიც ადარ იყო. რაც მე სჭირდება რომ დამუტოვებინა და დანარჩენი გამუყიდა. რეალიზაციაა მთავარი პრობლემა.“ (IDI-H-9, 150 სკა, სიღნაღი)

რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეებისთვის სადემონსტრაციო ქცევითი ინტერვენციები

კვლევით დგინდება, რომ ფერმერები საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში ბევრ სირთულეს აწყდებიან. შეზღუდული რესურსებს და/ან გაუმართავ პროცედურებს/პოლიტიკას (ფიზიკური კონტექსტი) თან ახლავს განვითარებისთვის ხელისშემშლელი წარმოდგენები და წინასწარგანწყობები (სოციალური კონტექსტი). ერთის მხრივ არსებობს თითქოს სურვილი, ახალი ცოდნის მიღების (ინფორმაციის ნაკლებობა სახელდება ერთ-ერთ ბარიერად), თუმცა მეორეს მხრივ ამაყარა სიახლის მიუღებლობა და უნდობლობაც კი. ერთის მხრივ ნამდვილად არსებობს საქმიანობის გაფართოების ან გაუმჯობესების სურვილი, თუმცა ამ გზაზე წინაღობა შესაძლებლობების არასათანადოდ გააზრება. თითქოს არსებობს ფერმერის განათლებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული მხარდაჭერი სისტემები (მეტ-ნაკლებად გამართული სამთავრობო და არასამთავრობო სისტემები), თუმცა იკვთება, რომ წარმოდგენების დონეზე ფერმერის გადაწყვეტის გზებს სხვაგან ეძებს და წარუმატებლობას აწყდება.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი ფსიქოლოგიური და მენტალური ბარიერები, რაც კვლევამ გამოავლინა და რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ფერმერის მხარდაჭერაზე ორიენტირებული აქტორებისთვის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელებისას:

დანაკარგის შიში (loss aversion): ადამიანები გაცილებით მწვავედ აღიქვამენ დანაკარგს, ვიდრე მოგებით მიღებულ სიამოვნებას. შესაბამისად ნაკლებ რისკს იღებენ (სიახლის მოსინჯვა), რომ დანაკარგი აიცილონ თავიდან. მაგალითად, გრანტების მოძიების პროცესში ფერმერთა უმეტესობა წინასწარვე განწყობილია ნეგატიური შედეგისკენ, რადგან „გრანტს მაინც იმას მისცემენ, ვინც წინასწარ და აქამდეც აუღია გრანტები, მე კი ტყუილად ვიწვალე.“ ეს განწყობა აიძულებს, საერთოდ აღარ მიიღოს კონკურსში მონაწილეობა. ტოპ-პერფორმერების „შიში“ ნაკლები მოტივაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ბევრ სხვა სცენარშიც. იგივე ფენომენი მოქმედებს, როდესაც საუბარია ახლის სწავლაზე ან ახალი ტექნოლოგიის/წესის მოსინჯვაზე - სიახლე ყოველთვის გაურკვევლობასთან და რისკთან ასოცირდება, დანაკარგი თავიდან ასაცილებლად კი ურჩევნიათ, მისდინ „ტრადიციულად და ისტორიულად“ არსებულ გამოცდილებას.

ზედმეტი ოპტიმიზმი (overconfidence): ზედმეტი ოპტიმიზმი ზემოთ აღწერილი „დანაკარგის შიში“-დან გამომდინარეობს - გადამეტებული თავდაჯერებულობა ერთგვარი გამართლება იმისა, რატომ შეიძლება ცდილობდე რისკების იგნორირებას. ადამიანების წინასწარგანწყობა ყოველთვის უკავშირდება დადებითის მოლოდინს („ეს მე არ დამემართება“), რაც გამოიხატება ამაყარა რისკების უგულვებელყოფაში, განსაკუთრებით თუ რისკი არ დადგა მყისიერად და ის გრძელვადიანად და უხილავად მოქმედებს. „ჩვენ ეს საქმე მამა-პაპისგან მოგვდგამს და სხვამ რა უნდა მასწავლოს“ ან „ისე მე რად მინდა შემოწმება, მე ხო ვიცი რომ ნატურალურია.“ (IDI-H-4, 50 სკა, სოფ. სხვიტორი) - ეს მიდგომა ხელს უშლის ფერმერს, ეძიოს და მოსინჯოს წარმოების პრაქტიკის გაუმჯობესების გზები.

სტატუს-კვოს მიყვრის ბიასი (status-quo bias): ადამიანები ყოველთვის უპირატესობას ანიჭებენ „გაბეჭდილ გზას“, საკუთარ ან სხვის უკვე არსებულ, გამოცდილ მეთოდებს. ამ გზიდან გადახვევა, არსებული რუტინიდან ამოვარდნა ყოველთვის დისკომფორტთან არის დაკავშირებული, რადგან მოითხოვს გონების დაძაბვას (mental effort) და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებას, რაც ყოველთვის რთულია. ფერმერებიც უმეტესწილად ამჯობინებენ მისდინონ ნაცნობი პრაქტიკას და ტრადიციულ მეთოდებს, თუნდაც უფრო ახალი და უკეთესი მიდგომები იყოს ხელმისაწვდომი. თავისთავად ესეც გამოწვეულია ცვლილების შიშით ან სოციალური ნორმების შენარჩუნების სურვილით (იხ. ქვემოთ).

კუთვნილების ეფექტი (endowment effect): ადამიანები ყოველთვის გაცილებით მეტ წონას ანიჭებენ იმას, რაც მათ ეკუთვნით და ეს არამხოლოდ ახლობელ ადამიანებზე ვრცელდება, არამედ ქონებაზე, ნივთებზე, საგნებზე. ეს ემოციური მიჯაჭვულობა აიძულებს მათ არარაციონალური გადაწყვეტილება მიიღონ. მაგალითად, ქონების გაყიდვისას, საბაზროზე გაცილებით მაღალ ფასს ითხოვენ. ფერმერების შემთხვევაში ეს ფენომენი განსაკუთრებით მძლავრია, რადგან, მაღალია ემოციური მიჯაჭვულობა ცხოველებთან, რომელსაც უვლიან და ასევე ოჯახურ ტრადიციებთან (მამა-პაპისეული მემკვიდრეობა). სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ხელისშემშლელი კოოპერატივების შექმნისა, რადგან რესურსების გაზიარება კოოპერატივების არსებობის წინაპირობაა. გაზიარება კი რთულია იმისა, რაც მხოლოდ „შენ გეკუთვნის“ და არ გინდა, რომ „ის გასცე“, „გაასხვისო“, რამე რისკის ქვეშ დააყენო (წარმოდგენაშიც კი).

თვალსაჩინოების ეფექტი (availability heuristics): საკითხის შეფასება იმის მიხედვით, თუ რა მოკვლევა გახსენდება ან რა აღიბეჭდა გონებაში, რამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. მაგალითად, მედიაში გაშუქებისა ან საახლობლოში/სამეზობლოში არსებული პრაქტიკის გამო, იბადება ხოლმე „ტენდენცია“ ამა თუ იმ კულტურის მოყვანის ან პროდუქტის წარმოების და მხოლოდ ზედაპირული გაანალიზებით ან სულაც გაზრების გარეშე, ფერმერი იღებს გადაწყვეტილებას თავისი მიწის ნაწილზე ეს კულტურა დათესოს ან დანადგარი შეიძინოს ამა თუ იმ „ტრენდული“ პროდუქტის საწარმოებლად. რეალურად კი ბაზარი გაჯერებულია, მოთხოვნა იმ მოცულობის არ არის, ხოლო რეალიზების არხები განუვითარებელია და წამოწყებაც წარუმატებელია.

ლოკომოტივის ეფექტი (bandwagon effect): ასევე ცნობილი როგორც ნახირის მენტალიტეტი ან ჯგუფური აზროვნება, ეხება ინდივიდების ტენდენციას, აითვისონ გარკვეული რწმენა, შეხედულებები ან ქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ სხვას სჯერა, ბევრი იმავეს აკეთებს. ამით ადამიანები „ეწერებიან“ არსებული სოციალურ გარემოში. ეს განაპირობებს სოციალურ კონტექსტს, რაც უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელია. მაგალითად, კოოპერატივებში გაერთიანება და რესურსების გონივრული გაზიარება სოციალურად არ არის მიღებული, რადგან „საზიარო“ ნეგატიური კონოტაციის სიტყვაა და არ უკავშირდება წარმატებას. რადგან „საზიაროა“ ათასი თავის ტკივილი ახლავს თან და არასტაბილურობის, დაუცველობის განცდას ტოვებს.

ქვემოთ ადწერილი რეკომენდაციები ეხება ფიზიკური და სოციალური კონტექსტის მორგებას არსებულ მენტალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, რაც მხარდაჭერი გარემოს შექმნას ფუნქციონირებისთვის და ძალდაუტანებელი, ბუნებრივი

ცვლილების ალბათობას ზრდის. შესაბამისად, რეკომენდაციები მოიცავს როგორც ქცევის ცვლილებაზე ორიენტირებულ საკომუნიკაციო კამპანიას, ასევე პროცედურების, პროცესის და პოლიტიკის ასპექტებსაც როგორც რძის, ისე თაფლის მწარმოებელი ფერმერებისთვის.

ინტერვენციების შემუშავებისას ვეყრდნობით EAST ჩარჩოს, რომელიც გვადლევს საშუალებას, მოვარგოთ გადაწყვეტები გამოვლენილ ბარიერებს (კომფორტი, შიშები) და მოტივატორებს (ღირებულებითი მიზნები, სარგებელი და პრობლემები).

ადნინული მიდგომით, სასურველი ქცევის მისაღებად, აუცილებელია, მისი განხორციელება იყოს მარტივი (Easy), მიზიდველი და მასტიმულირებელი (Attractive), სოციალურად მისაღები (Social), ხოლო განხორციელების შეხსენება უნდა ხდებოდეს მაღალი პოტენციალის მქონე მომენტებში (Timely).

კვლევაში გამოვლენილი და ზემოთ აღწერილი ფსიქოლოგიური და სტრუქტურული ბარიერების დასაძლევად, ე.წ. 'სირთულის პარამეტრების'⁸ (friction points) შემცირება ერთ-ერთი წამყვან მიზანს წარმოადგენს ცვლილების მისაღწევად. რაც უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ესა თუ ის ქმედება, მით უფრო მაღალი მოტივაციაა საჭირო ამ ქმედების განსახორციელებლად კონკრეტულ მომენტში. მოტივაცია კი ცვალებადია და დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე - როგორცაა სოციალური მიმდებლობა, რისკის აღქმის სიმძაფრე, დაუძლველი შიში ან ლტოლვა და ა.შ. შესაბამისად, საუკეთესო გამოსავალია, მაქსიმალურად მარტივი და უფრო მეტიც, ავტომატური გავხადოთ სასურველი ქცევა.

სირთულის პარამეტრებია:

- **დრო** - თუ სადმე გვეჩქარება, ან სხვა რამით ვართ დაკავებული, ნაკლებად სავარაუდოა, ყურადღება სასურველ ქცევას დავუთმოთ
- **ფული** - ფინანსური რესურსის სიმცირე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერია და ნაკლებია იმის ალბათობა, თანხა ისეთ რამეზე გადავანაწილო, რაც არ მიმაჩნია სასიცოცხლოდ იმ მომენტში
- **ფიზიკური ძალისხმევა / უნარი** - რაც უფრო დიდი ფიზიკური ძალისხმევის გაწევა მიწევს (მაგალითად პროდუქტის საყიდლად რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა), მით უფრო მეტს ვიფიქრებ, საერთოდ მიდირს თუ არა წასვლა საყიდლებზე.
- **კოგნიტური ძალისხმევა** - ფსიქოლოგიური ძალისხმევა, ქმედების განხორციელების ან ცვლილების აღქმული სირთულე; რამდენად რეალისტურად წარმოუდგინა განხორციელება და რა წინასწარგანწყობებთან ან შეხედულებებთანაა ეს დაკავშირებული

⁸ The Behavioural Insights Team. (2014, April 11). East: Four simple ways to apply behavioural insights. Retrieved April 07, 2021, from <https://www.bi.team/publications/east-four-simple-ways-to-apply-behavioural-insights/>

⁹ Fogg, Brian J. "A behavior model for persuasive design, 2009.

- **სოციალური მიმდებლობა** - თუკი ესა თუ ის საქციელი სოციალურად არაა მისაღები და „დინების საწინააღმდეგო“ ქმედებად აღიქმება, ადამიანების უმეტესობა მისი განხორციელებისგან თავს იკავებს
- **ჩვევა/რუტინა** - ნებისმიერი გადახვევა გატკეპნილი გზიდან ნიშნავს იმას, რომ უნდა გავიარო გადაწყვეტილების მიღებისა და განსჯის რთული გზა და ეს ყოველთვის დისკომფორტს იწვევს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ე.წ. მომხმარებლის გზის (customer journey), ანუ ცვლილების ტრაექტორიის გაანალიზებისას ჩვენ რამდენიმე სირთულეს წავეწყვდით, რომლის გადალახვა ან მოხსნა აუცილებელი წინაპირობაა სასურველი ქცევის მისაღწევად, კერძოდ:

საკვანძო გამოწვევა #1

დროის სიმცირე: ფერმერები, განსაკუთრებით თუ სეზონური სამუშაოებზე არ არიან დამოკიდებულები, თითქმის მთელ დროს ფერმერულ საქმიანობას უთმობენ. ადამიანური რესურსების სიმწირე და ის ფაქტი, რომ საქმე გადანაწილებული არაა, იმას ნიშნავს, რომ კომპლექსური ამოცანების შესრულება უწევთ და ძირითად დროით რესურსს ყოველდღიურობას ახმარენ. ამ გრაფიკში ნებისმიერი გადახვევა მათთვის რთულად მისაღწევია. შესაბამისად, მიუხედავად სურვილისა, კვალიფიკაციის ამაღლების ან ცოდნის მიღებისთვის დროის გამონახვა მათთვის რეალური გამოწვევაა.

ქცევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #1:

- ტრენინგის დაგეგმვა არააქტიურ სეზონზე
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა
- სწავლების ან კვალიფიკაციის ამაღლების ალტერნატიული ხერხების შეთავაზება - დისტანციური მეთოდები: სმს, ონლაინ პლატფორმა (იხ. ქვემოთ), ბეჭდვითი ინფორმაციის მიწოდება ფოსტით
- ვიზიტები ფერმებში საკვანძო მიმართულებით ინფორმაციის მისაწოდებლად
- განსხვავებული ფორმატის ტრენინგების შეთავაზება, რაც ზრდის ინტერესს, მაგალითად: სადემონსტრაციო ფერმები, აზრის ლიდერების ჩართვა პროცესში და ამ გზით მონაწილეობის მოტივაციის ამაღლება.

საკვანძო გამოწვევა #2

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: კვლევაში დასახელდა, რომ ფინანსური რესურსის მოსაპოვებლად ფერმერები ორ გზას მიმართავენ - ბანკებიდან სესხის აღება და/ან გრანტების მოპოვება. ორივე გზაზე გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან, იქნება ეს ბიუროკრატიული, პროცედურული თუ ფსიქოლოგიური.

ქცევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #2:

ბანკიდან სესხის აღების პროცედურის (customer journey) ოპტიმიზირება: კვლევაში გამოიკვეთა, რომ სესხის აღების პრობლემები ხშირად გაუმართავი ბიუროკრატიის ან

მარტივი პროცედურული დარღვევა იყო (მაგ. გაუფორმებელი მიწა¹⁰). ეს აჩვენებს, რომ ბანკებთან თანამშრომლობა და პროცესის შესწავლა/გაუმჯობესება შესაძლოა ორმხრივად სასარგებლო აღმოჩნდეს - ბანკებისთვის რისკების შეფასების გაუმჯობესება და მეტი შემოსავალი, ხოლო ფერმერის მხარეს მეტი რესურსის გაჩენა.

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #3:

განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირი: ფერმერები ამბობენ, რომ მათ არ აქვთ უკუკავშირი, თუ რატომ არ მისცეს სესხი. დროული და გამართული უკუკავშირი ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს ფერმერული პრაქტიკის გაუმჯობესების. სესხზე უარი ან სესხის აღება ცვლილების მისაღწევად მაღალი პოტენციალის მომენტი¹¹ და მისი გამოყენება აუცილებელია. უკუკავშირი უნდა დაინერგოს ქვევის მეცნიერების პრინციპების გამოყენებით, რომ მან არ გამოიწვიოს წინააღმდეგობა (backfire) და გაუცხოება, შესაძლებელია მუნიციპალური ან არასამთავრობო სექტორის ჩართვა, რომ ამ მომენტში რელევეციასთან ერთად, დაისახოს მიზნები (goal setting), რაც მომავალში სესხის აღების წინაპირობა გახდება (reward).

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #4:

გრანტებზე ფსიქოლოგიური პრივილეგიის მოხსნა: ფერმერის წარმოდგენაში გრანტებზე ექსკლუზივი მხოლოდ წარმატებულ ფერმერებს აქვთ, რომლებმაც ადრეც ბევრი გრანტი აიღეს, ხოლო თავად ამ „პრივილეგიებულ წრეში“ ვერც შევლენ. წარუმატებლობის შიში აიძულებს მათ, საერთოდ არ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში და ამას ემატება საგრანტო განაცხადების შევსებისა და დოკუმენტებთან მუშაობის არცოდნა. მიზნის მისაღწევად პროცესი უნდა გახდეს მარტივი და ინკლუზიურობის აღქმა გაიზარდოს:

- „ბევრი გრანტი“ - მოტივაცია გრანტის მიღებაზე გაცილებით დიდია, თუ გაიცემა ბევრი მცირე გრანტი, რამდენიმე დიდი გრანტის ნაცვლად
- „ბევრი გრანტი ახალ ფერმერებს“ - შესაძლებელია გამოცხადდეს საგრანტო პროგრამა მხოლოდ იმ ფერმერებზე, ვისაც აქამდე გრანტი არ აუღია (ან რამე სხვა ფორმით გამოირჩეს ის ფერმერები, რომელთა წახალისება გვსურს)
- გრანტების ფრონტ ლესკი - წამოწყება, რომელიც ბანკების მსგავსად, თავად დაეხმარება ფერმერს ა) განაცხადის შევსებაში; ბ) რისკების ანალიზში და გ) პროექტის შექმნაში. ფრონტ ლესკი გასცემს ასევე „განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს“ წარუმატებლობის შემთხვევაში (შუალედურს და საბოლოოს)
- გრანტის მიღების სოციალური მტკიცებულების კომუნიკაცია (იხ. ქვემოთ - საკომუნიკაციო კამპანია) – „შენს რაიონში 5 ფერმერიდან 4-ს მიღებული აქვს გრანტი.“... „

¹⁰ ერთ-ერთმა ფერმერმა აღნიშნა, რომ მარტივად გაიფორმებდა მის მემკვიდრეობაში არსებულ მიწას, რომ დაეუბრუნებინათ დროულად უკუკავშირი.

¹¹ როდესაც ყველაზე მაღალია ალბათობა სასურველი ქვევის განხორციელების, რადგან ის იმ კონკრეტულ მომენტში არის აქტუალური.

საკვანძო გამოწვევა #3

ფერმერობა როგორც ბიზნესი: კვლევით გამოვლინდა, რომ ფერმერული საქმიანობა აღქმულია როგორც საოჯახო საქმიანობა, სამინაო საქმე და ის არ ასოცირდება ბიზნეს საქმიანობასთან.

- თავად ტერმინი ფერმერი მიეკუთვნება მეურნეობებს, სადაც დიდი მიწა აქვს მესაკუთრეს (თავისი და ნაყიდი), შენობა-ნაგებობა, საწარმოც ან მსგავსი რამ დგას და ა.შ.. პატარა მიწის მფლობელები ან რამდენიმე სული საქონელი თუ ჰყავთ, თავის თავს ფერმერად იშვიათად მოიხსენიებს.
- სწორედ ამიტომ ადგილობრივებს ეთაკილებათ, დასაქმდნენ სხვის ფერმარში, ანუ ოჯახში - რადგან ეს მიაჩნიათ „მოსამსახურედ“ ან „მოახლედ“ მუშაობად და არა „რეალურ სამუშაოდ“¹².
- რადგან ფერმერების უმეტესობისთვის ეს ტრადიციული საქმიანობაა, ეს არ უკავშირდება პროფესიის არჩევას და შესაბამისი გზის გავლას - არამედ, ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც თითქოს არ საჭიროებს დამატებით განათლებას ან კვალიფიკაციის ამადლებას, რადგან „ოღითგანვე ვიცოდით მიწის მოვლა ან საქონლის პატრონობა“ როგორ ხდება.
- ამას უკავშირდება ფერმერების მხრიდან ნაკლები მოტივაცია, დაარეგისტრირონ მეურნეობა როგორც ბიზნესი და აწარმოონ სერტიფიცირებული პროდუქცია.
- არასერტიფიცირებული (no-name) პროდუქტი უფრო „ნატურალურად“ არის აღქმული¹³ და მომხმარებლებიდანაც წნეხი არ არსებობს.
- ამას ემატება ემოციური მიჯაჭვულობა (ოჯახური ტრადიციები, ცხოველების მიმართ სიყვარული), რაც ხელს უშლის ფერმერს, დისტანცირდეს და რაციონალური, ბიზნეს გადაწყვეტილებები მიიღოს. ეს დამოკიდებულება იდენტობის დონეზე გლეხის, მიწის მოვლის და სამინაო საქმეს უკავშირდება და არა ბიზნესმენის ან მეწარმის.

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #5:

რიფერემინგი - სამინაო საქმიდან ბიზნეს საქმიანობამდე: ფსიქოლოგიური გარდატეხის მისაღებად აუცილებელია, ოჯახური მეურნეობა სამინაო საქმიდან ბიზნეს საქმიანობად „გადაკეთდეს“ ამ საქმიანობაში ჩართული ადამიანების გონებაში:

- ფერმერის იდენტობა (პრესტიჟი, პატრიოტიზმი): საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც აგებულია ნებისმიერი ზომის მეურნეობის მფლობელების როგორც ფერმერის, და შესაბამისად, მეწარმის იდენტობაზე. ქვევის ცვლილების პრინციპებით აგებული კამპანია უნდა წარიმართოს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ უფრო მეტი ემოციური რეაგირება მივიღოთ. ამასთან, ხაზგასმული უნდა იყოს ბიზნეს ატრიბუტიკის არსებობა, როგორც მეწარმეობის განუყოფელი ნაწილი.(როგორც ეს სხვა სფეროებშია), მაგალითად:
 - ბიზნესის რეგისტრაცია

¹² ეს ფენომენი სხვა სიტუაციაშიც ვლინდება საქართველოში, მაგალითად უმუშევრობის კვლევებში ტაქსისტები კითხვაზე, ხართ თუ არა დასაქმებული, პასუხობენ, რომ - არა, რადგან თავს უმუშევრად მიიჩნევენ.

¹³ 2023 წელს ამავე პროგრამის ფარგლებში „ბისკ პარტნერის“ მიერ ჩატარებული „მომხმარებელთა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ქვევის მამოძრავებელი ფაქტორების“ კვლევით ასევე დადგინდა, რომ მომხმარებლების აღქმაში სოფელში წარმოებული პროდუქცია „ნატურალურია“ და მას არ სჭირდება შემოწმება.

- სერტიფიცირება
- სტანდარტების შემოტანა¹⁴
- ბრენდინგი (ბრენდი, ვებ გვერდი, სოც. ქსელი, ა.შ.)
- არაბრენდული ბიზნესი¹⁵
- ბრენდული ატრიბუტები:
 - აბრები¹⁶
 - ფორმები¹⁷



საკვანძო გამოწვევა #4

სტანდარტების დანერგვა (გეოგრაფიულ რაიონულ ფარგლებში ან ფეროკულის სტანდარტები თავიანთი ფარგლებში)

როგორც კვლევაში გამოავლინა, სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით ორი ძირითადი გამოწვევაა: ა) არსებობს სურვილი და მოტივაცია, თუმცა მისი დანერგვა ინვესტიციასთან არის დაკავშირებული და ფინანსური რესურსის ნაკლებობას ასახელებენ მიზეზად და ბ) ზედმეტი ოპტიმიზმის გამო საერთოდ არ ფიქრობენ, რომ რაიმე სახით სტანდარტის შემოღება ან გაუმჯობესება საჭიროა. შესაბამისად, გაცილებით ეფექტურია იმ ფერმერებთან მუშაობა, რომლებსაც უკვე აქვთ მოტივაცია, იზრუნონ პრაქტიკების გაუმჯობესებაზე და ცნობიერებაც არსებობს, რომ ეს მათი საქმიანობის გაფართოებისთვის აუცილებელია. სოციალური ნორმის გავრცელება კი სხვებზეც მოახდენს გავლენას შემდგომში.

Commented [ESH11]: ორივე გეოგრაფია

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #6:

ქვევის ცვლილებაზე ორიენტირებული საკომუნიკაციო კამპანია:

- შედარების საშუალება: იმ ფერმერებთან შედარების საშუალება, რომლებმაც დანერგეს სტანდარტები ამა თუ იმ დონეზე ან მოიპოვეს გეოგრაფია. ეს შეიძლება იყოს ზოგადი ინფორმაცია (მონაცემები მათ რაიონში ან სამეზობლოში). ეს გაზრდის კონკურენციის სურვილის და ასევე წარმოადგენს სოციალურ მტკიცებულებას (ხელს უწყობს სოციალური ნორმის კულტივირებას);

¹⁴ იხ. ქვემოთ: სტანდარტების შემოტანის წახალისება

¹⁵ იხილეთ ქვემოთ - მასშტაბირებასთან დაკავშირებული ინტერვენცია.

¹⁶ აბრების გაჩენა საჯარო აღიარება იმისა, რომ საწარმოს ფორმით არსებობს საქმიანობა და ფსიქოლოგიურად განაწყობს როგორც დამსაქმებელს (ფერმერს), ასევე დასაქმებულ მუშა-ხელს

¹⁷ სამუშაო ფორმები დემონსტრირებაა, რომ საწარმოში არსებობს სტანდარტი, ხოლო დასაქმებულში აჩენს განცდას, ეს სამინაო საქმე კი არ არის, არამედ ფუნქციის მატარებელია. ბრენდირებული ფორმა მიკუთვნებულობის გრძნობასაც აძლიერებს.

- სტანდარტების გაუმჯობესების სარგებლის მკაფიო და მარტივ ენაზე მიწოდება (სოციალური ქსელით, მასმელით, პირისპირ შეხვედრებით)
- მესიჯის ფორმულირება დანაკარგზე (loss aversion): იმის ჩვენება, თუ რას „დაკარგავენ“, სტანდარტების არშემოტანით
- აზრის ლიდერების გამოყენება და წარმატების ისტორიების გავრცელება სხვადასხვა ფორმატით და ფორმით
- სოციალური მტკიცებულების გავრცელება: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბევრი ფერმერი ნერგავს სტანდარტებს და იღებს კონკრეტულ სარგებელს
- მომხმარებელთა მხრიდან სურსათის უვნებლობაზე მოთხოვნის დემონსტრირება
- სურსათის უვნებლობის სააგენტოს ქმედებების (დარღვევების გამოვლენა) აფიშირება
- წახალისება: ბრენდირების შეთავაზება, წარმოჩენა
- სადემონსტრაციო კუთხეები ხალხმრავალ ადგილას: სტანდარტის დაცვის ბენეფიტები და ხელსაწყოები ბაზარში ან სასოფლო-სამეურნეო მადაზიაში, მუნიციპალიტეტებში და ა.შ.

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #7:

სტანდარტების დანერგვის ეფექტური პროცესი ქვევითი ინსაიტების გამოყენებით:

- სტანდარტების (გეოგაპის და თაფლის წარმოების რეგლამენტი) სხვადასხვა დონის შემოღება (მაგალითად: სტარტი, შუალედური, სრულყოფილი ან საბაზისო, დამაკმაყოფილებელი, საუკეთესო და ა.შ.). სხვადასხვა დონე საშუალებას მისცემს ფერმერებს, დაძლიონ ბარიერები¹⁸ და უფრო იმედიანად განეწყონ. დონეები ერთგვარი საგზაო რუკაც იქნება ფერმერებისთვის.
 - საბაზისო დონე: აქცენტი მინიმალურ, ადვილად განსახორციელებელ ქმედებებზე, რაც უცებ გამოასწორებს მათ პრაქტიკას (quick wins). იდეალურ ვარიანტში, ეს შეიძლება იყოს ისეთი ქმედება, რომელიც საერთოდ არ მოითხოვს ინვესტირებას
 - შუალედური დონე: ქმედებები, რომელსაც მინიმალური დანახარჯი სჭირდება, თუმცა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გარემოს - მაგალითად როლების გადანაწილება და დოკუმენტაციის წარმოება
 - სრულყოფილი: სტანდარტის სრულად დანერგვა
- დანაწევრება და ჩექლისტები:
 - სტანდარტის დანერგვის ჩექლისტები სხვადასხვა ქმედებისთვის - ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი პროცესი, რომელიც მარტივი ენითაა ახსნილი. სასურველია ეს იყოს სტიკერის ან გასაკრავი პლაკატის ფორმით და განთავსდეს იმ ადგილას, სადაც ეს პროცედურა ხორციელდება (მაგალითად, თაფლის შენახვის ადგილას - თაფლის შენახვის პროცესი, ჭურჭლის სახეობა, ჰიგიენის წესები და ა.შ.)
 - დანაწევრებული წესების (ნაბიჯების) კომუნიკაცია აქტუალურ დროს - მაგალითად, დილას განსახორციელებელი სამუშაოები ან სეზონურად განსახორციელებელი სამუშაოები სმს-ით გაგზავნა შესაბამის პერიოდში

¹⁸ (ზემოთ იხ. შფოთვა და კომფორტი)

- უკუკავშირი რეალურ დროში: სხვადასხვა ხელსაწყოს ან ტესტირების/შემოწმების საშუალების მიწოდება ფერმერებისთვის, რომ მათ რეალურ დროში მიიღონ უკუკავშირი ამა თუ იმ დაავადების ან წარმოებაში ხარვეზის აღმოსაჩენად

საკვანძო გამოწვევა #5

კოოპერატივების მიმართ უნდობლობა¹⁹:

კოოპერატივების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დგინდება როგორც წინამდებარე, ისე სხვა ბევრი კვლევითაც და დინამიკაც ადასტურებს, რომ უნდობლობა დიდ როლს თამაშობს კოოპერატივებში ჩართვის საქმეში. ქვეყნის მეცნიერება რამდენიმე ხერხს გვთავაზობს, თუ როგორ შეიძლება წავახალისოთ კოოპერატივებში ჩართვის პროცესი.

ქვევითი ინტერვენციის სადემონსტრაციო რეკომენდაცია #7:

კოოპერატივებში ჩართულობის წახალისება

სოციალური ნორმა:

არსებული სოციალური ნორმით, ყველა ფერმერი მიელტვის, დამოუკიდებლად მოიძიოს როგორც რელიზაციის გზები, ისე - აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები წარმოებისთვის. უნდობლობა ნებისმიერი სახის „საზიარო“ ქონების მიმართ, რისი საფუძველი როგორც საბჭოთა წარსულია - კოლმეურნეობები და კერძო საკუთრების არარასებობა, კორუფცია და სახელმწიფო ქონების მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ახალი სოციალური ნორმის კულტივირება აუცილებელია, რომ ფერმერებში გაჩნდეს გაზიარების მოტივაცია და ტრადიცია.

BISC Partners-ის მკვლევარების აზრით, არსებული სოციალური ნორმის შესწავლა ცალკე კვლევის საგანია და საჭიროებს ჩადრმაზვებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ფერმერების ცნობიერების ამაღლებაზე, თუ როგორ შეიძლება მასშტაბირების უფექტის მიღწევა გაზიარებული რესურსებით, რაც ყველას მოუტანს სარგებელს.

შექმნის ან ჩართვის პროცესის გამარტივება: ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს კოოპერატივების შექმნის პროცესის გამარტივება და ოპტიმიზება.

საკომუნიკაციო წამახალისებელი კამპანია: საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც აიგება ქვევით მამოძრავებლებზე და მიმართული იქნება რამდენიმე საკვანძო ქმედების წახალისებლად.

ფასდაკლება ან სხვა შეთავაზებები კოოპერატივების წევრებისთვის: ზემოთ აღწერილი „დანაკარგის თავიდან აცილების“ ფსიქოლოგიური ფაქტორი (loss aversion) აიძულებს ადამიანს, არ დარჩეს ამა თუ იმ სარგებლის მიღმა. შესაბამისად,

¹⁹ მოცემული საკითხი სცდება პროექტის მიზნებს, თუმცა კვლევის მიგნებები იძლევა საშუალებას, ამ ფარგლებში გავცეთ სადემონსტრაციო რეკომენდაცია დაინტერესებული მხარეებისთვის.

გონივრულად აწყობილი სისტემა შესაძლოა სტიმული აღმოჩნდეს ფერმერებისთვის.

დეფოლტი: ბიზნესის რეგისტრირების დროს ავტომატური ჩართვა კოოპერატივში, შემდგომში გამოსვლის პრინციპით (opt-out). მსგავსი მიდგომა ბევრ სხვა სცენარში პოზიტიურ შედეგებს აჩვენებს.

სიდრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელო

თაფლის მწარმოებელი ფერმერები

1. ნაწილი 1 - მისალმება, წესების გაცნობა

- a. მოდერატორის გაცნობა
- b. კვლევის მიზანი - ფერმერთა ასოციაციის პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია მეფუტკრეების ხელმეწყობა რეგულაციების დანერგვაში და დღევანდელი ინტერვიუს მიზანია, რომ თქვენგან მივიღოთ პრაქტიკული ინფორმაცია, თუ რა სახის ბარიერები და ხელმეწყობი ფაქტორები არსებობს ამ პროცესში. ეს დაგვეხმარება, რომ შემდგომი აქტივობები მაქსიმალურად თქვენს საჭიროებებზე იყოს მორგებული.
- c. რამდენი ხანი გაგრძელდება ინტერვიუ (დაახლოებით 20-30 წუთი)
- d. მიმდინარეობს სიდრმისეული ინტერვიუს აუდიო ჩაწერა. კონფიდენციალურობა სრულად დაცულია, შედეგები მხოლოდ განზოგადებული სახით იქნება გამოყენებული კვლევის მიზნებისათვის.
- e. თავისუფლად ისაუბრეთ, თქვენი გამოცდილების შესახებ
- f. არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხი, გულწრფელობა მნიშვნელოვანია

2. ნაწილი 2 - შესავალი, საწყისი ინფორმაცია

- a. რამდენი სკა გაქვთ?
- b. როდის და როგორ დაიწყეთ საქმიანობა?
- c. რა იყო თქვენის საქმიანობის დაწყების ძირითადი მოტივატორი?
- d. რა ოდენობის და რა სახის თაფლს აწარმოებთ?
- e. არის თუ არა მეფუტკრეობა თქვენი ძირითადი პროფესიული/ბიზნეს საქმიანობა?
 - f. ამჟამად როგორ ხართ დარეგისტრირებული?
 - g. სად და როგორ ახდენთ თაფლის (ანდა დამატებითი პროდუქტების) რეალიზებას? ეტიკეტი თუ გაქვთ, სოც მედიის გვერდები და ა.შ.?
 - h. მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ახდენთ პროდუქტის რეალიზაციას, თუ საზღვრებს გარეთაც
 - i. თუ საზღვრებს გარეთაც, მაშინ როგორ გახვედით ამ ბაზარზე, როგორ მიდის პროცესი და რამდენად კმაყოფილი ხართ
 - i. რამდენი ადამიანი დასაქმებული თქვენს წარმოებაში და რა ფუნქციები აქვთ მათ? ადმინისტრაციულ საქმიანობაში გყავთ ვინმე ჩართული? ამ ხრივ არის რამე გამოწვევები?

3. არსებული გამოწვევები

- a. მოდით ჯერ ზოგადად ვისაუბროთ რა ძირითადი გამოწვევები გაქვთ პირადად თქვენ მეფუტკრეობაში?
 - o ფინანსური რესურსები
 - o ადამიანური რესურსები
 - o კანონმდებლობა

- o პროდუქციის წარმოება, ხარისხი
 - o გაერთიანების არ არსებობა
 - o ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზების ბარიერები
 - o საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის რეალიზების ბარიერები
 - o სხვა
- b. ზოგადად მეფუტკრეობაზე რომ ვისაუბროთ კიდეც რა გამოწვევები არსებობს დღეს მეფუტკრე ფერმერების წინაშე?

4. არსებული სარგებელი

- a. დადებითზეც რომ ვისაუბროთ, რა არის მთავარი მიზეზი ან სარგებელი რომელსაც ამ საქმიანობიდან იღებთ? როგორ მიხვედით ამ შედეგამდე/სარგებელამდე?

5. თაფლის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი/თაფლის ევროპული სტანდარტი

- a. ზოგადად საიდან/ვისგან იღებთ ხოლმე ინფორმაციას თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით? რა ტიპის ინფორმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის?
- b. რამდენად იცნობთ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ თაფლის შესახებ ტექნიკურს რეგლამენტს ან თაფლის ევროპულ სტანდარტს?
- c. აქვე გადავამოწმო:
- i. უტიკეტი აქვს თუ არა
 - ii. როგორ ამოწმებენ შემადგენლობას/შემცველობას, რომელიც განსაზღვრულია „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“?
- d. რა არის მთავარი ბარიერები თქვენთვის იმისთვის რომ სრულად დანერგოთ ეს რეგლამენტი
- e. ოდესმე შეუმოწმებიათ თქვენი წარმოება რეგლამენტის შესაბამისად?
- i. თუ კი, ვის როგორ, რა შედეგი ქონდა?
- f. ინიშნავთ როდის რას აკეთებთ? - რამე დოკუმენტაციას თუ აწარმოებთ ჩატარებული საქმიანობების და პოცედურების შესახებ?

6. წარმოების პროცესი - თაფლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

- a. რას ნიშნავს თქვენთვის „ჯანსაღი თაფლი“ ან „მაღალი ხარისხის თაფლი“?
- b. როგორ უზრუნველყოფთ თქვენ ანდა სხვა ფერმერები რომ ასეთი მაღალი ხარისხის თაფლი მიიღოთ?
- c. გაიხსენეთ თქვენთვის სამაგალითო მეფუტკრე, ვინ არის, რატომ თვლით რომ სამაგალითოა, როგორ მიიღწია ასეთ შედეგს? თქვენ რა გჭირდებათ, რომ იგივე დონეზე ახვიდეთ?
- d. გთხოვთ, მოგვიყვით მთელი სეზონის განმავლობაში თქვენი საქმიანობა - როგორ იწყება, რა ეტაპებს გადიხართ და როგორ მიდიხართ ბოლოში?
- e. დავაზუსტებთ რამდენიმე საკითხს, რომელიც თაფლის წარმოების პროცესს უკავშირდება და გთხოვთ, გვიპასუხოთ, თქვენთან როგორ ხდება ეს ყველაფერი:
- i. თქვენს სკებთან ახლოს ხომ არ არის ბოსელი, ტუალეტი, ცხოველების ფერმა, ქარხანა?
 - ii. გთხოვთ აღწეროთ თაფლის ამოღების და გაწურვის პროცესი:
 - 1. ადგილი, სადაც აკეთებთ ამას
 - 2. გაცვიათ თუ არა ხელთათმანები
 - 3. გაცვიათ თუ არა სუფთა/სუფთ ტანსაცმელი
 - 4. გარეცხილია თუ არა ჭურჭელი, რით არის გარეცხილი
 - iii. რა ჭურჭელში ინახავს თაფლს?

- iv. ქურჭელში ჩამოსხმის შემდეგ სად ინახავთ თაფლს?
- v. რა ტემპერატურაა საშუალოდ სათავსოში?
- vi. გალღობა თუ დაჭირდა თაფლს, როგორ აკეთებთ? რა ტემპერატურაზე?
- vii. დაავადების საწინააღმდეგოდ რა ღონისძიებებს ატარებთ? (რამე პრეპარატებს იყენებთ?)
- viii. დაავადების აღმოჩენა როგორ ხდება? (რა პერიოდულობით ახდით და ათვალიერებთ?)

7. არსებული პროგრამების/გრანტების შესახებ ინფორმაცია და გამოცდილება - მოკლედ

- a. გსმენიათ თუ არა ფერმერთა ხელშემწყობი პროგრამების და გრანტების შესახებ? კონკრეტულად რა პროგრამების შესახებ გსმენიათ? კიდეუ?
- b. მიგიღიათ ან გიცდიათ თუ არა მიგედოთ მსგავსი გრანტი/ გამოგიყენებიათ თუ არა რომელიმე პროგრამა? - თუ საკუთარ გამოცდილებას ვერ იხსენებს ვთხოვთ გაიხსენოს მის გარშემო ვინმეს თუ მიუღია
 - i. თუ გამოუყენებია, როგორ, რა ფორმით - არსებული პრაქტიკა
 - ii. თუ არ გამოუყენებია რატომ არ გამოუყენებია - რა ძირითადი ბარიერები ყოფილა?

8. სამომავლო გეგმები

- a. თუ შეგიძლიათ მოკლედ მომიყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე. - მიზნები, სურვილები
 - i. კონკრეტულად რა ნაბიჯები გაქვთ დაგეგმილი ახლო მომავალში? რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე? რის გამო?
 - ii. ვისი დახმარება/ჩართულობაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რა ტიპის? რაში/ როგორ დაეხმარება ეს თქვენს წარმოებას?
 - iii. თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს ფერმერთა ასოციაციამ/სახელმწიფომ? იმისთვის, რომ თქვენ მიერ დასახული მიზნები განხორციელდეს?
 - iv. თქვენ პირადად როგორც მწარმოებელი, რა რეკომენდაციებს გაცემდით ამ მიმართულებით? კიდეუ?
 - v. ბოლოს, ხომ არ არის რაიმე, რაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და არ გვისაუბრია ინტერვიუს მანძილზე? რამეს ხომ არ დაამატებდით?

თუ არა, როგორ არის როლები გადანწილებული? ადწერეთ ვინ რაზეა პასუხისმგებელი:

რამდენი ხანია რაც ფერმა აქვთ?

- 10 წელზე მეტია
- 10 წლამდე
- 5 წლამდე
- 5 წელზე ნაკლებია
- სხვა, დააკონკრეტეთ: _____

რამდენი სკა აქვს: _____

ბიზნესისთვის აწარმოებს თუ ოჯახისთვის?

ეტიკეტი თუ აქვს?

რა ფორმითაა დარეგისტრირებული?

ფერმა კეთილმოწყობილია?:

- სად აქვს სკები:
- სად ხდება თაფლის ამოღება და გაწურვა
- ზამთარში სად ინახავს სკებს?
- საერთო ჯამში ადწერეთ როგორ გამოიყურება გარემო:

თუ არა, ადწერეთ რა არის ძირითადი გამოწვევა:

ცალკეა გამოყოფილი ის ადგილი სადაც თაფლი ინახება?

კი არა

თუ ცალკე არის გამოყოფილი დაცულია თუ არა შემდეგი მოთხოვნები?

- არის მშრალი და ნესტისგან დაცული
- არ ადგება მზე
- ტემპერატურა კონტროლდება
- არის სისუფთავე
- აღჭურვილობა (კონტეინერი, ჭურჭელი და ა.შ.), რომელიც გამოიყენება თაფლის შესანახად ან ტრანსპორტირებისას, გამოყენების შემდეგ იწმინდება.

თაფლის დაწურვის პროცესი, თაფლის შეგროვება და ტრანსპორტირება ხორციელდება თუ არა ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით?

კი არა

ხელთათმანი აცვია თუ არა

სპეციალური ტანსაცმელი აქვს თუ არა, რომელსაც წმენდს

ჭურჭელი - რით იღებს

როგორ რეცხავს და სად

თაფლის გაღობის პროცესი: როგორ ხდება, გვარჯვენოს ჭურჭელი და როგორ იცავს ტემპერატურულ რეიმს (არ უნდა გაცხელდეს 35-36 გრადუსამდე)

კი არა

როგორ აკონტროლებ დაავადებებს? რა ღონისძიებებს ახორციელებს?

ჰქონია თუ არა მის ფუკტრებს რამე დაავადება?

კი არა

რა დაავადება? როგორ მიხვდა?

ამ დროს როგორ იქცევა?

- გადის კონსულტაციას სპეციალისტთან
- გადის კონსულტაციას კოლეგა ფერმერთან
- გადის კონსულტაციას სოც. ქსელის საშუალებით

რა პრეპარატებს იყენებს? გვაჩვენოს.

რის გამოსწორებას ისურვებდა?

რა ტიპის დამხმარება სჭრიდება?

რა დაეხმარებოდა თავისი მიზნების მიღწევაში?

რამდენად მზად არის მონაწილეობა მიიღოს ტრენინგების პროგრამაში?

სიღრმისეული ინტერვიუს სახელმძღვანელო

რძის მწარმოებელი ფერმერები

ნაწილი 1	მისალმება, წესების გაცნობა	
<ul style="list-style-type: none">→ მოდერატორის გაცნობა→ კვლევის მიზანი, რას ეხება ინტერვიუ→ რამდენი ხანი გაგრძელდება ინტერვიუ (დაახლოებით 40 - 60 წუთი)→ მიმდინარეობს სიღრმისეული ინტერვიუს აუდიო ჩაწერა. კონფიდენციალურობის დაცვა - ჩანაწერი გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისათვის <p>ინტერვიუს ძირითადი წესები</p> <ul style="list-style-type: none">→ თავისუფლად ისაუბრეთ, თქვენი გამოცდილების შესახებ→ რომელიმე კითხვასთან მიმართებით გამოცდილების არ ქონის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიროთ თქვენი მეგობრის ან ნაცნობის გამოცდილება→ არ არსებობს „სწორი“ და „არასწორი“ პასუხი, გულწრფელობა მნიშვნელოვანია		
ნაწილი 2	ძირითადი ინფორმაცია	10 წთ.
<ul style="list-style-type: none">→ გთხოვთ მოკლედ მომიყვეთ თქვენი საქმიანობის შესახებ:✓ როდის და როგორ დაიწყეთ საქმიანობა?✓ რა იყო თქვენის საქმიანობის დაწყების ძირითადი მოტივატორი?✓ ამჟამად როგორ ხართ დარეგისტრირებული? სტატუსი✓ საქმიანობის დეტალები: რამდენი სული საქონელი გყავთ, რას აწარმოებთ...✓ ზოგადად საიდან/ვისგან იღებთ ხოლმე ინფორმაციას თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით? რა ტიპის ინფორმაციაა ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის? <p>→ არსებული პროგრამების/გრანტების შესახებ ინფორმაცია და გამოცდილება - მოკლედ</p> <ul style="list-style-type: none">✓ გსმენიათ თუ არა ფერმერთა ხელშემწყობი პროგრამების და გრანტების შესახებ? კონკრეტულად რა პროგრამების შესახებ გსმენიათ? კიდევ?✓ მიგიღიათ ან გიცდიათ თუ არა მიგეღოთ მსგავსი გრანტი/ გამოგიყენებიათ თუ არა რომელიმე პროგრამა? - თუ საკუთარ გამოცდილებას ვერ იხსენებს ვთხოვთ გაიხსენოს მის გარშემო ვინმეს თუ მიუღია<ul style="list-style-type: none">○ თუ გამოუყენებია, როგორ, რა ფორმით - არსებული პრაქტიკა○ თუ არ გამოუყენებია რატომ არ გამოუყენებია - რა ძირითადი ბარიერები ყოფილა?		
<p>არსებული გამოწვევები</p>		

→ მოდით ჯერ ზოგადად ვისაუბროთ რა ძირითადი გამოწვევები არსებობს დღეს მერძვე ფერმერების წინაშე?

- ფინანსური რესურსები
- ადამიანური რესურსები
- გადამამუშავებლებთან ურთიერთობა
- კანონმდებლობა
- პროდუქციის წარმოება, ხარისხი
- გაერთიანებების არ არსებობა
- სხვა

არსებული სარგებელი

→ ახლა გთხოვთ მოგიყვებოდეთ რა არის ის სარგებელი რასაც ირებთ ამ საქმიანობის შედეგად

ნაწილი 3	გეოგაპის შესახებ არსებული ინფორმაცია და გამოცდილება	10 წთ.
-----------------	--	---------------

→ არსებული ინფორმაცია გეოგაპის შესახებ :

- გსმენიათ თუ არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების სერტიფიცირების შესახებ (გეოგაპი/GeoGAP)? კერძოდ რა გსმენიათ? შეგიძლიათ მომიყვებოდეთ უფრო მეტი?
- ძირითადად ვისგან იღებთ/მიიღებთ ინფორმაცია გეოგაპის შესახებ? რომელია თქვენთვის ძირითადი საინფორმაციო წყარო?

პირველ რიგში, მომიყვებთ თქვენ პირადად თუ დაინტერესებულხართ/ დაინტერესდებით გეოგაპის სტანდარტების დანერგვით თქვენს ფერმაში?

მხოლოდ მათ ვინც დაინტერესებულა გეოგაპის სტანდარტების დანერგვით - თუ ვერ იხსნებს საკუთარ გამოცდილებას ვაკითხებით თუ სმენია მსგავსის შესახებ

→ გთხოვთ მომიყვებთ თქვენი/თქვენი ნაცნობის გამოცდილების შესახებ:

- ✓ რა იყო თქვენი დაინტერესების ძირითადი მიზეზი? კიდე? კიდე?
- ✓ ვისგან მიიღებთ ინფორმაცია გეოგაპის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით? რა ტიპის ინფორმაცია იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?

დეტალურად მომიყევით პროცესის შესახებ:

- რა კონკრეტული ქმედებები განხორციელდა თქვენ/თქვენი ნაცნობის მიერ გეოგაპის დანერგვის მიზნით? შემდეგ?
- რა სირთულები/ბარიერები შეგხვდათ თითოეულ ეტაპზე? კიდე? რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?
- როგორ გაუმკლავდით სირთულებს? რა/ვინ დაგეხმარათ ყველაზე მეტად?
 - თუ ვერ გაუმკლავდა: რა დაგეხმარებოდათ ამ სირთულესთან გასამკლავებლად?

მათ ვინც არ დაინტერესებულა გეოგაპის სტანდარტების დანერგვით

- რა იყო ძირითადი მიზეზები, რის გამოც არ დაინტერესდით გეოგაპის სტანდარტების დანერგვით? კიდე? კიდე?
- პირადად თქვენ რა შემთხვევაში დაინტერესდებოდით მსგავსი სტანდარტების დანერგვით? კიდე?

ნაწილი 4	გეოგაპის დანერგვის მოტივატორები და ბარიერები	20 წთ.
-----------------	---	---------------

გეოგაპის დანერგვის უპირატესობები

მოდით ახლა ვისაუბროთ იმ უპირატესობებზე, რაც შეიძლება ჰქონდეს გეოგაპის დანერგვას ზოგადად წარმოებისთვის.

- თქვენი აზრით რა ძირითადი უპირატესობები შეიძლება ჰქონდეს მერძვე ფერმერებისთვის გეოგაპის სტანდარტების დანერგვას? კიდე? კიდე?
 - ✓ საერთაშორისო სტანდარტთან მიახლოება, რაც ფერმერს საშუალებას მისცემს თავისი პროდუქტი მომავალში გაყიდოს უფრო ძვირად
 - ✓ პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე
 - ✓ საერთაშორისო და სახელმწიფო გრანტების მოძიება
 - ✓ რძის პროდუქტების ხარისხიანობის ზრდა / მომხმარებლის დაცვა
 - ✓ სხვა?

მოსალოდნელი სარგებელი ფერმერებისთვის:

- ✓ როგორ ფიქრობთ, პირადად თქვენთვის რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს გეოგაპის დანერგვას? რატომ ფიქრობთ ასე?
 - ფინანსური სარგებელი
 - დამატებითი დახმარებები იქნება ეს ტექნიკური/ინფრასტრუქტურული და ა.შ.
 - კანონმდებლობის დაცვა

- საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება
- სხვა?

გეოგაპის დანერგვის ბარიერები

ჩვენ ვისაუბრეთ გეოგაპის დანერგვის უპირატესობებზე და სარგებელზე როგორც ზოგადად ასევე პირადად თქვენთვის, მოდით ახლა ვისაუბროთ იმაზე თუ რა სირთულეებს შეიძლება აწყდებოდნენ ფერმერები სტანდარტების დანერგვის პროცესში.

→ თქვენი აზრით რა არის დღეს არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები ფერმერებისთვის? კიდე? კიდე?

- მაინც არ უყიდება უფრო ძვირად/ ვერ ხედავენ სარგებელს
- ფინანსური რესურსები, ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსები - კონკრეტულად რა იგულისხმება თითოეულ მათგანში?
- ინფორმაციის ნაკლებობა/ არ იციან სტანდარტების დანერგვის გზები
- სხვა?

→ თქვენი აზრით რა არის ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორები ფერმერებისთვის?

→ პირადად თქვენთვის, რა ძირითადი საჭიროებები არსებობს ამ პროცესში? კიდე? კიდე?

- ინფორმაციული მხარდაჭერა? ვისგან? რა ტიპის ინფორმაციაა საჭირო?
- ფინანსური მხარდაჭერა? რა ფორმით?
- ადამიანური რესურსით მხარდაჭერა? რა ფორმით?
- ტექნიკური/ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა?
- სხვა?

ბარიერების დაძლევის გზები:

- ✓ პირადად თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ არსებული ბარიერების დაძლევის გზები? რა არის საჭირო ამისთვის? კიდე?
- ✓ თქვენი აზრით ვისი ჩართულობაა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში? რა ფორმით?
- ✓ რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე ძლიერი მოტივატორი?

ნაწილი 5	არსებული მდგომარეობის შეფასება გეოგაპის სტანდარტებთან შესაბამისობაში	15 წთ
----------	--	-------

მოდით ახლა ვისაუბროთ თქვენს ფერმაში არსებულ მდგომარეობაზე და გეოგაპის სტანდარტებთან მის შესაბამისობაზე.

→ **პირველ რიგში მაინტერესებს თუ იცნობთ გეოგაპის მოთხოვნათა სიას?**

იმ შემთხვევაში თუ მეწარმე ზოგადად მაინც იცნობს მოთხოვნათა სიას:

არსებული შეუსაბამობა:

- თქვენი აზრით/შეფასებით, რა არის ის ძირითადი სფეროები, სადაც ყველაზე მეტი საჭიროება/შეუსაბამობაა არსებულ მდგომარეობასა და სტანდარტებს შორის? რა არის ამის მიზეზები? კიდეც?
- დაგიგეგმიათ თუ არა ამ მიმართულებით სამუშაოები? კონკრეტულად რა სამუშაოები დაგიგეგმიათ ამის გამოსაწორებლად? კიდეც? *თუ არა/კერა, რის გამო? კიდეც?*
- როგორ წარმოგიდგენიათ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების გზები? რას გულისხმობთ?

არსებული შესაბამისობა:

- თქვენი აზრით/შეფასებით, რა არის ის ძირითადი სფეროები, სადაც არსებული მდგომარეობა და გეოგაპის სტანდარტები შეესაბამება ერთმანეთს? რა არის ამის მიზეზები? კიდეც?
- გთხოვთ გაიხსენოთ ის ნაბიჯები რაც ამ შესაბამისობის მიღწევისთვის გადაგიდგამთ. რა დაგეხმარათ ამ პროცესში ყველაზე მეტად? კიდეც?
- გთხოვთ გაიხსენოთ/ჩამოთვალოთ დღეს არსებული საუკეთესო პრაქტიკები თქვენს ფერმაში.

ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ სფეროზე ვეკითხებით ზოგადად - *(პუნქტებად მოცემულია რესპონდენტისთვის შესახსენებლად)*

1. ფერმერული მუერნეობა

- რეგისტრირებული ბიზნესოპერატორად?
- აქვს თუ არა ფერმერული მუერნეობის რუკა
- ფერმის ტერიტორიის სისუფთავე
- ფერმაში სახიფათო ადგილების იდენტიფიცირება და პირველადი დახმარების კომპლექტი
- სამუშაო პერსონალის სამუშაო პირობები (ტრულეტი, ხელსაბანი, გამოსაცვლელი ოთახი, საჭმელი ადგილი ა.შ.)
- ფერმაში მავნებლების მართვა
- გარე აუდიტის დროს მოთხოვნილი დოკუმენტების შენახვა მინ. 2 წლის მანძილზე
- თვითშეფასების ჩანაწერები
- რძის წარმოება, გადამუშავება, გაყიდვის ჩანაწერები
- ჩანაწერები ფერმის ვიზიტორთა შესახებ

2. საქონლის იდენტიფიკაცია და მიკვლევალობა

- მსხილფეხა საქონელი იდენტიფიცირებულია ინდივიდუალური საყურე ნიშნით და არსებობს ჩანაწერები შესყიდული და გაყიდული მსხვილფეხა საქონლის შესახებ

3. საქონლის კვება, დარწყულება

- შედგენილი კვების რაციონი ნუტრიციოლოგის მიერ, რისი გადახედვად ხდება წელიწადში ერთხელ
- ყველა საქონელს ერთნაირად აქვს ხელმისაწვდომობა კვებაზე
- ჩანაწერები შესყიდულ საკვებზე
- ცხოველური წარმოშობის ცილის შემცველი პროდუქტების აკრძალვა საკვებდანამატებად
- საკმარისი სასმელი და წყალი საქონლისთვის, მათ შორის საძოვრზე

4. საქონლის სადგომი

- საქონლის რაოდენობაზე გათვლილი სივრცე
- ინდივიდუალური სადგომები გათვლილი საქონლის ნორმალურ ქცევაზე
- რისკის მინიმიზება საქონლის ფიზიკური დაზიანებისგან დასაცავად
- რქიანი და ურქო საქონლის განცალკევება
- არის თუ არა დაცული საქონელი გარეგანი გამლიზიანებისგან
- საიზოლაციო სივრცე ცხოველების განსათავსებლად

5. საქონლის ჯანმრთელობა

- ვეტერინალური ჯანმრთელობის გეგმა
- საქონლის საერთო ვეტერინალური შემოწმება წელიწადში 2-ჯერ 66 თვიანი ინტერვალით? საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქმედებები?
- ჩანაწერები საქონლის ჯანმრთელობის შესახებ
- რძის ხარისხობრივი მონაცემების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ქცევა
- ცხოველის ლემის განადგურების გეგმა
- გამოსაყენებელი პრეპარატები მენახულია პირობების დაცვით და ნადგურდება ვადაგასული და გამოყენებული პრეპარატები ვეტერინარის მითითებით

6. საწვლი მოწყობილობა და დანადგარები, წველის პრაქტიკა

- გარემო მოწყობილია ისე, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი საქონლისთვის არსებული რისკი
- წველის ინსტრუქციის არსებობა
- სურსათთან მყოფი ინვენტარის გასარეცხად საჭირო წყალი ხელმისაწვდომია საწველ დარბაზში
- დაცულია ჰიგიენური სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- ფუნქციონირებს რძის გამაციებული მოთხოვნების შესაბამისად
- არსებობს თუ არა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრეპარატების შემცველი რძის ლიკვიდირებას

7. ჰიგიენა

- წველის პროცესში ჩართული ადამიანები აღჭურვილნი არიან სპეციალური ტანსაცმლით
- პერსონალი იფარავს ჭრილობებს მუშაობის პროცესში
- სურსათით გადამღები დაავადებით დაავადებული ადამიანების საშუალო პროცესიდან ჩამოშორება
- პერსონალი იცავს ქვევისა და ჰიგიენის ნორმებს

8. რეცხვა/დეზინფექცია და ქიმიური საშუალებები

- სადგომის რსული რეცხვა/დეზინფექცია მინიმუმ წელიწადში ერთხელ
- გამოიყენება თუ არა სადგომში და საწველ დარბაზში შესაბამისი დანიშნულების ქიმიური საშუალებები
- ქიმიკატები ინახება საწველი მოწყობილობებიდან შორს, მშრალ და სუფთა ადგილზე.

ფერმის მართვის სქემა

- სულ რამდენი ადამიანია დასაქმებული თქვენს ფერმაში?
- ადმინისტრაციული საქმის მართვაში რამდენი ადამიანია ჩართული? გთხოვთ მოკლედ მითხრათ როგორ არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული ფერმის მართვისას?
- რა ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები არსებობს ფერმის მართვის / ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში? - გამოწვევებთან გამკლავების არსებული პრაქტიკების განხილვა.

ნაწილი 7 რეკომენდაციები და სამომავლო პერსპექტივები

თუ შეგიძლიათ მოკლედ მომიყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე. - მიზნები, სურვილები

- კონკრეტულად რა ნაბიჯები გაქვთ დაგეგმილი ახლო მომავალში? რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე? რის გამო?
- ვისი დახმარება/ჩართულობაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რა ტიპის? რაში/ როგორ დაეხმარება ეს თქვენს წარმოებას?
- თქვენი აზრით, რა შეიძლება გააკეთოს ფერმერთა ასოციაციამ/სახელმწიფომ? იმისთვის, რომ თქვენ მიერ დასახული მიზნები განხორციელდეს?
- თქვენ პირადად როგორც მწარმოებელი, რა რეკომენდაციებს გასცემდით ამ მიმართულებით? კიდევ?
- ბოლოს, ხომ არ არის რაიმე, რაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და არ გვისაუბრია ინტერვიუს მანძილზე? რამეს ხომ არ დაამატებდით?

დიდი მადლობა ინტერვიუსთვის!

რამდენი ხანია რაც ფერმა აქვთ?

- 10 წელზე მეტია
- 10 წლამდე
- 5 წლამდე
- 5 წელზე ნაკლებია
- სხვა, დააკონკრეტეთ: _____

ახდენს რძის რეალიზაციას?

- კი არა

ძირითადად ვინ არის მისი რძის შემსყიდველი?

- მსხვილი მწარმოებელი
- ადგილობრივი (რეგიონული) მწარმოებელი
- რძის შემგროვებელი
- სხვა

გთხოვთ დააკონკრეტოთ

ფერმა კუთილმონყობილია? (რძის საწველი საშუალებები და წარმოების ადგილი, სადაც ხდება რძის შენახვა, დამუშავება ან გაგრილება, უნდა იყოს მონყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს რძის დაბინძურების რისკი)²²;

თუ კი, აღწერეთ როგორ გამოიყურება - საქონელი ცალკეა დაბმული, სისფთავა, ხელსაბანი იქვეა განთავსებული, ა.შ.:

²² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2803085?publication=0>

თუ არა, აღწერეთ რა არის ძირითადი გამოწვევა:

ცალკე გამოყოფილი ის ადგილი სადაც რძე ინახება?

კი არა

თუ ცალკე არის გამოყოფილი დაცულია თუ არა შემდეგი მოთხოვნები?

- მავნებლებისაგან დაცულია;
- ცხოველის სადგომისაგან გამოცალკევებული;
- აღჭურვილი შესაბამისი რძის გასაცივებელი საშუალებებით.
- იმ აღჭურვილობის (რძის საწველი, შესაგროვებელი და გადასაზიდი საშუალებები, ჭურჭელი, კონტეინერები და ა.შ.) ზედაპირი, რომელიც შეხებაშია რძესთან, ადვილად გასაწმენდია და საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების შესაძლებლობას;
- აღჭურვილობა (კონტეინერი, ჭურჭელი და ა.შ.), რომელიც გამოიყენება რძის ტრანსპორტირებისას, გამოყენების შემდეგ იწმინდება და საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი დეზინფიცირება ხელახლა გამოყენებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელახლა გამოიყენება ხდება დროის მოკლე მონაკვეთში.

რძის წველის პროცესი, რძის შეგროვება და ტრანსპორტირება ხორციელდება თუ არა ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით?

- რძის წველის დაწყებამდე სარძევე ჯირკვლისა და მისი მიდამოების სუფთავდება;

საჭიროების შემთხვევაში, ხდება ცხოველისაგან მიღებული რძის შემოწმება ორგანოლექტიური ან ფიზიკურ-ქიმიური შეუსაბამობების გამოვლენის მიზნით, ან ექვივალენტური მეთოდის გამოყენება აღნიშნულ შეუსაბამობათა გამოსავლენად²³.

²³ ბიზნესოპერატორი არ არის ვალდებული, დაიცვას ამ მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პირობები იმ შემთხვევაში, თუ რძე აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ ნედლი რძის კრიტერიუმებს და ამასთანავე:

ა) რძე გადამუშავდა მისი მოწველიდან 2 საათის განმავლობაში; ან

კი არა

საქონლის მოწველის დასრულებისთანავე, თავსდება თუ არა რძე სუფთა ადგილას მისი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

კი არა

რძის მოწველის დასრულებისთანავე, რძე გრილდება თუ არა არაუმეტეს 8°C ტემპერატურაზე²⁴?

კი არა

ჰქონია თუ არა მის საქონელს ჯირკვლების დაავადება?

კი არა

რა კლინიკური ნიშნები აქვს ხოლმე?

ამ დროს როგორ იქცევა?

გადის კონსულტაციას ვეტერინართან

ადამიანის მოხმარებისთვის არ იყენებს დაავადებული საქონლის რძეს

ვეტერინართან კონსულტაციის შედეგად განარძობს აღნიშნული რძის მოხმარებას

იმ შემთხვევაში თუ ის ახდენს რძის ტრანსპორტირებას, აქვს თუ არა სატრანსპორტო საშუალებას რძის გრილ მდგომარეობაში შენახუნების შესაძლებლობა? (დანიშნულების ადგილზე მიტანისას, რძის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 10°C-ს).

კი არა

ბ) ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე, რძის გარკვეული ნაწარმის წარმოებისათვის საჭიროა, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი ტემპერატურა.

²⁴ ბიზნესოპერატორი არ არის ვალდებული, დაიცვას ამ მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პირობები იმ შემთხვევაში, თუ რძე აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ ნედლი რძის კრიტერიუმებს და ამასთანავე:

ა) რძე გადამუშავდა მისი მოწველიდან 2 საათის განმავლობაში; ან

ბ) ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე, რძის გარკვეული ნაწარმის წარმოებისათვის საჭიროა, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულზე უფრო მაღალი ტემპერატურა.

რის გამოსწორებას ისურვებდა?

რა ტიპის დამხმარება სჭირდება?

რა დაეხმარებოდა თავისი მიზნების მიღწევაში?

რამდენად მზად არის მონაწილეობა მიიღოს გეოგაპ-ის დანერგვაში?
